საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 მარტი **შაბათი** 2012
№058(13664) ფასი 80 თეთრი

# არ შევარჩინოთ მუხას ფოთოლი

## მარტში ხომ ყველა ხე გაძარცულია

დღეს, 19:00, რუმინეთი-საქართველო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო




13

# კობიაშვილი, ოტოს საყრდენიც და დასაყრდენიც

## რეჰაგელი: გინდათ ბუნდესლიგა? - მიჰბაძეთ ლევანს




8



# დავით I

10

## ოლიმპიური წლის პირველი ევროოქრო მარსაგიშვილისაა



# საკითხავია, შერმადინი მოერგო გუნდს თუ პირიქით

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

12

# ეს რეალობაა: შერმადინი რეალს სურს

გუშინ გვიან ღამით იტალიურ საიტ „დეილიბასკეტზე" გამოქვეყნდა სტატია, რომლის სათაურშიც ქართული გვარი მოხვდა: „**გიორგი შერმადინი** მადრიდის „რეალს" სურს."

ჟურნალისტ **ანდრეა რიძის** მტკიცებით, „რეალს" „ბარსელონასთან" ჭიდილში წინა ხაზის გაძლიერება სჭირდება და შერმადინის გადაყვანას აპირებს. თუმცა იქვე დასძენს, რომ ტრანსფერი ზაფხულამდე ვერ შედგება.

შეგახსენებთ, რომ გიორგის „კანტუსთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს ენურება.

ვაჟა სიმონიშვილი



# რეალის ასის 100



5

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# აზერბაიჯანი ევრო 2020-ისთვის მზაობას ჯერ არ ადასტურებს

## საქართველოს სპორტის სამინისტრო – ეს საკითხი პრეზიდენტებმა შეათანხმეს

7 მარტს აზერბაიჯანის მილი-მეჯლისში **მიხეილ სააკაშვილის** განცხადებაზე (საქართველო-აზერბაიჯანში ევრო-2020-ის ერთობლივ მასპინძლობაზე) აზერბაიჯანის საფეხბურთო ფედერაციათა ასოციაციების პრეზიდენტმა **როვნაგ აბდულაევმა** კომენტარი გაკეთა "აზერისპორტთან".

„ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ერთობლივი მასპინძლობის იდეა მაშინ დაიბადა, რაც ჩვენს პრეზიდენტ ილხამ ალიევს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სპორტში კავშირების გამყარება შევთავაზე. მოგეხსენებათ, გნკარ-ი („სოკარი") ქართულ სპორტს და მათი ფეხბურთის ფედერაციას ასპონსორებს.

მაგრამ ჯერ ჩვენ მხოლოდ ერთობლივი განაცხადის შესაძლებლობებს ვსწავლობთ. ახლა კი ოფიციალურად რაიმეს თქმა არ შეიძლება. არ მგონია, რომ ამ თემის განვრცობა არ ღირს, მით უფრო, რომ სტამბოლში დაგეგმილ უეფას კონგრესზე ეს საკითხი არ განიხილება. ამას გარდა, ბაქო 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენზიას აცხადებს და არ ვიცი, ოლიმპიური განაცხადი საფეხბურთოზე რა გავლენას მოახდენს".

2020 წლის ოლიმპიადის ბაქოში ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, **კენულ ნურალაევას** კომენტარიც "აზერისპორტმა" გამოაქვეყნა: "ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის სურვილი და მხოლოდ ეს გააჟღერა. მაგრამ ოფიციალურად ეს სახელმწიფოთა დონეზე დამტკიცებული არ არის. ამავე დროს, აზერბაიჯანს ჯერ არაფერი გადაუწყვეტია. უპირველესად, გადართულები ვართ 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებაზე, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია"

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა საგანგებო განცხადება გაავრცელა:

"საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ოფიციალურად ადასტურებს, რომ საქართველო და აზერბაიჯანი გამოხატავენ ერთობლივ სურვილს, უმასპინძლონ ფეხბურთში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატს.

ეს საკითხი 6 მარტს, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ბაქოში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე შეათანხმეს.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციებს შორის მოლაპარაკება, რათა მათ 21 მარტს სტამბოლში გასამართ უეფას კონგრესზე ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის მზაობა დაადასტურონ.

კონგრესზე ოფიციალური განაცხადების შეტანის ვადების დაზუსტებასთან ერთად, ამ სურვილს ორივე ქვეყანა უეფას უკვე ოფიციალური განაცხადით დაუდასტურებს.

შესაბამისად, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო უარყოფს რამდენიმე ინტერნეტ-გამოცემის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანული მხარე არ არის თანახმა, 2020 წელს საქართველოსთან ერთად უმასპინძლოს ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში".

**მერაბ მამულაშვილი**

აქტუალური ინტერვიუ

# ფული იქნება შანსი გვექნება



გია ისიანი

7 მარტს აზერბაიჯანის მილი-მეჯლისში გამოსვლისას **მიხეილ სააკაშვილის** განცხადებამ, რომ საქართველო აზერბაიჯანთან ერთად იბრძოლებს ევრო 2020-ის მასპინძლობისთვის, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ორი კავკასიური ქვეყნის ხელისუფლება ბევრ საერთო პროექტს ახორციელებს და ამ კონტექსტშია შეთანხმებული ევრო-2020-ზე უეფაში ერთობლივი განაცხადის წარდგენა.

და დაიწყო განხილვა, ეს იყო პიარაქცია თუ რეალური მცდელობა, ვუმასპინძლოთ ბებერი კონტინენტის ყველაზე მასშტაბურ სპორტულ ღონისძიებას? 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელს უეფა 2014 წელს გამოაცხადებს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატის მიღების სურვილი უკვე გამოთქვეს თურქეთმა, ჰოლანდიამ და ბელგიამ, რუმინეთ-ბულგარეთმა, ჩეხეთ-სლოვაკეთმა, ბოსნია-ხორვატია-სერბეთმა და ირლანდია-შოტლანდია-უელსმა. ასეთ სოლიდურ კომპანიაში რა შანსი აქვთ საქართველო-აზერბაიჯანს?

უეფას მოთხოვნებში კარგად არის გარკვეული თბილისის "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **გია ისიანი**, რომელიც ამბობს, რომ ეს მცდელობა არც ისე არარეალურია.

**- რას ფიქრობთ ახალ ინიციატივაზე?**

- ამჟამად ისე ჩანს, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის თითქმის არანაირი შანსი არ გაგვაჩნია. ცხადია, საამისოდ აუცილებელ წინაპირობებს ახლა ვერც საქართველო აკმაყოფილებს და ვერც აზერბაიჯანი. მაგრამ თუ იქნება სერიოზული სურვილი და დიდი ფული, შეუძლებელი ნამდვილად არაფერია.

**- თქვენ ამის გჯერათ?**

- რომ არ მჯეროდეს, არც ვიტყოდი. მე არ ვარ პოლიტიკოსი და დაინტერესებული მხარე, მხოლოდ მომავლის ხედვიდან გამომდინარე ვლაპარაკობ.

**- სულ მცირე, საქართველოს ხუთი ელიტ კატეგორიის სტადიონი უნდა ჰქონდეს. ამ კატეგორიას სტადიონს როგორ ანიჭებენ?**

- სტადიონი უნდა იყოს მინიმუმ 30-ათასიანი, მისი 50 პროცენტი კი -გადახურული. აუცილებელია სულ მცირე 300-ადგილიანი მანქანის გასაჩერებელი ადგილი, 400-ადგილიანი ვიპ ლოჟა, პირველი კატეგორიის 800-დე ლოჟა, თანამედროვე მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი პრესლოჟა, ელექტრობილეთების სისტემის დანერგვა.

რომ იცოდეთ, ეს უკანასკნელი არც ისე იოლად მოსაგვარებელი პრობლემაა, რადგან ელექტრონული ბარათების სისტემას ძვირადღირებული აპარატები და 2000-დე კარგად მომზადებული სტიუარდი სჭირდება. აქ ვგულისხმობ მარტო ერთი სტადიონის მომსახურებაზე, ანუ კიდევ ხუთი ამდენი სტიუარდის მომზადება დაგვჭირდება.

"ლელოში" მართალი ეწერა, აუცილებელია კანონი ჩხრეკის შესახებ. უეფა ევროპის ჩემპიონატისა და მაღალი რანგის მატჩების დროს სტადიონზე მაყურებლის გაუჩხრეკავად შესვლას კატეგორიულად კრძალავს.

**- უცნაური იყო, რომ უეფა საკანონმდებლო საკითხებშიც ერევა.**

- ფაქტია და მისთვის მიუღებელი თუ იქნება ესა თუ ის კანონი, ჯერ აფრთხილებს ქვეყანას და თუ არ გაითვალისწინებს, კანდიდატურას არც განიხილავს. ვფიქრობ, საკანონმდებლო მხარე მოგვარდება.

**- აეროპორტების მუშაობაში რა არის შესაცვლელი?**

- დღეში მინიმუმ 100 ჩარტერული რეისი უნდა განხორციელდეს. ჩვენს აეროპორტს აქვს რესურსი, თუ ორივე მხარე გაიხსნება. ამას გარდა, ბათუმის, ფოთისა და კოპიტნარის აეროპორტებიც ამოქმედებულია. მიმაჩნია, რომ მოქმედი თუ მშენებარე სასტუმროების რაოდენობიდან გამომდინარე, გუნდების, სტუმრებისა და ტურისტების დაბინავების პრობლემაც არ შეიქმნება.

საერთოდ, ერთს გეტყვით: ასეთ განცხადებებს სახელმწიფოს მეთაურები დაუფიქრებლად არ აკეთებენ. ეტყობა, ჩვენს შემთხვევაშიც კონკრეტული გათვლა და იმედები არსებობს. ვიმეორებ, ამჟამად ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის შანსი არ გაგვაჩნია, მაგრამ თუ ფული ჩაიდება და ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება, 5-6 წელიწადში არსებული პრობლემების მოგვარება შეუძლებელი არ იქნება. თქვენ თუ გგონიათ, კანდიდატურის წარდგენის დროს უკრაინა ევროპის ჩემპიონატის მისაღებად მზად იყო, ძალიან ცდებით. მაგრამ უზარმაზარი სამუშაო ჩაატარეს და ახლა უეფა სასიამოვნოდ არის გაოცებული.

ჩვენს შემთხვევაშიც, გააჩნია, რა ტემპებით ვიმუშავებთ. გადაწყვეტილებას 2014 წელს მიიღებენ და მანამდე უეფას უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენი განაცხადი რეალურ საფუძველს ემყარება.

**- თანამედროვე სტადიონების ასაშენებლად აუცილებელი ფული ქვეყანამ სად უნდა მოიძიოს?!**

- მთავარია, საქმე ადგილიდან დაიძრას. ახლა რომ მზად არ ვართ და ორ წელიწადში აბსოლუტურად შეცვლილ ინფრასტრუქტურას ვაჩვენებთ, ეს უფრო დიდი ეფექტს მოახდენს. ან უნდა გავცეთ სამთავრობო გარანტიები, რომ სტადიონებს ავაშენებთ. და თუ ევრო 2020-ის მასპინძლობის უფლებას მოგვცემენ, ნაწილობრივ უეფაც დაგვაფინანსებს. სხვათა შორის, მსგავსი ტურნირები ქვეყნისთვის უდიდესი შემოსავლის წყაროა. უკვე დაითვალეს, რომ ევროპის ჩემპიონატიდან უკრაინა და პოლონეთი მინიმუმ 37 მილიარდ ევროს მოიგებენ. როდესაც ამხელა შემოსავლის იმედი გაქვს, ქვეყანა კრედიტსაც თამამად აიღებს, იოლადაც დაფარავს და მთლიანად, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# მეორე სუნთქვა



**ლაშა ჯაკობია** უკრაინის პირველი ლიგის უჟგოროდის "გოვერლა-ზაკარპატიეში" ზაფხულში ჩაირიცხა. დისკვალიფიკაციისა და უნდობლობის გამო გაცდენილი ორწლიანი უქმობის შემდეგ, თავდაპირველად ფორმის აღდგენას ცდილობდა.

როგორც ჩანს, ეს გამოუვიდა – საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა პირველი წრის 17 მატჩში 7 გოლი გაიტანა და უკრაინული მედიის შეფასებით, გუნდის ლიდერი და შეუცვლელი მოთამაშე გახდა.

პირველი ლიგის შეხვედრები 24 მარტიდან განახლდება, "ზაკარპატიე" კი სეზონისთვის მზადებას თურქეთში აგრძელებს. 31 წლის ჯაკობიამ უჟგოროდელთა რიგებში ყველა საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, შედეგიანობითაც გამოირჩა და ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილია: "ახლაც ანთალიაში ვართ და სერიოზულად ვემზადებით. ვგრძნობ, რომ ფორმაში შევდივარ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ წრეში 7 გოლი გავიტანე, ახლა გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე პირველ წრეში. უკვე 90 წუთი შემიძლია სრული დატვირთვით ვარჯიში და თამაში.

მესამე წელია შეკრებაზე არ ვყოფილვარ და ეს ძალიან დამეხმარა. ასე მგონია, მეორე სუნთქვა გამეხსნა. თუმცა, არც პირველი წრის მიწურულს მქონდა პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ კლასის ნაკლებობის გამო, პირველ ლიგაში უფრო მეტს დარბიან, "ზაკარპატიე" კი ლიდერია და ჩვენთან ყველა გაორმაგებული მონდომებით თამაშობდა".

ლაშა დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში გუნდი პრემიერლიგაში ითამაშებს: "პირველი ეტაპის შემდეგ მეორე ადგილზე ვართ და პრემიერლიგაში გადასვლის რეალური შანსები გაგვაჩნია. საგზურის მოპოვება დროის ამბავია: დარჩენილია 13 ტური, მესამეადგილოსანს კი 7 ქულით ვუსწრებთ. თამამად ვიტყვი, კონკურენტებთან მოპოვებულ ასეთ უპირატესობას არ დავკარგავთ. საერთოდ, ბედნიერი ვარ, დიდ ფეხბურთში რომ დავბრუნდი და ეს კიდევ არაა დასასრული. მალე უმაღლეს ლიგაში გადავალთ და...".

**მერაბ მამულაშვილი**

## კორლალიძემ გოლით დაიწყო

მოლდოვის ნაციონალ "ა" დივიზიაში ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა ქართველი პლეიმეიკერის, **ლევან კორლალიძის** კიშინიოვის "ნისტრუმ".

გუშინ მისმა გუნდმა გასვლაზე "ცსკა-რაპიდთან" 2:1 გაიმარჯვა. თავისიანთა წარმატებას სათავე სწორედ კორლალიძემ დაუდო – 31 წლის ქართველმა ნახევარმცველმა მე-2 წუთზე მეტოქეს ბურთი აართვა და ანგარიში გახსნა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სირბილაძემ კვლავ გაიტანა, აზერბაიჯანი ექვსეულებად დაიყო



აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში პირველი ეტაპი დასრულდა და გუნდები ექვს-ექვსად დაიყვნენ, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით, პირველ ეტაპზე დაგროვებული ქულები მეორე ეტაპზე სრულად გადაჰყვათ.

**კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილმა ბაქოს "ინტერმა" შინ "რავანს" 1:0 სძლია. ამ მატჩში ბაქოელთა ღირსება 90 წუთის განმავლობაში დაიცვეს **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა, ბაჩანა ცხადაძე** კი ძირითად შემადგენლობაში იყო და 81-ე წუთზე შეცვალეს.

აზალ-მა "სუმგაითს" უმასპინძლა და ჰოკეის ანგარიშით, 6:3 დაამარცხა. **ნუგზარ კვირტია** მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს. "თურანმა", რომლის ღირსებასაც **ალექსანდრე გოგობერიშვილი** იცავს, შინ ლენქორანის "ხაზართან" 0:1 წააგო. გოგობერიშვილი მოედანზე თავიდან ბოლომდე იყო. **გიორგი ადამიას** "ყარაბახმა" ზაქათალის "სიმურგი" მიიღო და 1:0 სძლია. ადამია ძირითადში იყო და 76-ე წუთზე შეცვალეს.

"ინტერი" და "ყარაბახი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობენ, ქართველთა დანარჩენი გუნდები კი ქვედა ექვსეულში მოხვდნენ. "ინტერი" მეორე ადგილზეა და ლიდერ "ნეფთჩის" 5 ქულით ჩამორჩება, "ყარაბახი" კი მეოთხეზეა და "ნეფთჩიმდე" 8 ქულა აშორებს. აზალ-ს პრემიერლიგაში დარჩენა, ფაქტობრივად, დაბევებული აქვს, "თურანი" კი უკანასკნელ ადგილზეა და უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

ფინეთის ლიგის თასის ჯგუფურ ეტაპზე კი **ირაკლი სირბილაძემ** მორიგი გოლი გაიტანა. მისმა "ინტერმა" სტუმრად "მარიეჰამნი" 3:0 გაანადგურა, სირბილაძემ კი, რომელმაც მოედანზე 90 წუთი დაყო, 58-ე წუთზე თავისი გუნდის მეორე ბურთი გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ჩემპიონატი დარბაზშიც განახლდება

დღეს ფუტსალში ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, რომლის ორგანიზებაც საკუთარ თავზე ფეხბურთის ფედერაციამ აიღო. ტურები თბილისსა და ქუთაისში გაიმართება, სულ კი მონაწილეობას 8 გუნდი მიიღებს: "იბერია სთარი", თსუ, "თელასი", "აჭარა", "არგო", "სატრანსპორტო კომპანია", "უნივერსიტეტი" და "იმერეთი".

**მერაბ მამულაშვილი**

ლევან ჟორდანიას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" (OFFS) საქართველოს ფილიალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის

**რამაზ ურუშაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგის გამარჯვებულები

# საჩხერეში საფეხბურთო გარემოა, ჩიხურა უმაღლესისთვის მომწიფდა


სოსო ფრუიძე

**საჩხერის "ჩიხურამ" პირველი ლიგის პირველი ეტაპი დამაჯერებლად ჩაატარა და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი გათამაშების საგზური დამსახურებლად მოიპოვა. "ჩიხურას" მიზანი უმაღლეს ლიგაში თამაშია და მისი მთავარი მწვრთნელის, სოსო ფრუიძის ინტერვიუდან შეიტყობთ, როგორაა ამისთვის გუნდი მომზადებული და როგორ ვითარდება "ჩიხურას" საკლუბო ინფრასტრუქტურა.**

**- სატურნირო ცხრილიდან ჩანს, რომ პირველლიგელ მეტოქეებს უპრობლემოდ სჯობდით.**

- პირველი ლიგის ლიდერობისთვის მართლაც მზად ვართ, მოახლოებულ რვაგუნდიან გათამაშებაში წარმატება კი გაცილებით რთული იქნება.

**- შეძლებს "ჩიხურას" ამჟამინდელი შემადგენლობა, იყოს კონკურენტუნარიანი პლეი აუტშიც და უმაღლეს ლიგაშიც?**

- მარტვილის "მერანის" მაგალითს გაგახსენებთ, რომლის ბირთვიც პირველ ლიგაში თამაშის შემდეგ უცვლელი დარჩა. ყველაფერს მოახლოებული მატჩები გამოაჩენს, მაგრამ ვფიქრობ, რომ "ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში ამჟამინდელი შემადგენლობითაც კი კონკურენტუნარიანი იქნება და სატურნირო ცხრილის შუა ნაწილში იტრიალებს.

**- თუმცა პლეი აუტში იოლი მეტოქეები არ გეყოლებათ.**

- გეთანხმებით. უმაღლესლიგელებთანაც და პირველი ლიგის საუკეთესო გუნდებთანაც წინ საკმაოდ მძიმე ბრძოლები გველის, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასვლის დიდი იმედი გვაქვს. ისე, არც ის გამოვრიცხოთ, რომ მომავალ სეზონში 14-მა ან 16-მა გუნდმა ითამაშოს.

**- თავად თუ ემხრობით ამგვარ გადაწყვეტილებას?**

- ვემხრობი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს "ჩიხურას" საუმაღლესლიგო შანსებს გაზრდის. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი გვეყოლება. ამით განვითარების საშუალება მეტ მწვრთნელსა და ფეხბურთელს მიეცემა. თუმცა, ბუნებრივია, ეს იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ უმაღლეს ლიგაში თამაშის მსურველი კლუბები ყველა სალიცენზიო მოთხოვნას დააკმაყოფილებენ.

**- "ჩიხურას" ხელმძღვანელობა უმაღლეს ლიგაში გადასვლას დაბეჯითებით ითხოვს თუ ეს სასურველი მიზანია?**

- ამდენი წელი პირველ ლიგაში გავატარეთ და უკვე მზად ვართ იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგას დავუბრუნდეთ და ჩვენი სიტყვა იქაც ვთქვათ.

**- ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა კლუბს რაიმე დაბრკოლება ხომ არ შეუქმნა?**

- არა, მუშაობას ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ, საწვრთნელი პროცესიც ჩვეულებრივად გრძელდება და არც ხელფასები გვიანდება. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, არასაფეხბურთო პრობლემები ხელს ვერც უმაღლესი ლიგისთვის ბრძოლაში შეგვიშლის.

**- როგორც ვიცით, თქვენ მხოლოდ "ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი კი არ ხართ, მთელ საკლუბო სისტემასაც კურირებთ.**

- დიახ, საკმაოდ ფართო უფლებამოვალეობები მაქვს. ვხელმძღვანელობ ბავშვთა საფეხბურთო სკოლას, კოორდინაციას ვუწევ დუბლშემადგენლობისა და ჭაბუკთა გუნდების საწვრთნელ პროცესს. ჩვენთან B და C ლიცენზიის მქონე 22 სპეციალისტია დასაქმებული და 450-მდე ბავშვი ვარჯიშობს – ყველა უფასოდ. კლუბი მათი მგზავრობისა და კვების სახსრებსაც ფარავს.

**- მივუბრუნდეთ უშუალოდ თქვენს გუნდს. ზამთრის საწვრთნელი პროცესი ისე წარიმართა, როგორც თქვენ გსურდათ?**

- ყველაზე მეტად ის არ მომწონს, რომ პირველი ლიგა უმაღლეს ლიგაზე გვიან განახლდა და ამიტომ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვართ. შეკრება ნორმალურად ჩავატარეთ და საკონტროლო მატჩში ერევნის "არარატის" 4:0 დამარცხებამ დაგვანახა, რომ სწორად ვმუშაობთ.

**- გამოცდილი ფეხბურთელები ისედაც გყავდათ, ზამთარში კი ქართული საზომებით არცთუ ურიგო მოთამაშეები დაიმატეთ.**

- აქცენტს გამოცდილ მოთამაშეებზე ვაკეთებთ, თუმცა უარს არც ნიჭიერ ახალგაზრდებზე ვამბობთ. ზამთარში დავიმატეთ ძამსაშვილი, ჩიხრაძე, მურველაშვილი და იაშვილი.

**- სანდრო იაშვილზე ცალკე მინდა გკითხოთ. როგორ ფორმაშია იგი და კიდევ თუ აქვს იმის შანსი, რომ თუნდაც საქართველოს ჩემპიონატის დონეზე გამოირჩეოდეს?**

- იაშვილს ძალიან დიდი დრო გაუცდა, რისი ანაზღაურებაც იოლი ნამდვილად არ არის. სანდრო ჯერ კიდევ წონაშია, თუმცა ძალიან მონდომებულია და ბევრს შრომობს. 90 წუთის სათამაშოდ ჯერ მზად არაა, მაგრამ 18-კაციან განაცხადში მოხვედრას უკვე იმსახურებს. მოკლედ, მისი დიდი იმედი გვაქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 1 კვირის 1000 წერილი

დავით თავართქილაძე

# სენტი და მენტი

ალარც კი ვიცი, რითი დავიწყო. აქეთ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაო, იქეთ თასის ნახევარფინალების საოცარი კენჭისყრა, კიდევ იქით ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ასევე საოცარი ტური.

მე მაინც მგონია, რომ ნაკრებით უნდა დავიწყო. ეროვნულ გუნდს ორი ძალიან კარგი ფეხბურთელი გამოაკლდა - **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი**. მათ ნაკრებში აღარ იწვევენ და რადგან ალარც კი დაურეკეს, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი ნაკრების ფეხბურთელები აღარ არიან.

ადამიანებთან ურთიერთობის უნარი მწვრთნელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უამისოდ მწვრთნელის ფასი პატარაა. არ გამოვიძახე ერთხელ, მეორედ...დარეკვის გარეშე არ უნდა მიხვდეს ფეხბურთელი, რომ მე ის აღარ მჭირდება?! თუ **ქეცბაია** ასე ფიქრობს, მისი პოზიცია გასაგებია, ოღონდაც საკითხავია, რამდენად მისაღებია ურთიერთობის ასეთი ფორმა იმ ფეხბურთელებთან, წლობით რომ თამაშობდნენ ეროვნულ ნაკრებში, წლობით რომ აკრიტიკებდნენ, უსტვენდნენ და ტაშს უკრავდენ. საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში თავისებური ტვირთი იყო, ეს იყო გუნდი, რომელიც თითქოს სულ განწირული იყო მარცხისთვის. ფეხბურთელები ბევრს რამეზე ხუჭავდნენ თვალს, ბევრ რამეს არ ამბობდნენ ინტერვიუებში.

ვინმეს ახსოვს ცხვირაწეული კობიაშვილი? ან ისეთი იაშვილი, თავი რომ დაუზოგავს მოედანზე?

მათ ჩვენს ბეჩავ ნაკრებს ასე თუ ისე შეუქმნეს სახე. მათ ცუდ დროს მოუწიათ ნაკრებში თამაშმა, როცა ნაკრებსა და ფეხბურთზე სახელმწიფო ან საერთოდ არ ზრუნავდა, ან კი ძალმომრეობის დემონსტრაციას ახდენდა და ლამის ყველაფერს თვითონ წყვეტდა.

ქეცბაიას ნაკრებში კობიაშვილთანაც უთამაშია და იაშვილთანაც. როცა ის გახდა ნაკრების მწვრთნელი, ეროვნული გუნდის და საერთოდ ქართული ფეხბურთის გარშემო სიტუაცია შეიცვალა, კობიაშვილი და იაშვილი კი ისევ ნაკრებში თამაშობდნენ. კობიაშვილის გოლით ქეცბაიას გაწვრთნილმა ნაკრებმა ხორვატიას მოუგო, ამაზე მნიშვნელოვანი თამაში კი მწვრთნელ ქეცბაიას ნაკრებში ჯერ არ მოუგია.

კობიაშვილი და იაშვილი ნაკრებიდან ისე წავიდნენ, რომ გულშემატკივარს მათთვის მადლობის ტაში არ დაუკრავს. ეს არ არის სენტი და მენტი, ეს ეტიკეტია, რომლის დაცვა პირველ რიგში, ვის თუ არა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა მართებდეს. კობიაშვილმა სულაც 100 მატჩი ითამაშა ნაკრებში...

"ლელოსთან" ინტერვიუში კობიაშვილმა სხვათა გარდა ისიც თქვა, არც კობიაშვილი ითამაშებს ნაკრებში ასი წელი, არც ქეცბაია იქნება ნაკრების მწვრთნელი ასი წელი და არც **სიჭინავა** იქნება ასი წლით ფედერაციის პრეზიდენტიო....

■ ■ ■

ფედერაციის პრეზიდენტმა თავად უხელმძღვანელა საქართველოს თასის ნახევარფინალების კენჭისყრას და თვითონ მიაწოდა გასახსნელი ბურთულა (უფრო ზუსტად "ქინდერ-შოკოლადის" ყუთი) რუსთავის "მეტალურგის" წარმომადგენელს, გიჯობს, ეს აიღოო. თუ ყველაფერი ეს ხუმრობა იყო, შეგვიძლია, მას საოცრება დავარქვათ, რადგან ასე ჯერ არავის არ უხუმრია საფეხბურთო კენჭისყრებზე.

მთავარი კი შედეგია და კენჭისყრამაც კარგად ჩაიარა, გორის "დილა" ნახევარფინალში "ზესტაფონსა" და "მეტალურგს" ასცდა. მოსაკითხი მხოლოდ ერთი დარჩა – სად გაქრა საზოგადოებრივი აზრი ქართულ ფეხბურთზე? ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ? და საერთოდ, რატომ უნდა ვიყოთ უმადურები, როცა გაჩნდა იმის იმედი, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ევროპის ჩემპიონატს ერთად უმასპინძლებენ?!

■ ■ ■

ამ ორ ქვეყანას მენტალურად საერთო მგონი არაფერი უნდა ჰქონდეს. აზერბაიჯანში ბოლოს მაშინ ვიყავი, ბოლნისის "სიონი" ჩემპიონთა ლიგის შესარჩევში იქაურ "ბაკის" რომ ეთამაშა. როგორც კი მატარებლით საზღვარი გადავკვეთეთ, უშველებელი ბანერები დავინახეთ – **ჰეიდარ ალიევი** მეტყველი სახით რალაცას საუბრობს, ჩაფიქრებული შვილი **ილხან ალიევი** კი მას გაფაციცებით უსმენს. ასეთი კონცეფციის სურათი სხვადასხვა ვარიანტებით – ეს იყო მაშინდელი აზერბაიჯანის ფასადი და როგორ გგონიათ, მას შემდეგ რამე შეიცვლებოდა იქ ამ მხრივ?

გასაკეთებელი კიდევ ბევრია – თუ ამ პრინციპით ვაპირებთ ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძლობას, კარგია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კიდევ უფრო მეტს გააკეთებს ფეხბურთისთვის და იდეის გაჟღერება ოდენ წინასაარჩევნო ტრიუკი ვერ იქნება.

ცოტა ხნით მაინც დავანებოთ პოლიტიკას თავი, ფეხბურთის აღქმა ბურთით და მოედნით იწყება და მთავრდება, პოლიტიკა კი ალბათ, ამ ყველაფრის გვერდითი მოვლენებია.

■ ■ ■

ქეცბაიამაც მოედანზე ბურთის თამაშით შეაყვარა თავი გულშემატკივარს. ნაკრების ბოლო ორ ამხანაგურ შეხვედრაშიც არაერთი პოზიტივი დავინახეთ. ალბანეთთან მატჩის მეორე ტაიმში ქეცბაიამ **სანდრო კობახიძე** ფლანგიდან შუაში შემოსწია, კობახიძემ გოლიც გაიტანა და 11-მეტრიანიც მოინაგრა. ყველაფერი ეს მწვრთნელის შედეგიან ტაქტიკურ ცვლილებას მოჰყვა. ზედიზედ ორი ამხანაგური თამაშის მოგებაც იმედის ნაპერწკალს ჰგავს.

■ ■ ■

სენტი და მენტი კი მაინც დამრჩა, ეს არც გულჩვილობის ბრალია და არც გულუბრყვილობის, ფეხბურთში ასეთები ხშირად ხდება, გაუგებარი მხოლოდ ის არის, სხვას რატომ არ აქვს ეს სენტი და მენტი.


ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

# მერცხალმა დარბაზში გამოიზამთრა

## მეგრელაძე ბავშვობას უბრუნდება

პლეი ოფისა და პლეი აუტის მატჩები 12 მარტს დაიწყება. პლეი აუტის პირველ ტურში ოზურგეთის „მერცხალი" მცხეთაში "ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს.

"მერცხალის" გენერალური დირექტორი და მთავარი მწვრთნელი **ხარიტონ ჩხატარაშვილი** გუნდის სამზადისზე მოგვითხრობს.

*"ჭიათურის გუნდის სახით სერიოზული კონკურენტი გვყავდა, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლება დაძაბულ ბრძოლაში მოვიპოვეთ. თუმცა პრობლემა შეგვექმნა – 18 იანვრის შემდეგ მოედანზე არ გვივარჯიშია. ოზურგეთში ისეთი თოვლი იდო, რომ სტადიონი დღემდე ვერ გაიწმინდა. ფაქტობრივად, მოსამზადებელი ეტაპი ჩაგვივარდა და შეკრებაზეც ვერ წავედით, რადგან საამისოდ ფინანსები არ გვქონდა.*

*ამის გამო, ახლა ოზურგეთის სპორტულ დარბაზში ვვარჯიშობთ და ძნელი წარმოსადგენი არაა, პარკეტიდან მინდორზე გადასვლა რა მძიმე იქნება. ფინანსურად და კადრებით "მერცხალი" პლეი აუტის 8 მონაწილეს შორის ყველაზე რთულ მდგომარეობაშია. სამწუხაროდ, კერძო ინვესტიციებით არ გვანებივრებენ და მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებული. თუმცა რაიონისა და რეგიონის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას გვაქცევს. გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი ფეხბურთით დაინტერესებულია და შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს, გუნდმა რომ იარსებოს და წარმატებას მიაღწიოს"* – ამბობს ჩხატარაშვილი.

"მერცხალის" მთავარი მწვრთნელი პლეი აუტის კალენდარმა დააფიქრა: *"თამაშები ისეთი შემჭიდროებული გრაფიკით ჩატარდება, რომ ჩვენნაირ გუნდებს პრობლემები შეექმნებათ. რა პრობლემებს ვგულისხმობ? არ გვაქვს აღდგენისა და რეაბილიტაციის საშუალებები, რაც მოთამაშეთა გადაღლის საფრთხეს შეგვიქმნის".*

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ოზურგეთელთა დამრიგებელი იმედოვნებს, რომ "მერცხალი" უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს: *"ჩვენ ყველა შეხვედრაში ვიბრძოლებთ და შევეცდებით, უმაღლეს ლიგაში წლების წინათ დაკარგული ადგილი დავიბრუნოთ. საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს და ბიჭების მჯერა".*

დაბოლოს, ერთი საინტერესო სიახლე – გუნდში ცნობილი ვეტერანი მოთამაშე ჩაირიცხა: *"ვაპირებთ წარმოშობით ოზურგეთელი გია მეგრელაძის დამატებას. მამამისი, მერაბ მეგრელაძე ოზურგეთში დაიბადა და გაიზარდა, ჩვენი მეგობარი იყო. თავად გიამაც დიდ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები "მერცხალში" ჩემი ხელმძღვანელობით გადადგა, ახლა კი ჩვენთან დაიწყო ვარჯიში და მისი დიდი იმედი მაქვს. ასეთი გამოცდილი თავდამსხმელი აუცილებლად გამოგვადგება".*


გია მეგრელაძე (წინა პლანზე)

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

## მეორე ეტაპის კალენდარი

### პლეი ოფი

**I წრე**

**I ტური**

**12 მარტი, ორშაბათი**

ზესტაფონი-კოლხეთი
ტორპედო-მერანი
დინამო-დილა
მეტალურგი-ბაია

**II ტური**

**16 მარტი, პარასკევი**

კოლხეთი-ბაია
დილა-მეტალურგი
მერანი-დინამო
ზესტაფონი-ტორპედო

**III ტური**

**21 მარტი, ოთხშაბათი**

ტორპედო-კოლხეთი
დინამო-ზესტაფონი
მეტალურგი-მერანი
ბაია-დილა

**IV ტური**

**25 მარტი, კვირა**

კოლხეთი-დილა
მერანი-ბაია
ზესტაფონი-მეტალურგი
ტორპედო-დინამო

**V ტური**

**1 აპრილი, კვირა**

დინამო-კოლხეთი
მეტალურგი-ტორპედო
ბაია-ზესტაფონი
დილა-მერანი

**VI ტური**

**6 აპრილი, პარასკევი**

კოლხეთი-მერანი
ზესტაფონი-დილა
ტორპედო-ბაია
დინამო-მეტალურგი

**10 აპრილი, სამშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩები

**VII ტური**

**14 აპრილი, შაბათი**

მეტალურგი-კოლხეთი
ბაია-დინამო
დილა-ტორპედო
მერანი-ზესტაფონი

**18 აპრილი, ოთხშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩები

**II წრე**

**VIII ტური**

**22 აპრილი, კვირა**

კოლხეთი-ზესტაფონი
მერანი-ტორპედო
დილა-დინამო
ბაია-მეტალურგი

**IX ტური**

**28 აპრილი, შაბათი**

ბაია-კოლხეთი
მეტალურგი-დილა
დინამო-მერანი
ტორპედო-ზესტაფონი

**X ტური**

**2 მაისი, ოთხშაბათი**

კოლხეთი-ტორპედო
ზესტაფონი-დინამო
მერანი-მეტალურგი
დილა-ბაია

**XI ტური**

**6 მაისი, კვირა**

დილა-კოლხეთი
ბაია-მერანი
მეტალურგი-ზესტაფონი
დინამო-ტორპედო

**XII ტური**

**12 მაისი, შაბათი**

კოლხეთი-დინამო
ტორპედო-მეტალურგი
ზესტაფონი-ბაია
მერანი-დილა

**XIII ტური**

**16 მაისი, ოთხშაბათი**

მერანი-კოლხეთი
დილა-ზესტაფონი
ბაია-ტორპედო
მეტალურგი-დინამო

**XIV ტური**

**20 მაისი, კვირა**

კოლხეთი-მეტალურგი
დინამო-ბაია
ტორპედო-დილა
ზესტაფონი-მერანი

### პლეი აუტი

**I წრე**

**I ტური**

**12 მარტი, ორშაბათი**

ვიტ ჯორჯია-მერცხალი
სპარტაკი-გურია
გაგრა-დინამო (ბთ)
სიონი-ჩიხურა

**II ტური**

**16 მარტი, პარასკევი**

მერცხალი-ჩიხურა
დინამო (ბთ)-სიონი
გურია-გაგრა
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

**III ტური**

**20 მარტი, სამშაბათი**

სპარტაკი-მერცხალი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
სიონი-გურია
ჩიხურა-დინამო (ბთ)

**IV ტური**

**25 მარტი, კვირა**

მერცხალი-დინამო (ბთ)
გურია-ჩიხურა
ვიტ ჯორჯია-სიონი
სპარტაკი-გაგრა

**V ტური**

**1 აპრილი, კვირა**

გაგრა-მერცხალი
სიონი-სპარტაკი
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ)-გურია

**VI ტური**

**6 აპრილი, პარასკევი**

მერცხალი-გურია
ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ)
სპარტაკი-ჩიხურა
გაგრა-სიონი

**10 აპრილი, სამშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
პირველი მატჩები

**VII ტური**

**14 აპრილი, შაბათი**

სიონი-მერცხალი
ჩიხურა-გაგრა
დინამო (ბთ)-სპარტაკი
გურია-ვიტ ჯორჯია

**18 აპრილი, ოთხშაბათი**

დ. ყიფიანის სახ. თასის 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩები

**II წრე**

**VIII ტური**

**21 აპრილი, შაბათი**

მერცხალი-ვიტ ჯორჯია
გურია-სპარტაკი
ჩიხურა-სიონი
22 აპრილი, კვირა
დინამო (ბთ)-გაგრა

**IX ტური**

**29 აპრილი, კვირა**

ჩიხურა-მერცხალი
სიონი-დინამო (ბთ)
გაგრა-გურია
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია

**X ტური**

**3 მაისი, ხუთშაბათი**

მერცხალი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-გაგრა
გურია-სიონი
დინამო (ბთ)-ჩიხურა

**XI ტური**

**7 მაისი, ორშაბათი**

დინამო (ბთ)-მერცხალი
ჩიხურა-გურია
სიონი-ვიტ ჯორჯია
გაგრა-სპარტაკი

**XII ტური**

**13 მაისი, კვირა**

მერცხალი-გაგრა
სპარტაკი-სიონი
ვიტ ჯორჯია-ჩიხურა
გურია-დინამო (ბთ)

**XIII ტური**

**17 მაისი, ხუთშაბათი**

გურია-მერცხალი
დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია
ჩიხურა-სპარტაკი
სიონი-გაგრა

**XIV ტური**

**21 მაისი, ორშაბათი**

მერცხალი-სიონი
გაგრა-ჩიხურა
სპარტაკი-დინამო (ბთ)
ვიტ ჯორჯია-გურია

**26 მაისი, შაბათი**

დ.ყიფიანის სახ. თასის ფინალი

# ვირტუალური ფინიში

## სპორტული პრინციპების მოლოდინი.




... ყველა „ზღაპარი“, როცა იქნება, უნდა დასრულდეს, და ასე მოხდა ჩვენს ჩემპიონატშიც: ავად თუ კარგად, უმაღლეს ლიგაში პირველი ეტაპი დამთავრდა! „პარალელურად“ მიმდინარე პირველ ლიგაშიც ყველაფერი გაირკვა და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორშაბათიდან გადამწყვეტი, მეორე ეტაპი დაიწყება. თანაც, ერთის მაგივრად, ორი გათამაშება (გნებავთ, ტურნირი) გვექნება, ანუ, შესაბამისად, ყოველი ტურის მერე ორ-ორი ცხრილითაც „გავანებივრებთ“ ფეხბურთის გულშემატკივრებს. თუმცა, „ორცხრილიანობას“ ხომ უკვე მივეჩვიეთ? შეგახსენებთ, რომ მავანთა მიერ დანერგილი „ნოვაციის“ შედეგად ჩემპიონატის პირველ ეტაპი ასევე ორი ცხრილის „აკომპანემენტით“ მიმდინარეობდა: ერთს „ჩვეულებრივი“ ვუწოდეთ, მეორეს კი - „ვირტუალური“; ჰოდა, ახლა, ყველაფერი რომ დალაგდა, კურიოზულ სიტუაციებსაც ვაწყდებით: აბა, როგორი საქმეა, „ჩვეულებრივი“ ცხრილის მიხედვით, „ზესტაფონს“ რომ „მეტალურგთან“ 21-ქულიანი სხვაობა ექნება, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონები „ვირტუალურში“ რუსთაველებს მხოლოდ და მხოლოდ 7 ქულით ალემატებიან! თანაც, როგორ გგონიათ, მხოლოდ ეს ორი გუნდი აღმოჩნდა მსგავს „გაუგებრობაში“? მოკლედ, კვლავაც უამრავი კითხვაა უპასუხოდ დარჩენილი და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ორივე ტურნირის დაწყებას დაველოდოთ. პირველს, პირობითად „პლეი ოფი“ ვუწოდეთ და შეგახსენებთ, რომ რვავე გუნდს პირველ ეტაპზე ერთმანეთთან მოგროვებული ქულები გადმოჰყვათ; რაც შეეხება მეორეს და, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესო გათამაშებას, „პლეი აუტის“ რვავე მონაწილე გუნდი ტურნირს ნული ქულით დაიწყებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტრიგა აქაც არანაკლები გველოდება: რვიდან ოთხი საუკეთესო გუნდი მომავალ სეზონს უმაღლეს ლიგაში დაიწყებს, დანარჩენ ოთხს კი პირველ ლიგაში მოუწევს გამოსვლა. ყოველ შემთხვევაში, XXIII ჩემპიონატის რეგლამენტში ასეა „თეთრით შავზე დაწერილი“, მაგრამ არავის გაუკვირდეს, ამ ზაფხულს სხვა „საინტერესო სიახლეების“ შესახებაც რომ შევიტყოთ. აი, თუნდაც, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე: „ბოროტი ენები“ ჯიუტად ამტკიცებენ, რომ მომავალ სეზონში უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნებაო! ზაფხულამდე ჯერ კიდევ დროა და მანამდე ეს ორი ტურნირი უნდა ჩავატაროთ; იმედი დავიტოვოთ, რომ აღარც უამინდობა შეგვაფერხებს და, რაც მთავარია, პლეი ოფსა თუ პლეი აუტში მატჩების უმრავლესობა... სპორტული პრინციპების დაცვით ჩაივლის. ანუ, აღარც ისეთი „სპარინგ-მატჩები“ თუ, ცოტა არ იყოს, „უცნაურსცენარიანი“ შეხვედრები იქნება, როგორიც პირველი ეტაპის დასკვნით ტურში ვნახეთ. ჰოდა, ჩვენი დამოკიდებულებაც ყოველივე ამის მიმართ აი, ასეთი, „ორიგინალური“ ტურის სიმბოლური ნაკრებით გამოვხატეთ...

**გია ტუხაშვილი**

## XXII ტურის სიმბოლური ნაკრები



### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გაგ | გაშ | |
| 1 | ზესტაფონი | 14 | 9 | 3 | 2 | 24 | 12 | 30 |
| 2 | ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 17 | 12 | 24 |
| 3 | დინამო | 14 | 7 | 2 | 5 | 27 | 20 | 23 |
| 4 | მეტალურგი | 14 | 7 | 2 | 5 | 18 | 19 | 23 |
| 5 | ბაია | 14 | 4 | 4 | 6 | 11 | 15 | 16 |
| 6 | დილა | 14 | 4 | 3 | 7 | 16 | 17 | 15 |
| 7 | მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 12 | 22 | 13 |
| 8 | კოლხეთი | 14 | 2 | 6 | 6 | 8 | 16 | 12 |

### პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გაგ | გაშ | |
| 1 | ჩიხურა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | გურია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 | მერცხალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7 | გაგრა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

### პირველი ლიგა. პირველი ეტაპის ბოლო ტური

**A ზონა**

| | |
|---|---|
| დინამო (ბათუმი) - კოლხეთი (ხობი) | 0:0 |
| ლოკომოტივი (თბილისი) - ჭიათურა | 2:2 |
| სტუ (თბილისი) - მესხეთი (ახალციხე) | 3:1 |
| სამტრედია - მეშახტე (ტყიბული) | 4:2 |
| ჩხერიმელა (ხარაგაული) - მერცხალი (ოზურგეთი) | 3:0 |

**B ზონა**

| | |
|---|---|
| აეტი (სოხუმი) - სულორი (ვანი) | 1:1 |
| სამგურალი (წყალტუბო) - გურია (ლანჩხუთი) | 0:2 |
| ჩიხურა (საჩხერე) - ნ. დინამოელი (თბილისი) | 1:0 |
| იმერეთი (ხონი) - ადელი (ბათუმი) | 2:0 |
| სქური (წალენჯიხა) - ზოოვეტი (თბილისი) | 2:0 |

**A ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 18 | 13 | 3 | 2 | 28-9 | 42 |
| 2. მერცხალი | 18 | 12 | 2 | 4 | 24-17 | 38 |
| 3. ჭიათურა | 18 | 11 | 4 | 3 | 30-16 | 37 |
| 4. ჩხერიმელა | 18 | 8 | 4 | 6 | 24-24 | 28 |
| 5. სტუ | 18 | 8 | 2 | 8 | 39-42 | 26 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 5 | 5 | 8 | 30-28 | 20 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 18 | 5 | 5 | 8 | 18-19 | 20 |
| 8. მესხეთი | 18 | 5 | 2 | 11 | 19-25 | 17 |
| 9. სამტრედია | 18 | 3 | 5 | 10 | 15-30 | 14 |
| 10. მეშახტე | 18 | 2 | 4 | 12 | 16-33 | 10 |

**B ზონა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 18 | 16 | 1 | 1 | 40-6 | 49 |
| 2. გურია | 18 | 12 | 3 | 3 | 41-15 | 39 |
| 3. იმერეთი | 18 | 9 | 2 | 7 | 31-25 | 29 |
| 4. სქური | 18 | 8 | 3 | 7 | 25-26 | 27 |
| 5. ზოოვეტი | 18 | 8 | 3 | 7 | 23-29 | 27 |
| 6. ნ.დინამოელი | 18 | 8 | 2 | 8 | 30-24 | 26 |
| 7. სამგურალი | 18 | 6 | 5 | 7 | 27-23 | 23 |
| 8. ადელი | 18 | 4 | 1 | 13 | 19-36 | 13 |
| 9. სულორი | 18 | 2 | 6 | 10 | 11-35 | 12 |
| 10. აეტი | 18 | 3 | 2 | 13 | 13-41 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXVI ტურის წინ

### დღეს

**მალაგა-ლევანტე 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი, იბორა (ლევ)
**ტრავმა:** გამესი (?), ს. სანჩესი, ბაპტიშტა - ხუანლუ, ტორესი

**სოსიედადი-სარაგოსა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** კადამურო - პარედესი
**ტრავმა:** მარტინესი - ლანძარო (?), პოშტიგა

**სპორტინგი-სევილია 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ეგურენი - მედელი
**ტრავმა:** სუარესი (?), კოლუნგა - ნეგრედო

**ბეტისი-რეალი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** პერეირა - რიკარდო კარვალიო
**ტრავმა:** პაულაუ (?) - ბენზემა (?), დი მარია, ფ. კოენტრაო

### ხვალ

**ატლეტიკო-გრანადა 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფილიპე ლუიში - ფ. რიკო, სიკერია, ხარა, ბენიტესი
**ტრავმა:** დიეგო, არდა თურანი (?), სილვიო (?), ტიაგო (?), ა. ლოპესი (?) - მარტინში (?), დიახატე, რობერტო, იებდა, რომერო (?)

**ესპანიოლი-ვალეკანო 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვეისი, ფორლინი - კოშტა
**ტრავმა:** ალვარესი, ალბინი (?), სანჩესი, როდრიგესი, მატიონი, მარკესი (?) - ლაბაკა, ხიმენესი (?)

**ვალენსია-მალიორკა 19:00**

**ტრავმა:** მიგელი, კანალესი, ბანეგა - პინა, სენდროსი

**რასინგი-ბარსელონა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტონიო - პიკე
**ტრავმა:** აკოსტა (?) - ტ. ალკანტარა (?), სანჩესი, ფონტასი, აბიდალი, ვილია, აფელაი

**ოსასუნა-ბილბაო 00:30**

**დისკვალიფიკაცია:** ტიმორი (ოსას)
**ტრავმა:** რიკარდო, იბრაჰიმა, მასუდი, ლეკიჩი - გურპეგი, კასტილიო, ოსიო

### ზეგ

**ვილიარეალი-ხეტაფე 00:00**

**ტრავმა:** როსი, მუსაჩიო (?), მარტინუჩო (?), ორიოლი, რუბენი, კატალა - მასილელა (?), ლოპესი, ლოპო, უსტარი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 25 | 22 | 1 | 2 | 85-21 | 67 |
| 2. ბარსელონა | 25 | 17 | 6 | 2 | 73-19 | 57 |
| 3. ვალენსია | 25 | 12 | 7 | 6 | 38-29 | 43 |
| 4. ლევანტე | 25 | 11 | 5 | 9 | 37-36 | 38 |
| 5. ბილბაო | 25 | 9 | 10 | 6 | 41-32 | 37 |
| 6. მალაგა | 25 | 11 | 4 | 10 | 36-37 | 37 |
| 7. ოსასუნა | 25 | 8 | 11 | 6 | 29-39 | 35 |
| 8. ვალეკანო | 25 | 10 | 4 | 11 | 36-38 | 34 |
| 9. ატლეტიკო | 25 | 8 | 9 | 8 | 34-31 | 33 |
| 10. სევილია | 25 | 8 | 9 | 8 | 27-28 | 33 |
| 11. ესპანიოლი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-34 | 33 |
| 12. ბეტისი | 25 | 9 | 3 | 13 | 29-35 | 30 |
| 13. სოსიედადი | 25 | 8 | 6 | 11 | 27-36 | 30 |
| 14. მალიორკა | 25 | 7 | 8 | 10 | 24-30 | 29 |
| 15. ხეტაფე | 25 | 7 | 8 | 10 | 25-34 | 29 |
| 16. გრანადა | 25 | 8 | 4 | 13 | 22-35 | 28 |
| 17. ვილიარეალი | 25 | 6 | 9 | 10 | 26-38 | 27 |
| 18. რასინგი | 25 | 4 | 12 | 9 | 21-35 | 24 |
| 19. სპორტინგი | 25 | 5 | 6 | 14 | 23-48 | 21 |
| 20. სარაგოსა | 25 | 4 | 6 | 15 | 21-46 | 18 |

**ბომბარდირები:** 30 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 16 - გონსალო იგუაინი (რეალი); 15 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 13 - ქარიმ ბენზემა (რეალი), მიჩუ (რაიო ვალეკანო); 12 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), რობერტო სოლდადო (ვალენსია); 9 - დავიდ ბარალი (სპორტინგი), რუბენ კასტრო (ბეტისი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).




# ჟოზეს 100 დღე

## ვიდრე რუსული არმია მადრიდს მოადგება...

დღეს ჟოზე მოურინიო „რეალს“ მეასედ გაიყვანს

სიმართლე გითხრათ, როცა ესპანეთის ჩემპიონატის 26-ე ტურის წყვილებს გავეცანით, დიდად საინტერესო დაპირისპირებები (ან ტრადიციის ან სატურნირო მდგომარეობის მიხედვით) ვერ ალმოვაჩინეთ. ჩემპიონატის დასრულებამდე 13 ტურით ადრე ლიდერი „რეალი“ სევილიაში ჩადის, სადაც „ბეტისს“ ხვდება. ტურის მთავარი დაპირისპირებაც ეგ არის. ხვალ „რეალის“ ერთადერთი მდევარი „ბარსელონა“ კანტაბრიაში „რასინგს“ ეპაექრება. მოკლედ, ლიდერებს არცთუ ძლიერი მეტოქეები ჰყავთ, თუმცა ერთია, ორივე სტუმრად თამაშობს და თუკი „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის გამო გადაღლილია (მარტო გოლების გატანით დაიღლებოდნენ კატალონიელები გერმანელთა კარში), „რეალს“ ამ ტურის შემდეგ ელის სალიგო ბატალია რუსულ არმიასთან.

სამი ესპანური კლუბი ევროპალიგის მატჩების მოგების შემდეგ უბრუნდება შინაურ პირველობას: „ბილბაო“, „ვალენსია“ და „ატლეტიკო“. ამათგან ყველაზე მეტი ხმაური ბასკურმა „ბილბაომ“ გამოიწვია - „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 3 გოლი გაუტანა და მოუგო. სხვებმა შინ 2-ბურთიანი სხვაობებით იმარჯვეს და შუა დაპირისპირებებში ფავორიტებად იქცნენ. თუმცა მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს - ახლა სამივემ უნდა მოასწროს ძალების აღდგენა, არადა, თამაშები ხომ ხუთშაბათს საღამოს იყო. სამივე კვირას თამაშობს, თუმცა „ატლეტიკო“ ადრიანად. მას მერე, რაც „ბეშიქთაშს“ 3:1 მოუგო, 65 საათის გასვლის შემდეგ „ლოს კოლჩონეროსი“ „გრანადას“ მასპინძლობს. ეს კი ძალიან ცოტაა. „ვალენსია“ შინ „მალიორკას“ დაუხვდება (67 საათი პსვ-ს 4:2 დამარცხების შემდეგ), ხოლო „ბილბაო“ ნავარას სტუმრობს (72 საათი).

### ბეტისი, ერთადერთი გუნდი, ვისთვისაც რონალდოს არ გაუტანია

ერთი ადამიანისთვის დღეს განსაკუთრებული დღეა - „რეალის“ პორტუგალიელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო**, რომელიც საკუთარ თავს „განსაკუთრებულს“ ეძახის (თუმცა ამის თქმის საფუძველი ნამდვილად აქვს), კარიერაში მეასედ გამოიყვანს „რეალს“ სათამაშოდ. 99 შეხვედრიდან მწვრთნელმა 76 მოიგო, 13-ში ფრეს დასჯერდა და მხოლოდ 10-ჯერ დამარცხდა. ამ მატჩებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა მოუტანა განსაკუთრებულს ტიტული - ესპანეთის თასის ფინალში „რეალმა“ დამატებით დროში კრიშტიანო რონალდოს თავურით „ბარსელონა“ დაამარცხა. მოურინიოს „რეალმა“ 271 გოლი გაიტანა ანუ 2,7 გოლი მატჩში და 79 გაუშვა. ყველაზე დიდი ანგარიშით მოურინიომ შარშანდელი თასის მერვედფინალში „ლევანტე“ დაამარცხა - 8:0. იყო 8:1 „ალმერიასთან“, 7:0 „მალაგასთან“, 7:1 „ოსასუნასთან“ და 6:0 „სარაგოსასთან“ (სტუმრად ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული).

„რეალი“ სტუმრად ძალიან მაგრად თამაშობს - „სამეფო კლუბის“ მონაპოვარი 13 „მშრალად“ შენახული მატჩია სეზონში (ყველა ოფიციალურ მატჩში). ლა ლიგაში ჟოზეს გუნდმა სულ 6 გოლი გაუშვა სტუმრად. ამიტომაც, „ბეტისთან“ მატჩში, იმის მიუხედავად, რომ თამაში ანდალუსიის დედაქალაქში გაიმართება, ფავორიტი ლიდერია. გუნდის ბომბარდირი **კრიშტიანო რონალდო** შესაშურ ფორმაშია - 30 გოლი გაიტანა. ამ შედეგით პორტუგალიელი გოლეადორი ლა ლიგის 81 წინა გათამაშებიდან 68-ში მოიგებდა „პიჩიჩის“. პრიმერა დივიზიონის 126 მატჩში რონალდოს ანგარიშზე 124 გოლია (საშუალოდ 0,98 გოლი მატჩში). რონალდოს ამ თამაშში თავისი მოტივაცია აქვს - „ბეტისი“ ლა ლიგის ერთადერთი გუნდია, ვისთვისაც რონალდოს არ გაუტანია.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ჟოზემ თქვა, რომ მისი უმთავრესი მიზანი „რეალის“ კარგი სტატისტიკის ტიტულებად ქცევაა. *„ხვალინდელ მატჩში გამოვიყენებ დღეისათვის საუკეთესო შემადგენლობას იმის მიუხედავად, რომ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩი გველის. მაპატიონ ბიჭებმა, მაგრამ ახლა ვერავის მივცემ დასვენების დროს. ჩემი აზრით, „ბეტისი“ საკმაოდ სერიოზული ოპონენტია. მათ გათვითცნობიერებული მწვრთნელი ჰყავთ. სევილიელებმა კი განსაკუთრებული მხარდაჭერა იციან თავიანთი გუნდის. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ „რეალს“ მძიმე მატჩი ელის. მიხარია, რომ ბენზემას დიდი პროგრესი აქვს, ის აუცილებლად იქნება განაცხადში, მაგრამ ითამაშებს თუ არა, ვერ გეტყვით - გარისკვა არ მინდა, ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ 2 თვე რჩება“.*

ამის შემდეგ მოურინიომ „რეალში“ მის კარიერაზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომ ბევრ დიდებულ მომენტთან ერთად ნეგატიურიც ახსოვს, თუმცა ასეთია ცხოვრებაო. პორტუგალიელმა თავკაცმა თქვა, რომ მადრიდში ფანტასტიკური გამოცდილება მიიღო.

„ბეტისთან“ მატჩის წინ ჟოზეს განკარგულებაში 21 ფეხბურთელი გახლდათ, მათ შორის ფრანგი ფორვარდი **ქარიმ ბენზემა**. თუკი მოიგებს, ეს „რეალის“ ზედიზედ მე-11 გამარჯვება იქნება ლა ლიგაში. სტუმრებს არ ეყოლებათ **ანხელ დი მარია** და **ფაბიო კოენტრაო**. დისკვალიფიცირებულია **რიკარდო კარვალიო**. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია გაუვიდა **პეპეს**. **ლასანა დიარასა** და **ჰამით ალთინთოპის** თამაში საეჭვოა.

### პიკე არ შეიწყალეს

ხვალ „ბარსელონა“ „რასინგს“ ესტუმრება, გავარდნის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატს. გუნდს, რომელმაც ორიოდე დღის წინათ მეორე მწვრთნელი გაათავისუფლა. **ექტორ კუპერის** ბედი მისმა შემცვლელმა **ხუანხო გონსალესმა** გაიზიარა. „რასინგს“ მისი თანაშემწეები, **ფედე კასტანიო** და **პაბლო პინილიოსი** გამოიყვანენ ჩემპიონის წინააღმდეგ. ამასობაში „ბარსელონამ“ წააგო საჩივარი - კატალონიური გრანდი **ჟერარდ პიკეს** ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას აპროტესტებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა - წინა მატჩში გაძევებული მცველი, „რასინგთან“ შეხვედრას გამოტოვებს.

### საინტერესო ამბავი

## მესის ძმა: ძმა ბაბუზე

**გუშინ**ამ ცნობამ მთელი მსოფლიო მოიარა - „ბარსელონას“ ვარსკვლავის, **ლიონელ მესის** ძმამ **მათიას მესიმ** ლეოს საპატივცემულოდ მხარზე მისი გამოსახულების ტატუ გაიკეთა. *„ყოველთვის, როცა ის თამაშობს, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ვუგზავნი, მაგრამ თანდათან ძნელია ახალი და საინტერესოს მოგონება - ის ხომ უცხოპლანეტელია. ვიცი, მისი შეჩერება, ახლა უფრო ძნელი იქნება, რადგან სურს, რაც შეიძლება მეტი რეკორდი დაამყაროს, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე“*, - აცხადებს მათიასი, რომელიც მიიჩნევს, რომ „ლევერკუზენის“ კარში გატანილი 5 გოლი, მხოლოდ შეტყობინებად არ ღირდა, ამიტომაც მან ლეოს ხუთი გოლი სვირინგის გაკეთებით აღნიშნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**





ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVII ტურის წინ

# ლომები ძაღლების ულუფისთვის

| გუშინ | |
|---|---|
| აიაჩო-მარსელი | 1:0 |
| გოლი: 1:0 ანდრე (89) | |
| **დღეს** | |
| ბრესტი-ბორდო | 22:00 |
| ევიანი-სოშო | 22:00 |
| ნიცა-ნანსი | 22:00 |
| ტულუზი-ლორიანი | 22:00 |
| ვალანსიენი-სტ. ეტიენი | 22:00 |
| ლიონი-ლილი | 00:00 |
| **ხვალ** | |
| დიჟონი-პსჟ | 20:00 |
| რენი-ოსერი | 20:00 |
| მონპელიე-კანი | 00:00 |

საფრანგეთის ჩემპიონატის 27-ე ტური გუშინ "აიაჩო"-"მარსელის" დაპირისპირებით გაიხსნა. ცენტრალური თამაში კი დღეს ლიონში ჩვენი დროით ღამის 12 საათზე დაიწყება. ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგაში კვიპროსულ აპოელთან შერცხვენილი "ლიონი" და "ლილი" დაუპირისპირდებიან. **რემი გარდის** გუნდს დღეს განსაკუთრებით სჭირდება 3 ქულა, რადგან წარუმატებელი სერია ძალიან გაეჭიმა. ბოლო 6 თამაშიდან მას 4 წაგება აქვს. *"აპოელ-თან გამოვარდნა წარმოუდგენელი იმედგაცრუება იყო. კვიპროსელებთან ძალიან ბევრი მომენტი გვქონდა. მიზნის მისაღწევად მთელი 120 წუთი ვუტევდით, მაგრამ... ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს გარკვეული მიზნები, რომელთა მიღწევაც შეგვიძლია. სწორედ ეს უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ კრიზისი დავძლიოთ. როცა პროფესიონალი ხარ, ვალდებულიც ხარ თავად წამოაყენო შენი კანდიდატურა. ყველაფერს გავილებთ, რათა მომავალი წლისთვის ისევ მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგის ზონაში,"* - აცხადებს რემი გარდი. თუმცა მისი ოპტიმიზმი ძალიან გადაჭარბებული გვგონია. სტატისტიკოსებმა დაითვალეს, სეზონი იანვარში რომ დაწყებულიყო, "ლიონი" გავარდნის უპირველესი კანდიდატი იქნებოდა. 2012 წელს გამართულ 6 ტურში მას 18 შესაძლებლიდან 5 ქულა აქვს აღებული. მესამე ადგილი საოცნებოდ კარგია, მაგრამ იქ ზუსტად ის გუნდი დგას, ვისაც "ლომები" უნდა შეხვდნენ – "ლილი". **რუდი გარსიას** ბიჭები წელს ძალიან არასტაბილურად თამაშობენ. თუკი "ძაღლების" თამაშების სრულ განრიგს დააკვირდებით, ამაში თავად დარწმუნდებით. ისინი გამარჯვებებსა და წაგებებს პრაქტიკულად თანაბარ სერიებად გვთავაზობენ. ამჯერად ჩრდილოელებს მიჯრით 2 ფრე აქვთ. "ოსერთან" ბოლო ტურში დაკარგული ქულა მეტისმეტად გულდასაწყვეტი გახლდათ, რადგან **ედენ აზარის** დუბლით მასპინძლები წინ იყნენ, მაგრამ 5 წუთში მთელი უპირატესობა გაანიავეს. *"ჩვენ დამაჯერებლად მიგვყავდა თამაში. მაშინაც კი, როცა მოედანზე ათნი ვიყავით. თუმცა სათამაშო დისციპლინა არ გვეყო. როცა მეტოქეც რიცხვნაკლული დარჩა, ზუსტად ამ დროს ვიფიქრეთ, რომ თამაში მოგებული გვქონდა. იმაში, რაც მოხდა, უმთავრესი დამნაშავეები ჩვენ ვიყავით და ამის გაანალიზება აუცილებელია. სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი სცენარი ჩვენს საშინაო მატჩებში პირველად არ მომხდარა,"* – განაცხადა რუდი გარსიამ.



რემი გარდის ლიონს მძიმე დღეები უდგას

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 26 | 16 | 7 | 3 | 48-26 | 55 |
| 2. მონპელიე | 26 | 16 | 6 | 4 | 49-26 | 54 |
| 3. ლილი | 26 | 12 | 11 | 3 | 45-29 | 47 |
| 4. რენი | 26 | 12 | 7 | 7 | 36-30 | 43 |
| 5. სტ. ეტიენი | 26 | 12 | 7 | 7 | 33-28 | 43 |
| 6. ტულუზი | 26 | 12 | 7 | 7 | 28-23 | 43 |
| 7. ლიონი | 26 | 12 | 4 | 10 | 41-34 | 40 |
| 8. მარსელი | 27 | 10 | 9 | 8 | 34-27 | 39 |
| 9. ბორდო | 26 | 9 | 9 | 8 | 31-30 | 36 |
| 10. ევიანი | 26 | 8 | 9 | 9 | 37-37 | 33 |
| 11. ვალანსიენი | 26 | 8 | 7 | 11 | 27-28 | 31 |
| 12. ბრესტი | 26 | 5 | 15 | 6 | 22-22 | 30 |
| 13. აიაჩო | 27 | 7 | 8 | 12 | 29-47 | 29 |
| 14. კანი | 26 | 7 | 7 | 12 | 30-37 | 28 |
| 15. ლორიანი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-34 | 27 |
| 16. დიჟონი | 26 | 7 | 6 | 13 | 31-45 | 27 |
| 17. ნიცა | 26 | 6 | 8 | 12 | 25-30 | 26 |
| 18. ნანსი | 26 | 6 | 8 | 12 | 24-35 | 26 |
| 19. ოსერი | 26 | 4 | 11 | 11 | 32-40 | 23 |
| 20. სოშო | 26 | 4 | 9 | 13 | 23-41 | 21 |

**ბომბარდირები:** 16 – ოლივიე ჟირუ (მონპელიე), 13 - ნენე (პარი სენ-ჟერმენი); 11 – ედენ აზარი (ლილი)

**ლევან ბიბილაშვილი**

ინტერვიუ. მარიო გომესი



სასოწარკვეთილი მარიო გომესი ლევერკუზენთან მატჩის (0:2) დროს

# სად გაქრა ჩვენი თავდაჯერება?

## გომესს სჯერა, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის

**„ბაიერნი" კრიზისშია: მიუნხენური კლუბი ბუნდესლიგის ლიდერ დორტმუნდის „ბორუსიას" უკვე 7 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის საფრთხეც ემუქრება. „ბილდი" ამ თემაზე რეკორდმაისტერის გოლეადორ, ბოლო დროს ძალიან ცუდ ფორმაში მყოფ მარიო გომესს გაესაუბრა.**

**- ჰერ გომეს, „ბაიერნის" დომინირებასთან ერთად, თქვენი საგოლე ალღოც გაქრა. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ეს ყველაფერი?**

- დამაგვირგვინებელ ფაზაში აღარ ვართ ისეთი ცივსისხლიანები, როგორც პირველ წრეში ვიყავით. ამასთან, მეორე წრეში აშკარად აღარ გვიმართლებს. ჩვენი მცველებიც გაცილებით ცუდად მოქმედებენ და ყველაფერმა ერთად კრიზისი გამოიწვია.

**- როგორ ახსნით იმას, რომ დაღმასვლა ზამთრის შესვენების შემდეგ დაიწყო?**

- ამას პირველ რიგში მძიმე წნეხს ვაბრალებ. „ბაიერნი" ვალდებულია, ყველა თამაში მოიგოს და ამით ნერვიულობაც მატულობს. მეორე წრეში აღარც თავდაჯერებულები ვართ. ასეთ დროს ტაქტიკური დისციპლინაც ქრება და ყველა ფეხბურთელი ნერვიულად მოქმედებს. ფაქტია, ასე არაფერი გამოვა...

**- „ლევერკუზენთან" პირველ ტაიმში გუნდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. რა მოხდა მეორე ნახევარში? რატომ გატყდა „ბაიერნი"?**

- არ ვიცი, ეს კონკრეტული წარუმატებლობა ვერაფრით ამიხსნია. პირველი ტაიმის შემდეგ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ეს თამაში მინიმუმ არ უნდა წაგვეგო, მეორე ნახევარში კი შეცდომებს ვუმატეთ, რაც მეტოქემ გამოიყენა.

**- „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა კრისტიან ნერლინგერმა თქვა, რომ ჩემპიონობაზე ხელი უნდა ჩაიქნიოთ. ეთანხმებით?**

- არა, რადგან სეზონის დამთავრებამდე 10 ტურია დარჩენილი და თუ დარჩენილ მატჩებს მოვიგებთ, რაც ადვილი ნამდვილად არ იქნება, „ვერცხლის სინის" მოპოვება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**- ჩემპიონთა ლიგაშიც რთულ სიტუაციაში ხართ: „ბაზელთან" სტუმრად 0:1-ზე წაგების შემდეგ მიუნხენში ბევრს აღარ სჯერა, რომ „ბაიერნი" მეოთხედფინალში გავა...**

- „ბაზელი" აუცილებლად უნდა გავაგდოთ! რაკი ბუნდესლიგაში საქმეები ისე ვერ წაგვივიდა, როგორც გვინდოდა, ჩემპიონთა ლიგაში მაინც არ უნდა ვჭამოთ სირცხვილი. მეოთხედფინალში გასვლა აუცილებელია.

**- ამბობენ, იუპ ჰაინკესს სადავეები გაექცა და გუნდს ჯეროვნად ველარ იმორჩილებსო...**

- ეს სისულელეა. ჰაინკესს სადავეები არ გაჰქცევია. „ბაიერნის" ბოლოდროინდელ წარუმატებლობებში ბრალი ყველაზე ნაკლებად მწვრთნელს მიუძღვის. ფეხბურთელებმა მეტად უნდა მოვინდომოთ და ამას პირველ რიგში საკუთარ თავს ვეუბნები.

**- საკუთარ თამაშს როგორ აფასებთ?**

- ფაქტია, რომ მეც კრიზისი მაქვს, მაგრამ დამიჯერეთ, თავს არ ვზოგავ; თან, მეც აღარ მიმართლებს, მაგრამ ამის გამო ძალიან არ ვნერვიულობ, რადგან ვიცი, რომ გოლებს კიდევ გავიტან.

**- გაისად?**

- არა, ამ სეზონში.

**- პირველ წრეში, შვიდი ტურის შემდეგ, თქვენს ანგარიშზე 8 გოლი იყო, ბოლო შვიდ მატჩში კი მხოლოდ ორი გოლი გაიტანეთ...**

- ასეთი შედარებები არ მიყვარს. თავდამსხმელებს ასეთი ფაზა ყველა სეზონში აქვთ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მატჩებში ყველაფერი გამოსწორდება.

**- ცოტა ხნის წინ კლუბის ხელმძღვანელებთან ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყეთ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

- ახლა სხვა რალაცები უფრო მთავარია. „ბაიერნთან" კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულამდე მაკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საჩქარო არაფერია.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### ნიუკასლის 4 მილიონი

"ნიუკასლმა" გულშემატკივარს 2010/11 წლების სეზონის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები გააცნო. აღმოჩნდა, რომ "კაჭკაჭებს" პრემიერლიგაში დაბრუნებისთანავე მკვეთრად გამოუსწორებიათ ფინანსური მდგომარეობა. თუკი ხსენებულ სეზონამდე მათი უარყოფითი ბალანსი 30 მილიონზე ზემოთ ფიქსირდებოდა, ელიტაში დაბრუნების შემდეგ ის მკვეთრად შემცირდა და 3,9 მილიონზე ჩამოვიდა.

### ანდრე სანტოსი ბრუნდება

"არსენალის" 29 წლის მარცხენა მცველმა **ანდრე სანტოსმა** დაასრულა ინდივიდუალური მზადების პროგრამა და ორშაბათიდან უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშებს თანაგუნდელებთან ერთად. ფეხბურთელმა ტრავმა 6 დეკემბერს "ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მიიღო და მას მერე არ უთამაშია.

### წითლების ბრაზილიური ინტერესი

"ტიბალფუტბოლის" ცნობით, ივნისში "ლივერპულმა" "ვასკო და გამადან" შეიძლება ბრაზილიის ნაკრების 23 წლის ცენტრალური მცველი **დედე** (ანდერსონ ვიტალ და სილვა) გადაიბიროს. თავად ფეხბურთელს უკვე დიდი ხანია უნდა სათამაშოდ ბებერ კონტინენტზე გადაბარგება. "ლივერპულის" გარდა ფეხბურთელის შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსაც" აქვს განზრახული.

### დემპსი ფულჰემში რჩება

"ფულჰემი" 29 წლის ამერიკელ თავდამსხმელ **კლინტ დემპსის** ახალ, 3-წლიან კონტრაქტს სთავაზობს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მიმდინარე სეზონში ფეხბურთელის ანგარიშზე ყველა ტურნირზე ერთად 18 გოლი და 6 საგოლე გადაცემაა. მოლაპარაკებები მხარეთა შორის უკვე დაწყებულია და სავარაუდოდ მას ხელი უახლოეს დღეებში მოეწერება.

### როსიცკის ახალი ხელშეკრულება

2012 წლამდე 31 წლის **ტომაშ როსიცკის** ხანდახან "არსენალის" განაცხადში მოხვედრაც კი უჭირდა. ხოლო როცა ხვდებოდა, ხანდახან ბოლომდე სკამზე რჩებოდა ხოლმე. ამის გამო გუნდიდან წასვლის ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევდნენ. თუმცა დადგა თებერვალი და ტომაში ერთიანად გარდაისახა. ის თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაზე **რობინ ვან პერსის** კონკურენტადაც კი იქცა. კლუბმა ვეტერანს მონდომება დაუფასა და 3-წლიანი ხელშეკრულება შესთავაზა. როსიცკის აგენტის **პაველ პაშკას** თქმით, მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და ის მალე ხელმოწერით დაგვირგვინდება.

**ლევან ბიბილაშვილი**



ტომაშ როსიცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A XXVII ტურის წინ

## გუშინ

**ნაპოლი–კალიარი 6:3**

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – ცუნიგა, დოსენა, ინლერი, გარგანო (73. ვარგასი) – პანდევი, ჰამშიკი (63. მაჯო) – ლავეცი (59. კავანი).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო (46. პერიკო), კანინი, ასტორი, არიაუდო – კონტი, დესენა (66. გოცი), ნაინგოლანი (31. რიბეირო) – ეკდალი – ლარივეი, იბარბო.

**გოლები:** 1:0 ჰამშიკი (10), 2:0 კანავარო (19), 3:0 ასტორი (30-საკ. კარში), 3:1 ლარივეი (37), 4;1 ლავეცი (56), 5:1 გარგანო (70), 5:2 ლარივეი (770, 6:2 მაჯო (84), 6:3 ლარივეი (90).

**გაფრთხილება:** პიზანო, კანინი, დესენა (კალიარი).

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 12(6)-8(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 40 000

**კიევო–ინტერი 0:2**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – დრამე, აჩერბი, ანდრეოლი, ფრეი – ბრედლი, სამარკო (61. ჯემაილი), ლუსიანო (71. პეტემაი) – რიგონი – თერეუ, პელისიერი (77. მოსკარდელი).

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – პოლი, სტანკოვიჩი, ძანეტი – სნეიდერი – ფორლანი (71. პაცინი), მილიტო.

**გოლები:** 0:1 სამუელი (87), 0:2 მილიტო (90).

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 5(1)-14(7); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 18 000

## დღეს

**პალერმო–რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ოსვალდო, კასეტი, სტეკელენბურგი (რომა).

**ტრავმა:** ბაჩინოვიჩი, სილვესტრი - ბურდისო, ჟუანი, პიანიჩი, ტოტი.

## ხვალ

**მილანი–ლეჩე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მექსე - დი მიკელე, ტომოვიჩი, დელვეკიო, კოსმი.

**ტრავმა:** პატო, მაქსი ლოპესი, ბოატენგი, მერკელი, შტრასერი, ზეედორფი, კასანო, ნესტა - გროსმიულერი, ჟულიო სერჟიო, კუადრადო.

**ატალანტა–პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მარილუნგო (ატალანტა).

**ტრავმა:** სტენდარდო, ლუკინი, კაპელი, ტირიბოკი - ფლოკარი, გობი, მარკესი, პალადინო.

**კატანია–ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ალმირონი - ბეჰრამი, ნასტასიჩი.

**ტრავმა:** ბიაჯანტი, კამპანიოლო, პოტენცა - კროლდრუპი, იოვეტიჩი.

**ჩეზენა–სიენა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პუდილი, პაროლო, კომოტო (ჩეზენა).

**ტრავმა:** ფონ ბერგენი, გუანა - ბოლცონი, დაგოსტინო, გონსალესი, ბრკიჩი.

**ჯენოა–იუვენტუსი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბონუჩი (იუვენტუსი).

**ტრავმა:** ანტონელი, ბოვო, გრანკვისტი - კიელინი, ბარცალი.

**ლაციო–ბოლონია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** სკალონი - ბიავა, პერესი.

**ტრავმა:** სტანკევიჩუსი, ძაური, რადუ, კონკო, ბროკი, ცანა, როკი - ლორია, მორლეო.

**ნოვარა–უდინეზე 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კარაჩოლო (ნოვარა).

**ტრავმა:** ლუდი, მარიანინი - აბდი, ბადუ, ისლა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 53-22 | 54 |
| 2. იუვენტუსი | 26 | 13 | 13 | 0 | 39-17 | 52 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 41-30 | 48 |
| 4. ნაპოლი | 27 | 12 | 10 | 5 | 50-28 | 46 |
| 5. უდინეზე | 26 | 13 | 7 | 6 | 37-23 | 46 |
| 6. ინტერი | 27 | 12 | 4 | 11 | 38-36 | 40 |
| 7. რომა | 26 | 11 | 5 | 10 | 39-33 | 38 |
| 8. კატანია | 26 | 8 | 11 | 7 | 34-35 | 35 |
| 9. პალერმო | 26 | 10 | 4 | 12 | 39-43 | 34 |
| 10. კიევო | 27 | 9 | 7 | 11 | 22-33 | 34 |
| 11. ატალანტა | 26 | 9 | 11 | 6 | 30-28 | 32 |
| 12. ფიორენტინა | 26 | 8 | 8 | 10 | 27-27 | 32 |
| 13. ბოლონია | 26 | 8 | 8 | 10 | 26-30 | 32 |
| 14. ჯენოა | 26 | 9 | 5 | 12 | 35-48 | 32 |
| 15. კალიარი | 27 | 7 | 10 | 10 | 26-34 | 31 |
| 16. პარმა | 26 | 7 | 9 | 10 | 32-41 | 30 |
| 17. სიენა | 26 | 7 | 8 | 11 | 30-28 | 29 |
| 18. ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 30-42 | 25 |
| 19. ნოვარა | 26 | 3 | 8 | 15 | 21-46 | 17 |
| 20. ჩეზენა | 26 | 4 | 5 | 17 | 16-40 | 17 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 18 – დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 16 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა); 13 - კლოზე (ლაციო); 12 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა).



იუვენტუსს დაცვაში გაუჭირდება

# იუვენტუსი დაცვის გარეშე

## მილანი არსენალის ჯავრით

შუა კვირაში, „ნაპოლის“ და „ინტერს“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩები ელით და გამომდინარე აქედან, ამ გუნდებმა გუშინ გამართეს თავიანთი შეხვედრები. დღეს ერთი თამაში შედგება, დარჩენილი პაექრობები კი ხვალ გაიმართება...

■ ■ ■

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი საკუთარ მოედანზე „ლეჩეს“ მიიღებს და ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროგნოზები ძალიან თამამად კეთდება. წესით, „მილანმა“ უნდა მოიგოს და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ლეჩე“ ბოლო დროს გამოცოცხლდა და რამდენიმემატჩიანი წაუგებელი სერიაც გამოაცხო. საყოველთაო ვარაუდით, ეს სერია „სან სიროზე“ შეწყდება, სადაც უდავო ფავორიტი „მილანია“. ამასთან, ლომბარდიელებს სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე და შეეცდებიან, რომ „არსენალთან“ ნაწნევი მარცხით გამოწვეული სირცხვილი ჩამოირეცხონ. მართალია, „როსონერიმ“ გააღწია ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, მაგრამ პირველი თამაშის შემდეგ მილანელებს გასაღწევად არ უნდა გაეხადათ საქმე. ერთი სიტყვით, **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი გამარჯვებაზეა დაგეშილი...

„მილანის“ ლაზარეთი კვლავაც სავსეა, მაგრამ „არსენალთან“ მატჩისწინა ვითარებას თუ გავიხსენებთ, შემადგენლობის მხრივ ცოტა უკეთესობაა. **სალი მუნტარის** ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის უფლება არ აქვს, **მასიმო ამბროზინი** კი დისკვალიფიცირებული გახლდათ - „ლეჩესთან“ ორივე იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „როსონერის“ შუა ხაზში პრობლემები ნაკლებად შეექმნება. **მარკ ვან ბომელი** ამჯერად ალბათ თადარიგში დარჩება, მუნტარი-ამბროზინისთან ერთად კი ნახევარდაცვას **ანტონიო ნოჩერინო** გაამაგრებს. გამთამაშებლის პოზიციაზე **ურბი ემანუელსონი** გაირჯება, შეტევის წინა ხაზზე კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოს** ტანდემს ვიხილავთ.

„ლეჩე“ შემტევი გუნდია, დაცვაში ჩაჯდომა გაუჭირდება და ალბათ შეეცდება ტემპში აჰყვეს გაცილებით ძლიერ მეტოქეს - რაც მთავარია, **მურიელია** სრულ მზადყოფნაში, რომელსაც „მილანის“ მესვეურები აკვირდებიან; ახალგაზრდა ფორვარდს შესანიშნავი შანსი აქვს, რომ თავისი შესაძლებლობები ლომბარდიელებს „სან სიროზე“ დაუმტკიცოს.

■ ■ ■

„იუვენტუსი“ გენუაში ჩადის, სადაც „ჯენოასთან“ მოუწევს დაპირისპირება. ამ მატჩზე პროგნოზების გაკეთება ურთულესი საქმეა, რადგან „იუვემ“ ბოლო პერიოდში მკვეთრად უკლო, „ჯენოა“ კი საერთოდ არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ **კახა კალაძის** გუნდს ყველაზე მეტად დაცვაში უჭირს - სამაგიეროდ, პერიოდულად შეტევის ხაზი ბრწყინავს და ხან **როდრიგო პალასიო** იგიუებს თავს, ხან **ჯუზეპე სკული** და ხანაც **ბოშკო იანკოოვიჩი**. რა მოხდება ამჯერად, ერთი ღმერთმა უწყის, მით უმეტეს, „იუვენტუსს“ დაცვის ხაზში უსერიოზულესი პრობლემები შეექმნა...

დიახ, **ანტონიო კონტე** მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რადგან ერთბაშად სამი ცენტრალური მცველის გარეშე დარჩა. **ჯორჯო კიელინი** და **ანდრეა ბარცალი** ტრავმირებულნი არიან, **ლეონარდო ბონუჩიმ** კი წინა შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიცირებულია. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, დაცვის ცენტრს **მარტინ კასერესი** და **არტურო ვიდალი** გაამაგრებენ, ფლანგებზე კი **შტეფან ლიხტშტაინერი** და **პაოლო დე ჩელიე** გაირჯებიან. საგულისხმოა, რომ სათადარიგოთა სკამზე „იუვეს“ არც ერთი მცველი არ ეყოლება - თუმცა, რომ ჰყავდეს, ვიდალს ხომ არ მოუწევდა კასერესთან შეწყვილება... მოკლედ, ტურინელებს დაცვაში ნამდვილად უჭირთ და საკითხავი ისაა, შეტევაში მაინც თუ არიან დალხენილად...

„გაძეტას“ ვარაუდით, შეტევის წინა ხაზზე **სიმონე პეპეს**, **მირკო ვუჩინიჩს** და **მარკო ბორიელოს** ვიხილავთ - ანუ, **ალესანდრო დელ პიერო**, **ფაბიო კვალიარელა** და **ალესანდრო მატრი** კვლავაც თადარიგში იქნებიან. კაცია და გუნებაო, თორემ „იუვეს“ გულშემატკივართა აბსოლუტური უმეტესობა სწორედ რეზერვში გადასროლილთა ძირითადში გამწესების მომხრეა. ვნახოთ, ამჯერად მაინც თუ გაუმართლებენ კონტეს შეგირდები.

■ ■ ■

ტური ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდების მატჩებით დასრულდება - კვირას გვიან საღამოს, „ლაციო“ „ბოლონიას“ უმასპინძლებს, „უდინეზე“ კი „ნოვარას“ ესტუმრება. რომაელები შესანიშნავ ხასიათზე არიან, რადგან წინა ტურში დერბი მოიგეს, აი, უდინელები კი შუა კვირაში „ალკმაართან“ დამარცხდნენ და სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე. ბოლოს სწორედ ფრიულელთა თავკაცს, **ფრანჩესკო გვიდოლინს** მოვუსმინოთ, რომელმაც ევროპის ლიგაზე განცდილი მარცხი შეაფასა და „ნოვარასთან“ მოახლოებულ პაექრობაზე ისაუბრა:

*„ჰოლანდიაში მოსაგებად ჩავედით, მაგრამ სამწუხარო მარცხი ვიწვნიეთ. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ. რაც შეეხება „ნოვარასთან“ პაექრობას, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გვსურს, სწორედ ასეთ მატჩებში უნდა დავამტკიცოთ შესაძლებლობები. ანტონიო დი ნატალეს მცირე ტრავმა ჰქონდა და ამად არ იყო „ალკმაართან“ ძირითად შემადგენლობაში - უკვე, სრულიად ჯანმრთელია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ნოვარას“ პირველივე წუთებიდან შეუტევს“.*

● მოსაზრება

# ურბის ბრძნული ნაბიჯი

**ურბი ემანუელსონი** „მილანში“ 2011 წლის ზაფხულში გადავიდა, იქამდე კი ამსტერდამის „აიაქსის“ ღირსებას იცავდა და ჰოლანდიური გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. თავიდან ცოტა გაუჭირდა ლომბარდიულ გრანდში დამკვიდრება, თუმცა ბოლო დროს აშკარად მოუმატა და ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრად იქცა. მართალია, ამას „მილანის“ სავსე ლაზარეთმაც შეუწყო ხელი, მაგრამ ურბის წარმატებას ეს ნაკლებად აკნინებს. „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტთან ემანუელსონმა „მილანში“ მის ყოფაზე ისაუბრა:

*„ჰოლანდიის დატოვება ძალიან გამიჭირდა, რადგან „აიაქსი“ ერთ მუშტად შეკრული გუნდი იყო და იქ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც საკუთარ სახლში. ამიტომ, არაერთხელ ვთქვი უარი სხვადასხვა შეთავაზებაზე... თუნდაც „რომას“ და „ტოტენჰემის“ ვარიანტები ავილოთ, რომლის მესვეურებიც არაერთხელ გამოვიდნენ კონტაქტზე. ბოლოს, „მილანიც“ გამოჩნდა და იქ კი მივხვდი, რომ უარის თქმა უბრალოდ არ შეიძლებოდა. საბედნიეროდ, ახალ გუნდში შესანიშნავად მიმიღეს და ყველანაირად გვერდში დამიდგნენ. თავს უბედნიერესად ვგრძნობ და ერთი წუთითაც არ მინანია, რომ „როსონერიში“ გადმოსვლის გადაწყვეტილება მივიღე - მეტიც, ეს მართლაც ბრძნული ნაბიჯი იყო“.*



ურბი ემანუელსონი

● ნაპოლი

# ჰამშიკმა კონტრაქტი გაახანგრძლივა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, **მარეკ ჰამშიკმა** „ნაპოლისთან“ კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და ახალი პირობების თანახმად, ნეაპოლურ გუნდში 2016 წლამდე უნდა გაჩერდეს. თავს ვერ დავდებთ, რომ მარეკი კიდევ 4 წელი ნეაპოლში დარჩება, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით, ზაფხულში სხვა გუნდში გადაბარგება ფაქტობრივად გამორიცხა. აი, რა თქვა 24 წლის შემტევმა:

*„ნეაპოლში თავს ბედნიერად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. ჩემი ერთადერთი სურვილია, რომ ამ გუნდთან ერთად ტროფეები მოვიგო და ჩვენი შესანიშნავი გულშემატკივრები გავახარო. როდესაც კლუბის მესვეურებისგან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე წინადადება მივიღე, ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ და უმალ დავთანხმდი“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



მარეკ ჰამშიკი

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტურის წინ

# ფეთქებადი სიტუაცია მიუნხენში

## ჰოფენჰაიმთან გამარჯვება აუცილებელია, თორემ...

### გუშინ

**შტუტგარტი–კაიზერსლაუტ. 0:0**

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულაჰრუზი, ტასკი, ნიდერმაიერი, საკაი - კვისტი, კუზმანოვიჩი - ჰარნიკი (68. შიბერი), ჰაინალი (60. კაკაუ), ოკაზაკი (82. გებჰარტი) - იბიშევიჩი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი - დიკი, შიმუნეკი, აბელი, იესენი - ბორისიუკი, დე ვიტი - სუკუტა-პასუ (35. შაჰანი), ტიფერტი, დერშტროფი (86. შეხტერი)- ვაგნერი.

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-22; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 17-4 (10-1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 50 000

### დღეს

**ვოლფსბურგი–ლევერკუზენი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:3

**დისკვალიფიკაცია:** ჟოსუე (ვოლფსბურგი)

**ტრავმა:** ირჟაჩეკი, მედოიევიჩი – ადლერი, ჩორლუკა, ბალაკი, ბარნეტა, სემი

**მაინცი–ნიურნბერგი 18:30**

**პირველ წრეში:** 3:3

**დისკვალიფიკაცია:** პეკჰარტი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** ბელი, პოსპეხი, სვენსონი, რისე – რაკოვსკი, ნილსონი, ფრანტცი

**ბორუსია (მ)–ფრაიბურგი 18:30**

**პირველ წრეში:** 0:1

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჰერმანი – ბართი, ჰიონი, კრმასი, ს. ბრანდშტეტერი

**ბაიერნი–ჰოფენჰაიმი 18:30**

**პირველ წრეში:** 0:0

**დისკვალიფიკაცია:** ბეკი (ჰოფენჰაიმი)

**ტრავმა:** ბრენო, ვან ბუიტენი – იბერტსბერგერი, ლაკიჩი, შიპლოკი

**კიოლნი–ჰერტა 18:30**

**პირველ წრეში:** 0:3

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯემალი, პეტიტი, ჩიჰი, უთი – ფრანცი, ლუსტენბერგერი

**აუგსბურგი–ბორუსია (დ) 21:30**

**პირველ წრეში:** 0:4

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** დე იონგი, გოგია, მორავეკი – კოხი, მ. გიოტცე

### ხვალ

**ვერდერი–ჰანოვერი 18:30**

**პირველ წრეში:** 3:2

**დისკვალიფიკაცია:** კ. შულცი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** ნალდო, ბოროვსკი, ჰანტი, არნაუტოვიჩი – მილერი, ანდრეასენი, შმიდებახი, დიუფი

**შალკე–ჰამბურგი 20:30**

**პირველ წრეში:** 2:1

**დისკვალიფიკაცია:** პაპადოპულოსი – იაროლიმი, გერერო

**ტრავმა:** ფერმანი, უნერშტალი, ჰიოვედესი – მიკელი, აოგო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 24 | 17 | 4 | 3 | 52-16 | 55 |
| 2. ბაიერნი | 24 | 15 | 3 | 6 | 51-16 | 48 |
| 3. ბორუსია (მ) | 24 | 14 | 5 | 5 | 37-15 | 47 |
| 4. შალკე | 24 | 14 | 2 | 8 | 51-32 | 44 |
| 5. ლევერკუზენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-29 | 40 |
| 6. ვერდერი | 24 | 10 | 6 | 8 | 37-38 | 36 |
| 7. ჰანოვერი | 24 | 8 | 11 | 5 | 30-32 | 35 |
| 8. შტუტგარტი | 25 | 9 | 6 | 10 | 41-33 | 33 |
| 9. ნიურნბერგი | 24 | 9 | 4 | 11 | 23-32 | 31 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 24 | 7 | 9 | 8 | 27-28 | 30 |
| 11. ვოლფსბურგი | 24 | 8 | 4 | 12 | 28-44 | 28 |
| 12. მაინცი | 24 | 6 | 9 | 9 | 35-38 | 27 |
| 13. ჰამბურგი | 24 | 6 | 9 | 9 | 28-42 | 27 |
| 14. კიოლნი | 24 | 7 | 4 | 13 | 31-46 | 25 |
| 15. ჰერტა | 24 | 5 | 8 | 11 | 26-40 | 23 |
| 16. აუგსბურგი | 24 | 4 | 10 | 10 | 25-39 | 22 |
| 17. ფრაიბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 30-52 | 21 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 25 | 3 | 11 | 11 | 16-32 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 – გომესი (ბაიერნი), ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 15 – პისარო (ვერდერი); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი); 13 – როისი (ბორუსია /მ/); 11 – აბდელაუ (ჰანოვერი), რაული (შალკე).



ბაიერნის ლიდერები: კაპიტანი ფილიპ ლამი და არიენ რობენი – მიუნხენში ყველა დაძაბულია

მორჩა, გათავდა: „ბაიერნმა" უნდა მოიგოს! წინააღმდეგ შემთხვევაში, დენთის კასრზე შემომჯდარი რეკორდმაისტერი ნამდვილად აფეთქდება. **იუპ ჰაინკესის** გუნდს გამარჯვებისთვის ფაქტობრივად ყველა წინაპირობა აქვს შექმნილი: მასპინძლობს „ჰოფენჰაიმს", რომელსაც არც მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება და ვერც ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძვის. გარდა ამისა, ბუნდესლიგის 25-ე ტურში „გლადბახი" „ფრაიბურგთან" შეხვედრაში ძველი სიმსუბუქის დაბრუნებას შეეცდება. კიოლნში გადარჩენისთვის მებრძოლ გუნდებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა – იქ ბერლინის „ჰერტა" ჩადის. ლიდერ „დორტმუნდს" კი „აუგსბურგთან" ექნება საქმე...

### ჰა, ბურთი! ჰა, მოედანი! ჰა, ჰოფენჰაიმი!

წინა ტურში, „ლევერკუზენთან" წაგების (0:2) შემდეგ მიუნხენელებმა ჩემპიონობაზე ხელი რომ ჩაიქნიეს, ეს ცოტათი გადაჭარბებული საქციელი გვგონია – რაც არ უნდა იყოს, სეზონის ფინიშამდე ხომ 10 ტურია დარჩენილი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთი თამაშითა და შემართებით მიუნხენურ გრანდს „ვერცხლის სინის" დაბრუნების შანსი არ აქვს. **თომას მიულერისა** და **ჟერომ ბოატენგის** დაპირისპირება ხელმძღვანელებმა მიჩქმალეს, სამაგიეროდ, პოზიტიური სიახლეა ის, რომ **ბასტიან შვაინშტაიგერი** გამოჯანმრთელდა. თუმცა, „ჰოფენჰაიმთან" ძირითად შემადგენლობაში ალბათ მაინც ვერ ვნახავთ – მაქსიმუმ შეცვლაზე ითამაშოს. „ბაიერნის" მთავარი პლუსი ამ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე ასპარეზობაა. მიუხედავად იმისა, რომ „ჰოფენჰაიმს" ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და ახალი მწვრთნელის, **მარკუს ბაბელის** ხელში ურიგოდ არ გამოიყურება, ფაქტია, რომ „სოფლელებს" „ბაიერნი" აქამდე არასდროს დაუმარცხებიათ (0/3/4).

წინა ტურის შემდეგ მცირეოდენი სასოწარკვეთაა მიონხენგლადბახშიც: „ნიურნბერგთან" 0:1-ის შემდეგ, ჩვენი გერმანელი კოლეგები სეზონის მთავარ აღმოჩენაზე წერენ, **ლუსიენ ფავრის** გუნდმა დაკარგა ის სიმსუბუქე, რომელიც ყველა კონკურენტისგან გამოარჩევდაო. „გლადბახს" მარჯვენა გარემარბი **პატრიკ ჰერმანიც** ძალიან აკლდა და ყველასათვის მოულოდნელად, „მეორე როისად" წოდებული ნახევარმცველი ნაადრევად გამოჯანმრთელდა. დღეს „გლადბახი" „ფრაიბურგს" მასპინძლობს – გუნდს, რომელმაც ახალი მწვრთნელის, **კრისტიან შტრაიხის** ხელში აშკარად მოუმატა, ოღონდ, მხოლოდ საშინაო მატჩებში (წინა ტურში ბრაისგაუელებმა „შალკეს" 2:1 მოუგეს), აი, სტუმრად კი „ფრაი" ისევ უსუსურად გამოიყურება (სამი წაგება და 10 გაშვებული გოლი 2012 წელს). ნახევარმცველი **როზენტალი** ამიტომაც ამბობს, დროა, გასვლით მატჩშიც ავიღოთ ქულებიო.

### როგორ გადაიტანს 1:7-ს ლევერკუზენი?

ბარსელონაში ჩასვლამდე „ლევერკუზენის" საქმეები ძალიან კარგად იყო: „ფარმაცევტებმა" ამ სეზონში პირველად მოახერხეს ზედიზედ სამი თამაშის მოგება და რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ პირველად დაამარცხეს „ბაიერნი". ამ ტენდენციას ლოგიკურად მოჰყვა ამბიციის გაზრდაც: „ბაიერის" შეფებმა თამამად თქვეს, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა შეგვიძლიაო. მაგრამ მერე იყო „ნოუ კამპზე" განცდილი კრახი (1:7) და ლევერკუზენელებს ხასიათი ისევ წაუხდათ. **რობინ დუტის** გუნდი ამჯერად ვოლფსბურგში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელსაც საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის ამბიცია კი აქვს, მაგრამ ბოლო დროს თამაშებს ვეღარ იგებს და შესაბამისად, ცხრილში ერთ ადგილს ტკეპნის. „მგლებმა" წინა ტურში აუტსაიდერ „კაიზერსლაუტერნის" დამარცხებაც ვერ შეძლეს (0:0). მართალია, „ვოლფსბურგის" მწვრთნელ-მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** თქვა, ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშაო, მაგრამ ფაქტია, ეს მოსაზრება ზედმეტად სუბიექტური და ექსკლუზიური იყო.

სამაგიეროდ, ხასიათი გამოუსწორდათ ნიურნბერგელებს – „გლადბახთან" გამარჯვებამ **დიტერ ჰეკინგის** გუნდი ცხრილშიც საკმაოდ დააწინაურა. ფრანკები ამჯერად „მაინცს" სტუმრობენ, სადაც „ნიურნბერგს" ბოლო ოთხი თამაში წაგებული აქვს.

### უმძაფრესი მატჩი კიოლნში

უკიდურესად დაძაბულ და ვნებათაღელვით აღსავსე მატჩს უნდა ველოდოთ კიოლნში, სადაც მე-14 ადგილზე მყოფი „თხები" **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას" მასპინძლობენ. ბერლინელებმა წინა ტურში, როგორც იქნა, გაიმარჯვეს (1:0 ვერდერთან) და ცხრილში მე-15 ადგილამდე აბობღდნენ. თავად კიოლნელებმა წინა კვირას „ჰოფენჰაიმთან" ფრეს (1:1) მიაღწიეს, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ **ლუკას პოდოლსკი** და კომპანია გასავარდნ ზონასთან უკვე ძალიან ახლოს არიან. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „კიოლნს" 2012 წელს საკუთარ მოედანზე ჯერ ერთი ქულაც კი არ აუღია (1:4 შალკესთან, 0:1 ჰამბურგთან, 0:2 ლევერკუზენთან).

### დორტმუნდი აუგსბურგში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინა ტური ზუსტად ისე წარიმართა, როგორც დორტმუნდელებს უნდოდათ – კონკურენტები დამარცხდნენ, „ბორუსიამ" კი „მაინცთან" ზედიზედ მერვე თამაში მოიგო (2:1) და უმთავრეს მდევარ „ბაიერნს" უკვე შვიდი ქულით უსწრებს. მიუხედავად ამისა, მოქმედი ჩემპიონები ყველანაირად თავს არიდებენ იმაზე საუბარს, რომ ბუნდესლიგის ბედი ნაადრევად გადაწყდა. *„შარშანაც არ გვაინტერესებდა, რამდენი ქულით ვუსწრებდით მეორეადგილოსანს და ამას არც წელს ვაქცევთ ყურადღებას,"* - აცხადებს BVB-ს თავკაცი **იურგენ კლოპი.**

„დორტმუნდის" მეტოქე დღეს გადარჩენისთვის მებრძოლი „აუგსბურგია", რომელმაც ბოლო დროს თამაში და შედეგები გამოასწორა (3:0 ჰერტასთან, 2:2 ჰანოვერში). აქვე ისიც ვთქვათ, რომ მას მერე, რაც ბუნდესლიგაში მოგებისთვის სამი ქულაა დაწესებული (1995/96 წლების სეზონიდან), გუნდი, რომელიც 24 ტურის შემდეგ 5 ან მეტქულიანი უპირატესობით ლიდერობდა, ყოველთვის ჩემპიონი ხდებოდა...

### ვერდერის პირველი ფინალი ევროპისკენ

„ჰერტასთან" წაგების შემდეგ, „ვერდერის" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** თქვა, ამიერიდან, ჩვენთვის ყველა მატჩი ფინალიაო. ბრემენელების მიზანი ევროპაში გასვლაა და მართალია, ჯერაც ექსვეულში არიან, მაგრამ უახლოეს მდევარ „ჰანოვერს" მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულითღა უსწრებენ. საინტერესო ის არის, რომ ხვალ „ვერდერი" სწორედ „ჰანოვერს" მასპინძლობს. **მირკო სლომკას** გუნდმა შუა კვირაში ევროპის ლიგაში ითამაშა (2:2 ლიეჟში, „სტანდარდთან") და „წითლებს" იმ შეხვედრაში წამყვანი თავდამსხმელი, იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადმოყვანილი **დიუფი** დაუშავდათ. აღსანიშნავია, რომ ბრემენში ბოლო სტუმრობების დროს „ჰანოვერი" უმეტესად ხელცარიელი რჩებოდა ხოლმე. „ვეზერშტადიონზე" ჩატარებული ბოლო რვა მატჩის ბალანსი ასე გამოიყურება: სამი ფრე, ხუთი წაგება, ბურთების შეფარდება 3:22.

### შალკე ჰამბურგს ვერ უგებს ხოლმე...

ტური „შალკესა" და „ჰამბურგის" დაპირისპირებით დამთავრდება. გელზენკირხენელებმა პერუელი ნახევარმცველი **ჯეფერსონ ფარფანი** დღემდე ვერ დააშოშმინეს – ეს უკანასკნელი უკვე თანაგუნდელებსაც ნერვებს უშლის. „შალკეს" კაპიტანი **ჰიოვედესი** ტრავმირებულია, ბომბარდირ **ჰუნტელაარის** თამაში კი კითხვის ნიშნის ქვეშაა - ჰოლანდიელმა ვერც ევროპის ლიგაში (ტვენტესთან 0:1) ითამაშა. საინტერესოა ისიც, რომ „ჰამბურგი" ნამდვილად არ არის გელზენკირხენელი ფანების საყვარელი სტუმარი: „შალკეს" HSV-სთვის შინ 2004 წლის აპრილის მერე აღარ მოუგია. თანაც, „ჰამბურგს" ახლა გასვლით მატჩებში რვამატჩიანი (!) წაუგებელი სერია აქვს...

ჰერტა

# კობიაშვილი რეჰაგელის მარჯვენა ხელია

## გაცილებით საპასუხისმგებლო პოზიცია და კაპიტნის სამკლავური ყველაფერზე მეტყველებს

14 წელია, **ლევან კობიაშვილი** ბუნდესლიგაში საკუთარ თავს არ ზოგავს და თამამად ვიტყვით, მას ეს თავდადება გერმანიაში ყოველთვის და ყველგან უფასდებოდა – „ფრაიბურგშიც", „შალკეშიც" და ახლა „ჰერტაშიც". როცა ბერლინული კლუბის მთავარ მწვრთნელად **ოტო რეჰაგელი** დაინიშნა, მაშინვე ვივარაუდეთ, რომ „მეფე ოტო" კობის უფრო მეტად დააფასებდა, რადგან 73 წლის რეჰაგელს უყვარს გამოცდილი, მებრძოლი, თავდადებული, მწვრთნელის სიტყვის უსიტყვოდ შემსრულებელი მოთამაშეები. ასეც მოხდა: კობიაშვილი ფაქტობრივად რეჰაგელის მარჯვენა ხელი გახდა – ოტომ 34 წლის ლევანს ჯერ ადგილი შეუცვალა და გაცილებით საპასუხისმგებლო, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე გადაიყვანა, ახლა კი კაპიტნის სამკლავურიც გაუკეთა.

რეჰაგელმა დანიშვნისთანავე თქვა, მარცხენა მცველის პოზიციაზე კობიაშვილის შესაძლებლობების ნახევარი იკარგებაო და ვინც იფიქრა, რომ ოტო ლევანს ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებდა, მწარედ შეცდა. რეჰაგელი პირველ დღეებში იმასაც ამბობდა, გადარჩენისთვის ბრძოლა მართლა ბრძოლას ნიშნავს და ვისაც ეს ეზარება, მოედანზე არაფერი ესაქმებაო. ფაქტია, „ჰერტას" დღევანდელი შემადგენლობიდან ბრძოლა ყველაზე ნაკლებად სწორედ ვეტერან კობიაშვილს ეზარება – ამიტომაც გადასწია რეჰაგელმა ნახევარდაცვის ცენტრში.

*„მართალია, ახლა უფრო მეტი სირბილი და ორთაბრძოლა მიწევს, მაგრამ რა პრობლემაა. პირიქით, ნახევარდაცვაში თამაში მეტ სიამოვნებას მანიჭებს,"* - ამბობს კობი. მეტი სიამოვნება მეტ პასუხისმგებლობასაც ნიშნავს და „კიკერი" თამამად წერს, რომ კობიაშვილი რეჰაგელის მარჯვენა ხელია. კაპიტნობასთან დაკავშირებით კობიაშვილმა „კიკერსაც" იგივე უთხრა, რაც „ლელოს" გასულ კვირაში: *„პრინციპში, პასუხისმგებლობის მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა, რადგან მე საქმეს კაპიტნის სამკლავურის გარეშეც მაქსიმალური პასუხისმგებლობით ვეკიდები."*

კობის ახალ პოზიციაზე გადაყვანისა და გაკაპიტნების შემდეგ, „ჰერტაში" ახალი კითხვაც გაჩნდა: ვინ იქნება მეორე საყრდენი? რეჰაგელის წინამორბედები, **მარკუს ბაბელი** და **მიხაელ სკიბე** 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, საყრდენებად **ანდრეას ოტლს** და **პეტერ ნიმაიერს** ათამაშებდნენ ხოლმე. ახლა, ამ ორი ადგილიდან ერთი ქართველ ნახევარმცველს აქვს დაკავებული, რაც იმას ნიშნავს, რომ სკამზე ან ოტლი უნდა დაჯდეს, ანაც ნიმაიერი. ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდნის პერსპექტივა კი არც ერთს არ ეპიტნავება.

*„როგორც ხედავთ, ბევრი რამ შევცვალე და „ვერდერთან" შედეგიც გამოჩნდა,* - ამბობს რეჰაგელი, - *კობიაშვილს „კიოლნთანაც" ნახევარდაცვის ცენტრში ვათამაშებ და საერთოდ, თუ დაცვის მარცხენა ფრთაზე ძალიან არ გამიჭირდა, ლევანს იქ აღარ დავაბრუნებ. „ვერდერთან" კობიმ შესანიშნავად ითამაშა და იმედი მაქვს, რომ ასე გააგრძელებს. ყველამ მას უნდა მიბაძოს და მხოლოდ ასე შევძლებთ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას."*

შეგახსენებთ, რომ ლევან კობიაშვილს ბუნდესლიგაში 329 მატჩი აქვს ჩატარებული და დღესდღეობით, არაგერმანელ ფეხბურთელებს შორის, რომლებსაც ბუნდესლიგაში უთამაშიათ, მატჩების რაოდენობით მხოლოდ ორს, **სერგეი ბარბარესს** (330) და **ზე რობერტოს** (336) ჩამორჩება. ასე რომ, კიდევ 8 მატჩი და კობი ბუნდესლიგის რეკორდსმენი გახდება. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ფეხბურთელებიდან მას **კლაუდიო პისარო** (ვერდერი, 325 მატჩი) მისდევს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ოტო რეჰაგელისთვის გუნდში მთავარი დასაყრდენი ლევან კობიაშვილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტურის წინ

**დღეს**

**ბოლტონი-ქუინზ პარკი 16:45**

**ტრავმა:** გარდნერი, ლი, ჰოლდენი, მირსი, რაილი, დევისი, ალონსო – კემპბელი, ჰელგუსონი, ფორლინი, ჰოლი, დაიერი

**ასტონ ვილა-ფულჰემი 19:00**

**ტრავმა:** კლარკი, დენი, ბენტი, დელფი – კელი, ჰიუზი, გრიგერა, სიდუელი

**ჩელსი-სტოკ სიტი 19:00**

**ტრავმა:** კოული, ბოსინგვა – სიდიბე, უილკინსონი

**სანდერლენ.-ლივერპული 19:00**

**ტრავმა:** ბრამბლი, ანხელერი, ვესტვუდი, კირიაკოსი, რიჩარდსონი, ბრაუნი – ლეივა, ჯერარდი, ჯონსონი, აგერი

**დისკვალიფიკაცია:** კატერმოული, სესინიონი

**ვულვერჰემპტ.-ბლეკბერნი 19:00**

**ტრავმა:** ჰენრი, ედვარდსი – სალგადო, გრელა

**ევერტონი-ტოტენჰემი 21:30**

**ტრავმა:** გიბსონი, როდუელი, ანიჩებე – დოუსონი, ჰადლსტოუნი, ლენონი, საა

**ხვალ**

**იუნაიტედი-ვესტ ბრომვიჩი 18:00**

**ტრავმა:** ვალენსია, ლინდეგორი, ფლეტჩერი, ოუენი, კლევერლი, ვიდიჩი – შარნერი, ტომასი, რიდი, ჯონსი, გერა

**სუონსი-მანჩესტერ სიტი 18:00**

**ტრავმა:** აგუსტინი, ბოდე, ლიტა – რიჩარდსი, საბალეტა, კომპანი

**დისკვალიფიკაცია:** დაიერი

**ნორვიჩი-უიგანი 20:00**

**ტრავმა:** აიალა, ვონი, რუდი, ტირნი

**ზეგ**

**არსენალი-ნიუკასლი 00:00**

**ტრავმა:** დიაბი, ფრიმპონგი, სანტოსი, უილშირი, კოკელენი, ბენაიუნი, არტეტა, რემსი, სკილაჩი, მერტეზაკერი – მარვო, რეინჯერი, ტეილორი, ბესტი, ლოვენკრანდსი, ამეობი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 27 | 21 | 3 | 3 | 69-19 | 66 |
| 2. იუნაიტედი | 27 | 20 | 4 | 3 | 66-27 | 64 |
| 3. ტოტენჰემი | 27 | 16 | 5 | 6 | 52-33 | 53 |
| 4. არსენალი | 27 | 15 | 4 | 8 | 55-38 | 49 |
| 5. ჩელსი | 27 | 13 | 7 | 7 | 47-32 | 46 |
| 6. ნიუკასლი | 27 | 12 | 8 | 7 | 39-39 | 44 |
| 7. ლივერპული | 26 | 10 | 9 | 7 | 30-25 | 39 |
| 8. ფულჰემი | 27 | 9 | 9 | 9 | 37-36 | 36 |
| 9. სტოკ სიტი | 27 | 10 | 6 | 11 | 27-38 | 36 |
| 10. ვესტ ჰემი | 27 | 10 | 5 | 12 | 34-35 | 35 |
| 11. ნორვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 38-44 | 35 |
| 12. სანდერლენდი | 27 | 9 | 7 | 11 | 35-31 | 34 |
| 13. ევერტონი | 26 | 9 | 7 | 10 | 27-28 | 34 |
| 14. სუონსი | 27 | 8 | 9 | 10 | 30-34 | 33 |
| 15. ასტონ ვილა | 27 | 6 | 12 | 9 | 30-35 | 30 |
| 16. ქუინზ პარკი | 27 | 5 | 7 | 15 | 28-46 | 22 |
| 17. ბლექბერნი | 27 | 5 | 7 | 15 | 38-60 | 22 |
| 18. ვულვზი | 27 | 5 | 7 | 15 | 30-56 | 22 |
| 19. ბოლტონი | 27 | 6 | 2 | 19 | 29-56 | 20 |
| 20. უიგანი | 27 | 4 | 8 | 15 | 23-52 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 18 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 16-16 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), დემბა ბა (ნიუკასლი); 13-13 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი); 12 –კლინტ დემპსი (ფულჰემი); 11-11 – ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), მარიო ბალოტელი (მანჩესტერ სიტი)



# დი მატეოს პრემიერლიგური პრემიერა

ამ უქმეებზე ინგლისის პრემიერლიგაში ცოტა უცნაური ტური ტარდება. კი დავფიქრდით, მაგრამ ვერც ერთ შეხვედრას ცენტრალურის სტატუსი ვერ მივანიჭეთ. ყველაზე საინტერესოდ "სანდერლენდი"-"ლივერპულის" დაპირისპირება მოგვეჩვენა. ორშაბათს "არსენალი"-"ნიუკასლიც" ტარდება, მაგრამ როცა ეს მასალა იწერება, იქამდე ჯერ კიდევ 72 საათზე მეტია დარჩენილი და "ემირიტსის" შეხვედრაზე წერა ცოტა გვიჭირს. პირველზე რატომ შეჩერდა არჩევანი, ახლავე გეტყვით. "სტედიუმ ოფ ლაითზე" **მარტინ ონილის** მისვლის შემდეგ "შავმა კატებმა" თამაში გამოასწორეს. მეტიც, იანვარში ისინი ფანტასტიკურად გამოიყურებოდნენ. 6 მატჩიდან 4 მოიგეს, 1 ფრედ ითამაშეს და მხოლოდ "სტემფორდ ბრიჯზე" დამარცხდნენ "ჩელსისთან". კარგი იყო თებერვლის დასაწყისიც, მაგრამ მერე ამას უეცრად "ვესტ ბრომვიჩთან" 0:4 და "სენტ ჯეიმს პარკზე" "ნიუკასლთან" უსახური 1:1 მოჰყვა. ამ თამაშის შემდეგ დამრიგებელმა შეგირდებს უსაყვედურა, პირველ ტაიმში კარგად გამოიყურებოდნენ, მეორეში კი საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ჩაეძინათო. გარდა უაზროდ დაკარგული ქულებისა, ონილი იმანაც გააბრაზა, რომ ის ორმა წამყვანმა ნახევარმცველმა დაალალატა. **მაიკ დინმა** ჯერ **სტეფან სესინიონი** გააგდო, საფინალო სასტვენის შემდეგ კამათისთვის მის გზას **ლი კატერმოულიც** გაუყენა. პირველს 3 მატჩით აუკრძალეს მინდორზე გასვლა, მეორეს – 4-ით.

■ ■ ■

"ლივერპულზე" კი რისი თქმა შეიძლება? გუნდს "არსენალთან" არაერთი და ორი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მეკარის დიდებული თამაშის გამო **კოშელნის** ავტოგოლს დაჰყაბულდა. მერსისაიდელებს ვერც ლიგის თასის მოგებამ უშველა. **კენი დალგლიშის** გუნდი ისევ კოჭლობს. ბოლო 5 შეხვედრაში "წითლებს" ერთადერთი მოგება აქვთ ქვედალიგელ "ლეიტონ ორიენტთან" (6:1) და ისიც 3 ავტოგოლის დახმარებით. პრემიერლიგაში კი "წითლებმა" ბოლოს "ვულვზს" 39 დღის წინ მოუგეს. მართალია, დალგლიშს დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ როგორც ირკვევა, შანსი იმისა, რომ **სტივ ჯერარდი** და **გლენ ჯონსონი** სასტარტოში თამაშს შეძლებენ, საკმაოდ მცირეა. საუკეთესო შემთხვევაში კაპიტანს 30 წუთით თუ შეეძლება მოედანზე გამოსვლა. *"მომავალ თამაშებზე ისეთივე განწყობით უნდა გავიდეთ, როგორც ეს "არსენალთან" გავაკეთეთ. ბიჭებმა ლონდონელებთან მართლა კარგად ითამაშეს. თუკი ამას მოვახერხებთ, ასე ხშირად აღარ წავაგებთ. ბოლო თამაშის დასრულების შემდეგ განწყობა ძალიან ცუდი იყო. ის ვერ მივიღეთ, რასაც ვიმსახურებდით. თუმცა თამაშის ხარისხი მაინც იმედის მომცემი იყო,"* - აცხადებს დალგლიში.

■ ■ ■

"ჩელსი"-"სტოკ სიტის" დაპირისპირება ყურადღებას ყველაზე მეტად იმით იპყრობს, რომ "ლურჯებს" პრემიერლიგის შეხვედრაში პირველად გაუძღვება **რობერტო დი მატეო**. მან ლონდონელებს შუა კვირაში უკვე უთავკაცა – "ბირმინგემთან" ინგლისის თასზე. ჟურნალისტებმა დანანებით აღნიშნეს, რომ იტალიელს არაფერი ახალი უჩვენებია. პრინციპში შეიძლება მან ეს ვერც მოასწრო. შანსი, იმის დასამტკიცებლად, რომ **ანდრე ვილაშ ბოაშისგან** რამეთი განსხვავდება, მას დღეს მიეცემა. სიმბოლურია, რომ "სტოკ სიტისთან" ჰქონდა დებიუტი მის წინამორბედსაც. იმედია, დი მატეო აღმოფხვრის შეცდომათა იმ "ბუკეტს", რასაც პორტუგალიელი სპეციალისტი შეეწირა – პირველ რიგში დაპირისპირებას წამყვან ფეხბურთელებთან.

■ ■ ■

დღეს საინტერესო თამაში შედგება ლივერპულის "გუდისონ პარკზე" - "ევერტონი"-"ტოტენჰემს" დაუპირისპირდება. მასპინძლებმა წინა ტურში თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს, როცა "ქუინზ პარკთან" ქულას ძლივს გამორჩნენ. "ტოტენჰემმა" კი ბოლო ორ ტურში საქმე ისე გაიხადა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი არა, მესამე ადგილიც საეჭვო გაუხდა. **ჰარი რედნაპის** გუნდმა შუა კვირაში "სტივენეიჯთან" ინგლისის თასის 1/8-ფინალში ითამაშა. მოგებით მოიგო, მაგრამ ორი წამყვანი ფეხბურთელის ტრავმად კი დაუჯდა – ვიცე-კაპიტანი **მაიკლ დოუსონი** სეზონის დარჩენილ ნაწილსაც გამოტოვებს და ვერც ევროპის ჩემპიონატზე წავა. **აარონ ლენონის** მდგომარეობა შედარებით მსუბუქია. თუმცა დღეს ის მოედანზე ვერ იქნება.

დაბოლოს, ხვალინდელ დაპირისპირებებზეც ვთქვათ. შუა კვირაში ევროპის ლიგაზე წყვილად ნაგებული თამაშების შემდეგ კვირას ერთდროულად იწყებენ თავიანთ თამაშებს მანჩესტერული გრანდები. "სიტი" "სუონსის" სტუმრობს. შეუძლებელია, რომ "სპორტინგთან" წაგება არ აისახოს **რობერტო მანჩინის** გუნდის განწყობაზე. მით უფრო, რომ "ეტიჰადის" მკვიდრთ ვერ დავაბრალებთ, რომ შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ. პირიქით, ისინი ძალიანაც მონდომებულები იყვნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. "სიტის" არც წინა ტურში უთამაშია კარგად. მართალია, "ბოლტონთან" 2:0-ისთვის რა ენერგიაც დახარჯეს ისიც ეყოთ, მაგრამ "სუონსი" სხვა საქმეა. უელსელებს ერთი სერიოზული პრობლემა აქვთ – მათ წინა ტურში გაძევებული **ნათან დაიერი** არ ეყოლებათ.

■ ■ ■

თანაქალაქელთა ფეხის დაცდენას ელოდება "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელიც მზადაა, "სიტი" ცხრილის სათავეში ჩაანაცვლოს. "ეშმაკებმა" ხუთშაბათს "ბილბაოსთან" ევროპის ლიგის საშინაო შეხვედრა დათმეს. დიდი ფიცი-მტკიცის მიუხედავად, იოლი შესამჩნევია, რომ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი სრულად კონცენტრირებული მხოლოდ პრემიერლიგაში თამაშობს. რას ნიშნავს ბოლომდე მობილიზებული "იუნაიტედი" ამას საკუთარ ტყავზე ხვალ **როი ჰოჯსონი** გამოცდის. თუმცა ნამდვილად არ გვინდა იმის თქმა, რომ მის გუნდს შანსი არ აქვს.

● არსენალი

# წარმატების ფორმულა მეთოფეებისთვის

**გთავაზობთ ბრიტანული "ტოქსპორტის" მასალას ლონდონის "არსენალზე". ავტორი მსჯელობს იმაზე, თუ რა შეიძლება გახდეს ჩრდილოლონდონური გუნდის წარმატების საფუძველი.**

### მოგება ნიუკასლთან

"მეთოფეებმა" იოლად დაძლიეს საშინელი ჩავარდნა და ზედიზედ მოიგეს შეხვედრები "ტოტენჰემთან", "ლივერპულთან" და "მილანთან". მათთვის ახლა მნიშვნელოვანია ტემპის შენარჩუნება. თუკი ორშაბათს "ნიუკასლთანაც" გაიმარჯვებენ, ოთხეულში ფეხს მყარად მოიკიდებენ და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოსახვედრად "ტოტენჰემზე" ზეწოლას გააძლიერებენ. "მეთოფეებმა" ყურადღება არ უნდა მიაქციონ იმედგაცრუებას, რაც ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით არის გამოწვეული.

### დეზების დაწევა

შეიძლება **არსენ ვენგერის** მთავარი მიზანი ზედა ოთხეულში თავის დამკვიდრება იყოს, მაგრამ "არსენალის" მომავალი უფრო მარტივი იქნება, თუკი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოახერხებს კვალიფიკაციას. თუ ეს მოხერხდა, მწვრთნელს მთელი ზაფხული მხოლოდ ტრანსფერები ექნება საფიქრალი. წარმოიდგინეთ, რამდენ ადამიანს გაუხარდება, თუკი ისინი მაინც მოახერხებენ ჩრდილოეთ ლონდონის მეფობას.

### ახალი კონტრაქტი ვან პერსის

ჩამონათვალში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია. როგორც ვიცით, **რობინ ვან პერსის** გარეშე "არსენალს" საუკეთესო შემთხვევაში ცხრილის შუაში მოუწევს ყურყუტი. მიმდინარე სეზონში ჰოლანდიელის მზადყოფნა ყოველ მატჩში გადამწყვეტ როლს თამაშობს. მის კონტრაქტს ვადა მალე გასდის და გუნდმა ფეხბურთელი უნდა დაარწმუნოს, რომ "ემირიტსზე" დარჩეს. ამისთვის საჭირო იქნება ლიგის საგზური, ხელფასის მომატება და რამდენიმე წარმატებული ფეხბურთელის ტრანსფერი.

### ჯეკის დაბრუნება

**ნასრისა** და **ფაბრეგასის** წასვლის შემდეგ ყველა წინასწარმეტყველებდა, რომ გუნდის ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა **ჯეკ უილშირი** გახდებოდა. სამწუხაროდ, ტრავმების გამო მას ჯერ ერთი წუთითაც არ უთამაშია. თუკი უილშირი სეზონის დასრულებამდე დაბრუნებას მოახერხებს, ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზეც გაჰყვება. ვენგერს კი იმედი ექნება, რომ ის მორიგ ტრავმას არ მიიღებს.

### ბალასტისგან გათავისუფლება

**მარუან შამახი** და **პაკ ჩუ იუნი** "არსენალიდან" წამსვლელთა სიმბოლოებად იქცნენ. "მილანთან" მოედანზე მათმა გამოჩენამ გულშემატკივრებში გაოცება გამოიწვია. მაგრამ საქმე მხოლოდ მაროკოელსა და კორეელში არ არის. შემადგენლობაში სხვა სტაბილურად არაეფექტური ფეხბურთელებიც არიან: **კარლოს ველა, ნიკლას ბენდტნერი, დენილსონი, მანუელ ალმუნია, აბუ დიაბი** და **ანდრეი არშავინი**. ზოგიერთის ხელფასს თუ გავითვალისწინებთ, წმენდის აუცილებლობა აშკარა ხდება.

### ახალი დაცვითი ტიპის ნახევარმცველი

**ალექს სონგი** ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი ვარდნის "ავტორია". ამასთან მას პრემიერლიგაში 7 საგოლე გადაცემა აქვს. იმდენივე, რამდენიც ამპლუით შემქმნელებს **გარეთ ბეილს, ეშლი იანგსა** და **სამირ ნასრის**. კამერუნელი საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ მისი წყურვილი შეტევებისადმი "არსენალის" დაცვას ხშირად ცუდ სამსახურს უწევს. "არსენალს" ამ პოზიციაზე საიმედო დასაყრდენი სჭირდება, რაც სონგს თავისუფლად მოქმედების საშუალებას მისცემს.

### ოქსლეიდ-ჩემბერლენი

ბევრს გაუკვირდა, როცა ვენგერმა ქვედა ლიგის გუნდს ფეხბურთელში 15 მილიონი ფუნტი გადაუხადა. თუმცა დღეს უკვე ყველა ფიქრობს, რომ **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** ინგლისის ნაკრებისთვისაც კი მზადაა. **ჟერვინიოს** არყოფნის პერიოდში მან ფლანგზე მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. აფრიკელის დაბრუნების შემდეგ კი შანსი მოედნის ცენტრში მიიღო. მან აქაც გაიბრწყინა ვიეირას სტილის დრიბლინგებითა და ჭკვიანური პოზიციური თამაშის წყალობით. ის ისე მშვიდად თამაშობს, ხანდახან გავიწყებს, რომ 18 წლისაა. უილშირის გვერდით ის თამაშს მხოლოდ მოუმატებს.

### სტივ ბოულდი №2

ხშირად იწერება, რომ ვენგერს გუნდისადმი ახლებური მიდგომა სჭირდება. სამწვრთნელო შტაბის გადახალისება კი ამის ერთ-ერთი წინაპირობაა. **პეტ რაისმა** უკვე განაცხადა, რომ ზაფხულზე გუნდიდან წასვლას აპირებს. ეს ნიშნავს, რომ ვენგერის შემდეგ №2-ის პოზიცია **სტივ ბოულდისთვის** თავისუფლდება. ის რამდენიმე წელიწადია, "არსენალის" 18-წლამდელთა გუნდის მწვრთნელია.

### ტიტული

მომდევნო სეზონისთვის მთავარი მიზანი სწორედ ეს არის - "არსენალი", უბრალოდ, ვალდებულია რაიმე მოიგოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



არსენ ვენგერს საფიქრალი არ დაელევა

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ოქრო მესამე ცდით

ღმერთი სამობითაა, ამაზეა ნათქვამი - ბელგრადში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებმა გუშინ მესამე ფინალი იჭიდავეს და როგორც იქნა, საწადელიც აგვიხდა, ოქროს მედალი ქართველმაც მოიპოვა. ეს სტეფანწმინდელმა **დავით მარსაგიშვილმა** (84) შეძლო, რომელიც, წესით, კონტინენტის ორგზის ჩემპიონიც უნდა იყოს - მან შარშანაც იჭიდავა ევროპულ ფინალში და ის-ის იყო ლეიბის მსაჯი გამარჯვებულად აცხადებდა, როცა ზემდგომთ მისი გადაწყვეტილება შეცვალეს და ოქრო რუსთა ყაბარდოელ ფალავან **ანზორ ურიშევს** არგუნეს. ურიშევი ახლაც ჭიდაობდა და მის განმეორებით ფინალს მარსაგიშვილთან თანაბრად დიდი ინტერესით ველოდით ჭიდაობის ქართველი ქომაგიც და რუსიც. იქაურ საჭიდაო ფორუმებზე პირდაპირაც იკითხეს - ვინ უფრო ძლიერია, ურიშევი თუ მარსაგიშვილიო. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატმა ეს კითხვა მოხსნა! საერთოდ, რუსებს ამ წონაში ჩავარდნა აქვთ, რაც ოლიმპიადაზე მარსაგიშვილის საჩემპიონო შანსებს კიდევ უფრო ზრდის. რუსები კი არა, ჩვენებურმა ფინალში ახლაც ბულგარელ მსოფლიოს ჩემპიონ **მიხაილ განევს** იმდენად იოლად მოუგო, დითირამბები რუსმა კომენტატორებმაც უხვად უძღვნეს.

ამდენად, ევროპის ჩემპიონატი 5 მედლით ჩავამთავრეთ - 1 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები **ბესიკ გოჩაშვილი** (55) და **დავით ხუციშვილი** (74) გახდნენ, ბრინჯაოს მედალოსნები - **მალხაზ ზარქუა** (60) და **დავით მოძმანაშვილი** (120).

## ოქროს ბიჭი

ბოლო წლებში მარსაგიშვილის პროგრესი აშკარაა, თუმცა ყველაზე მეტად თებერვალში კიევში, საერთაშორისო ტურნირზე გაგვაოცა - იქ ნათლად ჩანდა მწვრთნელის ხელი; იგრძნობოდა, რომ ეს ბიჭი ჭიდაობდა წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, მკაცრად იცავდა მწვრთნელთა მითითებებს და მეტოქის ხარვეზებს კი არ ელოდებოდა, აიძულებდა მას, შეცდომა დაეშვა და ქულაზე გადაჰყოლოდა. მარსაგიშვილის მყარი საევროპო ამბიციები სრულად კიევში გამოჩნდა.

მან ახლაც ძლიერად იჭიდავა და ხუთი შეხვედრიდან უმეტესობაში მინიმუმ, ერთი პერიოდი მაინც მოიგო ქულებით წმინდად. მაკედონიელი **დეიან ბოგდანოვი** და ესპანელი **ბორის ანდონოვი** მისი დონის ფალავნები არ არიან და არც მარსაგიშვილმა გვანერვიულა, ორივეს ძირითად დროში მოუთავა ხელი - პირველს 4:0 მოუგო, მეორეს - 7:0. რუმინელი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი სტეფან გეორგიტა იმათზე ძლიერია, მაგრამ არა მარსაგიშვილის შემჩერებელი - ისევ ორ პერიოდში მოგება ჩვენებურის სასარგებლოდ, ამჯერად - 9:1. მარსაგიშვილი კარგად იცნობს თურქ **სერდარ ბოკესაც**, რომელიც ადრეც ბევრჯერ დაუმარცხებია და ახლაც უპრობლემოდ სძლია ნახევარფინალში - 6:0; 3:0. ამასობაში განევმა ურიშევი გააგდო და ნანატრი ფინალი ჩაშალა, თუმცა ნაკლებ სანახაობას არც ქართულ-ბულგარული პაექრობა გვიქადდა. თუმცა კაცმა რომ თქვას, ბრძოლა არც ყოფილა, მარსაგიშვილმა იმდენად იოლად, უპრობლემოდ გაიმარჯვა. მას არ მოუწყვია ქულების ფოიერვერკი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ დუნე, უშინაარსო ჭიდაობაში იმარჯვა - პირიქით, ორივე ქულა მშვენიერი ბრძოლით მოიპოვა. რაც მთავარია, ის ახლაც ბოლომდე გაჰყვა მწვრთნელთა დასახულ გეგმას, ეჭიდავა ახლოდან, რითაც ინიციატივა მყარად იგდო ხელთ. ტაქტიკურად ძალიან ჭკვიანურად იჭიდავა, რასაც ტექნიკაც მიახმარა. ჯერ იყო და, პირველივე წამებზე მარდად გამოჰკრა გარსარმა და განევი ბეჭზე გადაურჩა აყირავებას, რუსმა კომენტატორმა კი ამ ფანდისას კიდევ ერთხელ გაიხსენა ქართველთა განთქმული ტექნიკა და ჩვენი ეროვნული ჭიდაობა. ამ ეპიზოდიდან მალევე მარსაგიშვილმა მოძრაობაზე დაიჭირა მეტოქე, მოხერხებულად მოატყუა - საყრდენი გამოეცალა და ფეხში უპრობლემოდ შევიდა. ქულაზეც კარგად გადაიყვანა, მაგრამ ვერ დაატრიალა. საერთოდ, ეს ფანდი მას გუშინ არ გამოუვიდა - იქნებ არც რისკავდა, რადგან ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეტოქეზე მაღლა იდგა და მოგება არ იყო საეჭვო, თუმცა ჭიდაობის ამ უმნიშვნელოვანეს ფანდს სათანადოდ თუ დაამუშავებს, კიდევ უფრო დასცემს შიშის ზარს კონკურენტებს.

მეორე პერიოდი თავდაცვის კლასიკური ნიმუში იყო, როცა განევმა ფეხში შესვლა სცადა და ერთი შეხედვით, გამოუვიდა კიდეც, მაგრამ მარსაგიშვილიც მაგრად დახვდა, დაუხურა შეტევა და განევი თვითონ აღმოჩნდა ლეიბზე ჩამჯდარი, ჩვენებურმა კი მყარად ჩაბღუჯა ფეხებით. დაახლოებით ერთი წუთი ასე გაატარეს ლეიბზე მსხდომებმა, ერთმანეთის ფეხების ჯაჯგურში, თუმცა ეს მარსაგიშვილისთვის მომგებიანი პოზიცია უფრო იყო, რაკილა ზევიდან მოექცა. განევს სხვა გზა არ ჰქონდა, თავი უნდა გაეთავისუფლებინა და ამ მცდელობაში ქართველმა იქით გადაიყვანა ქულაზე. ამასობაში დროც იწურებოდა და მარსაგიშვილი დამსახურებულად გახდა ჩემპიონი.

ახლა მის წინ ახალი სარბიელია - ოლიმპიადა. მწვრთნელებმა მნიშვნელოვანი ინფორმაციები უკვე მიიღეს მასზეც, მის სავარაუდო მეტოქეებზეც და თამაშებისთვის სათანადოდ მომზადების გარდა არაფერი დარჩენიათ. უპრიანი იქნება, მარსაგიშვილი საგანგებოდ ამუშაონ აზერბაიჯანელთა მსოფლიოს ჩემპიონ **შარიფ შარიფოვის** წინააღმდეგ. ცხადია, ამ წონაში სხვებიც არიან, შარიფოვზე არანაკლებ ძლიერებიც, რომლებსაც ახლა არ უასპარეზიათ, მაგრამ მარსაგიშვილი თავის ყველაზე უხერხულ მეტოქედ აზერბაიჯანელს მიიჩნევს.

**84 კგ. 1. დავით მარსაგიშვილი (საქართველო),** 2. მიხაილ განევი (ბულგარეთი), 3. ანზორ ურიშევი (რუსეთი), სტეფან გეორგიტა (რუმინეთი).

> **კვარცხლბეკი. ქალები**
>
> **63 კგ.** 1. იულია ოსტაპჩუკი (უკრაინა), 2. ნატალია სმირნოვა (რუსეთი), 3. მონიკა ევა მიჰალიკი (პოლონეთი), ელიფ იალე იესილირმაკი (თურქეთი).
>
> **72 კგ.** 1. მაია გუნვორ ერლანდსენი (ნორვეგია), 2. კატერინა ბურმისტროვა (უკრაინა), 3. ნატალია ვორობიოვა (რუსეთი), მაიდერ უნდა გონსალეს დე აუდიკანა (ესპანეთი).

## ბელგრადის ბერძნულ-რომაული დღეები

დღეს ევროპის ჩემპიონატში ბერძენ-რომაელებიც ჩაებმებიან, რომელშიც ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ქემალ ხარაბაძე** (55), **ირაკლი ჭოჭუა** (60), **რევაზ ლაშხი** (66), **მანუჩარ ცხადაია** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96), **გურამ ფერსელიძე** (120).

დღეს 55, 60, 96 და 120-ის ფალავნები იჭიდავებენ. 60-დან უმჩატეს წონაში ჩამონაცვლებული ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორი ხარაბაძე საკმაოდ ძნელ ჯგუფში მოხვდა - პირველივე შეხვედრას ბელარუსთაოს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ევროპის პრიზიორ **ელბეკ ტოჟიევთან** მართავს. ეს ბიჭი შარშან გამოაჩინეს ბელარუსებმა და ორივე მედალი ერთ სეზონში მოიპოვა. ბადის ამავე ნახევარში არიან სომეხი ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლის და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **რომან ამოიანი** და აზერბაიჯანელი ევროპის ჩემპიონი **ელჩინ ალიევი**, ოღონდ ისინი პირველივე შეხვედრას ერთმანეთში გამართავენ.

ევროპის ვიცე-ჩემპიონს, ოღონდ 55-ში ირაკლი ჭოჭუას მეოთხედფინალამდე მისვლა არ უნდა გაუჭირდეს - თავიდან ბრიტანელ კრისტოფერ ბოსონს ხვდება. ძლიერი მეტოქე არც მასთან წარმატების შემთხვევაში ელოდება - ასევე ქვედა წონიდან წლეულს ამონაცვლებული საშუალო დონის ესტონელი **ანარ ზეინალოვი** ან ბერძენი **ვლადიმიროს მატიასი**. აი, მეოთხედფინალში კი ტიტულოვანი და ძლიერთა ამ ოთხეულიდან რომელიმე ელოდება - რუსი **ასლან აბდულინი**, თურქი **სონერ სუცუ**, ბულგარელი ევროპისა და მსოფლიოს მედალოსანი **ივო ანგელოვი** ან რუმინელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **ეუსებიო დიაკონუ**. ბადის ამავე ნახევარში არიან მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ფინელი, სომეხი და პოლონელი ფალავნებიც, ხოლო ბადის მეორე მხარეს არათუ ვინმე სერიოზული მოჭიდავე, არც ერთი ძლიერი საჭიდაო ქვეყნის წარმომადგენელი არაა.

ვფიქრობთ, ჩვენებიდან ყველაზე მეტად ევროპის პრიზიორ **სოსო ჯაბიძეს** არ გაუმართლა - პირველივე შეხვედრას ბელარუსთა მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **ტსიმოფეი დზეინიჩენკასთან** გამართავს, მას თუ მოუგო, მომდევნოში რუსთა მსოფლიოს პრიზიორ **რუსტამ ტოტროვს** ან ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ვერცხლის მედალოსან შვედ **ჯიმი ლიდბერგს** შეხვდება. ბელარუსი ბოლო ორ სეზონში ჩინებულად ჭიდაობს - 2010-ში ევროპაზე და მსოფლიოზე ვერცხლი მოიპოვა, შარშან კი ევროპის ჩემპიონი გახდა. უსამართლობა, თორემ მას ეს ტიტული წინა წელსაც უნდა მოეპოვებინა, მაგრამ მსაჯებმა რუს ოლიმპიურ ჩემპიონ **ასლანბეკ ხუშტოვს** მოაგებინეს.

ძლიერ ჯგუფშია ფერსელიძეც - თავიდან ლატვიელ **იგორს კოსტინსს** კი ხვდება, მაგრამ მასთან მოგების შემთხვევაში სომეხთა რუსი ევროპის რამდენიმეგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი **ალექსანდრ პატრიკეევი** ან თურქი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **რიზა კაიალაპი** შეხვდება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ზოგს არგო, ზოგს არა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ თურქულ გაზიანთეფში განახლდა მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 11 წარმომადგენელი მონაწილეობს. ტაიმ-აუტმა ზოგს არგო და ზოგს - არა.

გუშინ მე-7 ტურში ჩვენებურთაგან ყველაზე ძლიერი მეტოქეები **ნინო ხურციძესა** და **ნაზი პაიკიძეს** ჰყავდათ - ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - კატერინა ლაგნო (უკრაინა) და ტატიანა კოსინცევა (რუსეთი). ხურციძე თეთრი ფიგურებით ეტლების ენდშპილში 41-ე სვლაზე დაუზავდა მოწინააღმდეგეს, ხოლო კოსინცევას და პაიკიძეს ქულის გასაყოფად 4 სვლით მეტი დასჭირდათ. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს **სალომე მელია** და **ლელა ჯავახიშვილი, მირანდა მიქაძე** და მონიკა სეპსი (შვეიცარია). სამაგიეროდ, წარმატებით ითამაშა **ნანა ძაგნიძემ**, რომელმაც შავი ფიგურებით პოლონელი კარინა ჰოროვსკა დაამარცხა. გათამაშების ცხრილში, ასევე, თითო ქულა ჩაიწერეს **ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ბაციაშვილმა** და **სოფიო გვეტაძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, დარია ჩაროჩკინას (რუსეთი), ივა ვიდენოვას (ბულგარეთი) და ანა ჰაირაპეტიანს (სომხეთი) გააჩერებინეს საათები. რაც შეეხება **სოფიკო გურამიშვილსა** და **მერი არაბიძეს,** მათ ელინა დანიელიანთან (სომხეთი) და ნადეჟდა ხარმუნოვასთან (რუსეთი) დათმეს პარტიები.

ლიდერთა ჯგუფში გუშინ აშკარა უპირატესობა თეთრების მხარეს იყო: რუსეთის ნაკრების წევრმა ვალენტინა გუნინამ ერთპიროვნული ლიდერი ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) დაჯაბნა და 6 ქულით ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს მძლეველ ქრისტინა-ადელა ფოიშორთან (45 წლის რუმინელს ახალგაზრდა კოლეგები ხუმრობით „ჭადრაკის დედას“ ეძახიან) ერთად დაწინაურდა. ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) მარი სებაგს (საფრანგეთი) აჯობა და 5,5 ქულით ჰოანგთან მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. რვა მოჭადრაკეს (მათ შორის - ხურციძეს და პაიკიძეს) 5-5 ქულა აქვს.

შვიდი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი ასეთია: ხურციძე, პაიკიძე-5-5, მელია, ჯავახიშვილი, ძაგნიძე, ხოტენაშვილი, ბაციაშვილი-4,5-4,5, გურამიშვილი, გვეტაძე-4-4, არაბიძე, მიქაძე-3-3 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ფოიშორი (6)-გუნინა (6), ჰოანგი (5,5)-ა. მუზიჩუკი (5,5), ლაგნო (5)-დანიელიანი (5), მკრტიჩიანი (5)-ტ. კოსინცევა (5), სებაგი (5)-ხურციძე, ჩმილიტე (5)-პაიკიძე, ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 4,5)-ძაგნიძე, ხოტენაშვილი-ინა გაპონენკო (უკრაინა, 4,5), ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი, 4,5)-მელია, ჯავახიშვილი-ბაირა კოვანოვა (რუსეთი, 4,5), იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი, 4,5)-ბაციაშვილი, გურამიშვილი-იოანა დვორაკოვსკა (პოლონეთი, 4), მონიკა მოტიჩაკოვა (სლოვაკეთი, 4)-გვეტაძე, არაბიძე-სეპსი (3), ხაიალა ისკანდაროვა (აზერბაიჯანი, 3)-მიქაძე.

**ვაჟა დანელია**

თბილისი-2015

## კონკურსი დასრულდა

დასრულდა „თბილისი-2015“ ლოგოზე გამოცხადებული კონკურსის ვადა. საორგანიზაციო კომიტეტში 60 ავტორის 200-მდე ნამუშევარი შევიდა, რომელთაგან საუკეთესოსაც ოთხკაციანი ჟიური, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში დაასახელებს. სამაგიეროდ, უკვე გამოვლინდა ფეისბუქის მომხმარებელთა გამარჯვებული - ყველაზე მეტი დადებითი ხმა **ია მოსაშვილის** ნამუშევარმა მიიღო, რომელიც ორგანიზატორთა მიერ ოლიმპიური გუნდის სრული ეკიპირებით დაჯილდოვდება.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი




# ფავორიტები უკონკურენციოდ

1998 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობაზე 8 გუნდს უნდა ეთამაშა, მაგრამ ბათუმელებმა შეჯიბრებაზე უსახსრობის გამო ჩამოსვლა ვერ შეძლეს, რის გამოც მეტოქეებთან ტექნიკური წაგება (0:10) ჩაეწერათ. გუშინ საწყლოსნო კომპლექსმა „ოლიმპიკმა“ მე-2 ტურის შეხვედრებს უმასპინძლა. „ლიგამუსი-2“-ისა და „ქუთაისის“ შეხვედრაში თავიდანვე სტუმრები დაწინაურდნენ - 2:0. ეს ორბურთიანი სხვაობა მათ საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს და 5:3 გაიმარჯვეს. „ბათუმს“ „ივერია-2“-თან მორიგი წაგება ჩაეთვალა. დანარჩენ ორ პაექრობაში ფავორიტთა უპირატესობა აშკარა იყო: „ივერია-1“ — „თბილისი“ 15:1, „ლიგამუსი-1“ — „საჩხერე“ 22:0.

დღეს მე-2 ტურის დასკვნითი შეხვედრები გაიმართება: „საჩხერე“ — „თბილისი“, „ივერია-1“-„ივერია-2“, „ლიგამუსი-1“-„ქუთაისი“. მათი შედეგებით საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები გამოვლინდება, რომლებიც ორი კვირის შემდეგ მედლებისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი. პნევმატური პისტოლეტი

# საქართველო და 30-წლიანი კარიერა

დღეს ნინო სალუქვაძის სახელობის ტირში საქართველოს პირველობა იწყება პნევმატური იარაღიდან სროლაში, რომელიც ორშაბათს დამთავრდება. ჩემპიონატში 40 მსროლელი იასპარეზებს, თუმცა გეოგრაფია უცვლელი რჩება – სასპარეზოდ კვლავაც მხოლოდ თბილისელი და ქუთაისელი ჩუბინები გამოვლენ.

ასპარეზობა დღეს ახალგაზრდების ტურნირით დაიწყება, ხვალ კი ერთად ისვრიან ქალები, გოგოები და ბიჭები. პირველობა ორშაბათს დასრულდება ვაჟთა შეჯიბრებით.

ეს ტურნირი კარგი გაკვეთილი იქნება ახალგაზრდებისთვის, რომლებიც განებივრებულნი არ არიან შეჯიბრებებით. ეს შესარჩევი ეტაპიც იქნება ზაფხულში გერმანულ ზულში საერთაშორისო ტურნირზე წამსვლელთა გამოსავლენად. არადა, მართლაც საინტერესოა, აჩვენებენ თუ არა **ნინო ფანჩულიძე** და **მარიამ ბლუაშვილი** თავიანთ საუკეთესო შედეგებს, რომლებმაც რამდენჯერმე გადააცილეს 370-იან მიჯნას. ამავდროულად, საქართველოს ჩემპიონატი ნინო სალუქვაძის სპორტული კარიერის 30 წლისთავს ემთხვევა, თუმცა კაცმა არ იცის, ეს მიღწევა კიდევ სადამდე გაგრძელდება - სალუქვაძე ლონდონის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს და რამდენიმე ოლიმპიური ციკლის მომთავრება კიდევ თავისუფლად შეუძლია. შეგახსენებთ, რომ ლონდონი მისთვის მეშვიდე ოლიმპიადა იქნება, რითაც ქართველთა შორის აბსოლუტური რეკორდსმენია. ჯერჯერობით ასევე პირველია ტყვიის სროლაში საერთაშორისო მასშტაბითაც პისტოლეტით მსროლელთა შორის, თუმცა ამ მიღწევის გამეორების შანსს ბერძენი **აგატა კასუომი** და სერბი მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **იასნა სეკარიჩიც** ინარჩუნებენ. ოღონდ სანამ ისინი ამ უფლებას მოიპოვებენ, მანამ სალუქვაძე სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო არენაზეც პირველია.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ტახტის თასი

# თეირანში მეორე გუნდით

ამ უქმეებზე თეირანში „ოქროს დიდი პრიზის“ მეორე ტურნირი - „ტახტის თასი“ ტარდება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა მიიღებს მონაწილეობას. **გიორგი ედიშერაშვილი, ბექა ლომთაძე** (ორივე - 55), **დავით ბერძნიშვილი, მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **იაკობ მაქარაშვილი, გოგა ხუჭუა** (ორივე - 74), **ბექა ჭელიძე, ბექა სვანიძე** (84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96), **გიორგი საკანდელიძე, ლევან ბერიანიძე** (ორივე - 120) - თეირანში საქართველოს ღირსებას ეს მოჭიდავეები დაიცავენ. გუნდი გუშინ დილით გაფრინდა თეირანში.

შეჯიბრება პირად-გუნდურია, თუმცა გუნდურში ცალკე შეჯიბრება არ ტარდება, მისი შედეგები ინდივიდუალურიდან გამომდინარე შეჯამდება დაგროვილი ქულების მიხედვით. როგორც ამ რანგის ყველა ტურნირი, ესეც კომერციულია - პირადში გამარჯვებულები ჯილდოდ 4 000 ამერიკულ დოლარს მიიღებენ, მეორეზე გასულები 3 000-ით დაჯილდოვდებიან, ბრინჯაოს მედალოსნებს კი 1500-1500 დოლარი ერგებათ. სოლიდურია პრემია გუნდური წარმატებისთვისაც - პირველ ადგილზე გასული 6 000 დოლარით დაჯილდოვდება, ვიცე-ჩემპიონს 4 000 ერგება, მესამე პრიზიორს - 3 000 დოლარი.

დღეს თეირანში 55, 66 და 96 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

ძალოსნობა

# შედეგები სარეკორდო, იმედები საოლიმპიადო

წლეულს 6-16 აპრილს თურქეთი ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვანო გრიქუროვი** ჩვენებურთაგან მხოლოდ სამი სპორტსმენის წაყვანას აპირებს. ესენი არიან — **რაულ ცირეკიძე** (85 კგ), **ალუდა მანაგაძე** (105) და მძიმეწონოსანი **ირაკლი თურმანიძე.** ისინი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად დუშეთის ოლიმპიური მზადების ცენტრში ვარჯიშობენ. ზოგიერთი ათლეტი სპეციალური გეგმით ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. დუშეთის ბაზა გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ძალოსნობის ფედერაციის მესვეურებმა მოინახულეს, საჩვენებელ ვარჯიშს დაესწრნენ. „დღევანდელ საკონტროლო პაექრობებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ფაქტობრივად, განვლილი მუშაობა უნდა შეგვეჯამებინა და რეალურად გვენახა, რა შეგვიძლია. შედეგებით კმაყოფილი ვარ, რადგან პერსპექტივა აშკარად ჩანს. რამდენიმე სპორტსმენმა ისეთი შედეგები აჩვენა, რამაც სამომავლოდ იმედი ჩაგვისახა. ლონდონის ოლიმპიადაზე სამი ძალოსნით გამოვალთ. დღეისთვის მათი მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. თამაშებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კორექტირების საშუალება გვექნება", — თქვა **ვანო გრიქუროვმა.**

*„ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, წლეულს ევროპის ჩემპიონატზე არ ვიასპარეზებ, რაც მართებულად მიმაჩნია, რადგან ტრავმის ალბათობა გამოირიცხება. გეგმის მიხედვით განვაგრძობ ვარჯიშს. დღეს პირად რეკორდს გადავამეტე. ოლიმპიადამდე დარჩენილ 5 თვეში, ვფიქრობ, შედეგებს გავზრდი", — კმაყოფილია გია მაჭავარიანიც.*

**ირაკლი სამყურაშვილი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი: *„ძალოსანთა ნაკრები მონდომებით ემზადება როგორც ოლიმპიური თამაშებისთვის, ისე ევროპის ჩემპიონატისთვის. დღევანდელმა ვარჯიშმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ბიჭებს დიდი პოტენციალი აქვთ — დასტურად მათ მიერ ნაჩვენები პირად და საქართველოს რეკორდებზე მაღალი შედეგები გამოდგება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ძალოსნები ლონდონის ოლიმპიადაზე ჯილდოებისთვის ბრძოლას შეძლებენ".*

**რამაზ გურგენიძე,** ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: *„მართალი გითხრათ, გაოცებული ვარ ჩვენი ბიჭების წინსვლით. დღეს მათ პირადი მიღწევები ერთბაშად რამდენიმე კილოგრამით გააუმჯობესეს. მაგალითად, გია მაჭავარიანმა 190 კილოგრამი აიტაცა და 228 კილოგრამი აკრა და ორჭიდში (418 კგ) უწინდელ საკუთარ რეკორდს 9 კილოთი გადაამეტა. ირაკლი თურმანიძემ, რომელიც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე გამოვა, 195 კილო აიტაცა და 228 კილო აკრა, რაც ორჭიდში მის უწინდელ მიღწევაზე 10 კილოთი მეტია. დავით გოგიამ დღეს პირველად აიტაცა 180 კილო. თუმცა აკვრაში შედარებით მოკრძალებული იყო — 207 კილოგრამი, არადა, ორი კვირის წინათ 5 კილოთი მძიმე შტანგა ასწია. პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენია და მისგან წარმატებებს ველით. უნიკალური მაჩვენებლებით გვაოცებს სახელოვანი ქართველი ძალოსნის - კობა ტალახაძის ვაჟი ლაშა ტალახაძე. რამდენიმე დღის წინათ საკონტროლო ვარჯიშზე მან 190 კილო აიტაცა და 220 კილო აკრა, დღეს კი ატაცში 192 კილო დაძლია. რაულ ცირეკიძემ ატაცში 6 კილოთი უკეთესი შედეგი აჩვენა — 167 კილო, აკვრაში 203-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. უფრო დიდ წონაზე მწვრთნელმა არ მიუშვა, რადგან იგი ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამოვიდეს და რისკს მოერიდა. ასევე კარგი შედეგები ჰქონდათ ეროვნული ნაკრების წევრ ალუდა მანაგაძეს, ახალგაზრდებს – ზურაბ თავაძეს, ბაჩანა ქუხილავას, იკა ცანავას, თემურ პერტაიას, დავით ხარატაშვილს. მათგან ღირსეულ ცვლას ველით".*

ვაჟა დანელია



წინა პლანზე: გია მაჭავარიანი და ვანო გრიქუროვი

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ფილატელია

Barcelona'92







პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** საერთაშორისო მატჩი რაგბიში ჩატარდა 1871 წელს. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ შოტლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდები - 1:0 გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა.

■ ■ ■

**პირველმა** nxl-ის ჰოკეისტებიდან წლის საუკეთესო მეკარის ტიტულისათვის განკუთვნილი პრიზი „ვეზინას თასი" ყველაზე მეტჯერ (მეექვსედ) **ჟაკ პლატმა** დაიმსახურა 1962 წელს.

■ ■ ■

**პირველად** ოლიმპიური მარკები დაიბეჭდა 1957 წელს და მიძღვნილი იყო... მელბურნში 1956 წელს გამართული თამაშებისადმი.

ქვიმატი ობიექტივი



ნაკლებად ცნობილი თამაშები

# მოტობურთი

**მოტობურთი** (ლათ. მოტო — ამამოძრავებელი). ფეხბურთის მსგავსი სპორტულ-ტექნიკური თამაში მოტოციკლით.

მოტობურთის, ანუ მოტობოლის სამშობლოდ ითვლება საფრანგეთი, სადაც ამ სახეობას XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. მალე მოტობურთის გუნდები გაჩნდა ინგლისში, გერმანიაში, ბელგიასა და იტალიაში, მოგვიანებით კი — ბულგარეთში, ესპანეთსა და სსრკ-ში. 1933 წელს გაიმართა პირველი საერთაშორისო შეხვედრა.

ევროპაში მოტობურთის გავრცელების ახალი ეტაპი XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ეს სახეობა განსაკუთრებით განვითარდა ყოფილ სსრკ-ში, სადაც ასეულობით გუნდი იყო. შეხვედრები ტარდებოდა ცენტრალურ სტადიონებზე და გადაიცემოდა ტელევიზიით (რამდენიმე მატჩში კოსმონავტ იური გაგარინსაც უმსაჯია).

საქართველოში მოტობურთის ალმავლობა სწორედ აღნიშნულ პერიოდს ემთხვევა. ქართველი მოტობურთელები რეგულარულად მონაწილეობდნენ საკავშირო შეჯიბრებებში. სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოტობურთისადმი ინტერესმა მკვეთრად იკლო. ამჟამად სრულფასოვანი ეროვნული ჩემპიონატები მხოლოდ გერმანიასა და საფრანგეთში ტარდება.

მოტობურთი ევროპის ფარგლებს არ გასცდენია და მსოფლიო ჩემპიონატიც არასდროს გამართულა. ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად მიჩნეულია ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა 7 ქვეყნის — საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, ჰოლანდიისა და ლიტვის ნაკრებების მონაწილეობით. მატჩი შედგება სამი 20-20-წუთიანი პერიოდისგან (საერთაშორისო შეხვედრებში — ოთხი პერიოდისგან). თამაშობენ ფეხბურთის მოედნის ზომის სარბიელზე და კარიც ფეხბურთის კარის ზომისაა. მოედნი მოხრეშილია ან ასფალტისაა. მოტოციკლების მანევრულობის გასაუმჯობესებლად ასფალტს ქვიშის თხელი ფენით ფარავენ. ბურთი ფეხბურთისაზე გაცილებით დიდია (წონა — დაახლოებით 1000 გ, დიამეტრი — დაახლოებით 500 მმ). თითოეულ გუნდში 5-5 წევრია — მეკარე და 4 მოტოციკლიანი მინდვრის მოთამაშე. ისინი ბურთს ატარებენ ფეხით მოტოციკლზე მიბრჯენით, ოღონდ ისე, რომ მიწას არ მოშორდეს. აკრძალულია ბურთიანი მოთამაშისთვის გზის გადაკეტვა, ბლოკირება, განზრახ დაჯახება, აგრეთვე მეკარის მოედნის ხაზის გადაკვეთა...



საინტერესო ფაქტები

**საცხენოსნო** ასპარეზობებში ცხენის მფლობელის გამარჯვებად გამოცხადება შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში ეტლებით რბოლაში გამარჯვებულად ცხადდებოდა ეტლის (ცხენების) მფლობელი და არა მეეტლე. საბერძნეთის გარდა ეტლებით რბოლა გავრცელებული იყო ძველ რომშიც.

**ლივერპულში** საცხენოსნო სტიპლ-ჩეიზი 1839 (თანამედროვე სახელწოდებით კი 1847) წლიდან ტარდება. ამ ასპარეზობის მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 70 850 კაცი დაესწრო 2005 წელს.

ვიქტორინა

**1. ევროპის რომელი ქვეყნის წარმომადგენელია მშვილდოსნობაში ამ კონტინენტის ერთადერთი ჩემპიონი ქალთა შორის?**

ა — გერმანიის
ბ — უნგრეთის
გ — საქართველოსი

**2. რომელი ქვეყნის სარაგბო გუნდია „ნარშავები"?**

ა — ახალი ზელანდიის
ბ — საფრანგეთის
გ — ავსტრალიის

**3. პირველი საჭადრაკო კლუბი შეიქმნა 1550 წელს, რომელ ქვეყანაში?**

ა — იტალიაში
ბ — ინდოეთში
გ — ესპანეთში

**4. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეექვსე პრეზიდენტი (1972-1980) ლორდი მაიკლ მორის კილანინი პროფესიით იყო:**

ა — ექიმი
ბ — ინჟინერ-ენერგეტიკოსი
გ — ჟურნალისტი

**5. ვინ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 2009 წელს?**

ა — ლუიშ ფიგუ
ბ — ლეო მესი
გ — რონალდო

პასუხები: 1 — გ, 2 — გ, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ

თარიღი 10-16 მარტი

**10. 1927 წ.** დაიბადა **იუპ დერვალი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (გერმანია).

**10. 1936 წ.** დაიბადა **იოზეპ ბლატერი** — ფიფას პრეზიდენტი.

**10. 1981 წ.** დაიბადა **სამუელ ეტოო** — ფეხბურთი (კამერუნი).




**10. 1982 წ.** ბრაზილიელმა **ჟაირზინიომ** მონაწილეობა მიიღო ფეხბურთთან გამოსათხოვარ მატჩში.

**12. 1910 წ.** ინგლისის საფეხბურთო ნაკრებმა საფრანგეთის ნაკრებს 20:0 მოუგო. 11 გოლი **დაიმ** გაიტანა.

**12. 1911 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ავსტრია" (ვენა).

**12. 1957 წ.** დაიბადა **პატრიკ ბატისტონი** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

**13. 1955 წ.** დაიბადა **ბრუნო კონტი** — ფეხბურთი (იტალია).

**13. 1973 წ.** დაიბადა **ედგარ დავიდსი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**13. 1974 წ.** დაიბადა **ტომას ენკვისტი** — ჩოგბურთი (შვედეთი).

**14. 1920 წ.** დაიბადა **ალექსეი ხომიჩი** — ფეხბურთი (რუსეთი), გარდაიცვალა 1980 წელს.

**15. 1892 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ლივერპული" (ინგლისი).

**16. 1898 წ.** დაარსდა იტალიის ფეხბურთის ფედერაცია.

**16. 1928 წ.** დაიბადა **მარიო ზაგალო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**16. 1939 წ.** დაიბადა **კარლოს ბილარდო** — ფეხბურთი (მწვრთნელი, ექიმი, არგენტინა).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# საკითხავია, შერმადინი მოერგო კანტუს, თუ – პირიქით

## ბარსელონასთან დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია...

იტალიური „კანტუ" ევროლიგაზე ესპანურ „ბარსელონას" დაეტოლა და კატალონიურ გრანდთან შედარებით დაბალი სულაც არ აღმოჩნდა: ბარსელონაში საწყისი სამი პერიოდის შემდეგ „კანტუ" იგებდა, ბოლო წამებზე კი 60:65 დამარცხდა; განმეორებით შეხვედრაში თითქმის მოგებული თამაში წააგო, ისიც მინიმალური სხვაობით 62:63.

მაინც ვინ აიყვანა გუნდი „ბარსას" სიმაღლემდე? პასუხის ძიებაში თუ ცალკეული პერსონების ჩამოთვლას დავიწყებთ, არ უნდა გამოგვრჩეს მწვრთნელი ანდრეა ტრინჩიერი, ექს-ბარსელონელი ჯანლუკა ბაზილე, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი...

მანუმ ხომ გასულ კვირას კაუნასში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროლიგის დონის მოთამაშეა - 32 ქულა ჩააგდო და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მის შესახებ ევროლიგის საიტზეც დაიწერა, იტალიელმა ჟურნალისტებმაც ბევრი ილაპარაკეს და გულშემატკივართა აზრებიც მოვისმინეთ. ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის გაცილებით საინტერესო უნდა იყოს თავად კალათბურთელის მოსაზრება. მანუს იტალიაში დავუკავშირდით და საუბარი „კანტუს" ბოლოდროინდელი წარმატებებით დავიწყეთ. გუნდმა ოთხშაბათს, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „კასერტა" სტუმრად დაამარცხა, მანუჩარმა 18 ქულა ჩააგდო.

- დავიწყებ იქიდან, რომ ტრავმების გამო პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. გვაკლია გამოცდილი ბაზილე, ასევე დაშავებულია ჩინჩარინი. თუმცა ამის მიუხედავად „კასერტასთან" დამაჯერებლად ვითამაშეთ. კვირაში ორი მატჩის გამართვას მიჩვეულები ვართ: ერთ შეხვედრას ევროლიგაზე ვატარებდით, მეორეს - იტალიის ჩემპიონატში. ეს გარემოება დაგვეხმარა შუა კვირაში სერია A-ს მატჩისთვის სათანადოდ მომზადებაში. ბოლო დროს დაცვაში კარგად გამოვიყურებით, მეტოქეს არც ამჯერად მივეცით 60 ქულამდე ასვლის საშუალება. სწორი დაცვა კი ყოველთვის გეხმარება შეტევაში თავისუფლად თამაშში.

**- „კასერტასთან" დაპირისპირებამდე რამდენიმე დღით ადრე ევროლიგის ტოპ-16-ში „ჟალგირისი" სტუმრად დაამარცხეთ. იმ მატჩში ჩაგდებულ 32 ქულასა და ტურის საუკეთესოდ შენს აღიარებას იტალიაში რა გამოხმაურება მოჰყვა?**

- დადებითი მოვლენა იყო, თუმცა იტალიაში განსაკუთრებული ხმაური არ გამოუწვევია. ზოგადად კი, სასიამოვნო იყო. არა მგონია, ბევრი ისეთი კალათბურთელი არსებობდეს, ევროლიგაზე ყოველ ტურში 20-ზე მეტი ქულის ჩაგდება რომ შეეძლოს. ამიტომაცაა, სხვადასხვა ტურში ერთი და იგივე მოთამაშე საუკეთესოდ იშვიათად სახელდება. ამჯერად მე ჩავაგდე 32 ქულა, რაც კარიერაში საუკეთესო შედეგია. 32-მდე აქამდე არ ავსულვარ. ამასთან, ესაა ევროლიგის ისტორიაში ტოპ-16-ის მეოთხე მაჩვენებელი. თუმცა, ჩემი ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ყოველ მატჩში 30-ზე მეტ ქულას მოვაგროვებ, თუნდაც „კანტუს" სათამაშო სტრატეგიის გამო. ზოგიერთი გუნდი აწყობილია ლიდერებზე, რომლებიც ყოველთვის უხვქულიანობით გამოირჩევიან. ჩვენთან ლიდერები არ არიან, თუ აკვირდებით, ყოველ მატჩში სხვადასხვა კალათბურთელი კისრულობს ბომბარდირობას. ჩემი ამოცანა არა ქულებზე ნადირობა, არამედ გუნდისთვის სარგებლის მოტანაა. ვცდილობ, რითაც შემიძლია, „კანტუს" იმით დავეხმარო.

**- წლევანდელ ევროლიგაზე ორი კარგი თამაში ჩაატარეთ შეჯიბრების ფავორიტ „ბარსელონასთან". რა დაგანახვათ ამ მატჩებმა?**

- დიდი გამოცდილება მივიღეთ. ვისწავლეთ ასეთ დონეზე წარმატების მისაღწევად როგორი კალათბურთი უნდა ითამაშო, როგორ უნდა მოემზადო და გამოჩნდა რა შეგვიძლია. „ბარსელონა" გრანდია და ყველა მატჩში ფავორიტია. ამიტომ მასთან დასაკარგი არავის არაფერი აქვს, რაც კალათბურთელს ეხმარება შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში. კატალონიელებთან ორივე თამაშში დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია...

**- იტალიაში „ბარსასთან" მინიმალური სხვაობით წააგეთ, ის შეხვედრა რომ მოგეგოთ, ახლა მეოთხედფინალში ითამაშებდით...**

- დასანანი მარცხი იყო. ბოლო წამებზე ხუან კარლოს ნავარომ ორი საჯარიმო გამოიყენა. არადა, დღესაც ვფიქრობ, რომ მასზე ნიკოლა მაძარინო არ დაჯარიმებულა. ასეა თუ ისე, „ბარსამ" ორივე შემთხვევაში გამოცდილებით გვაჯობა.

**- ნავარომდე გიორგი შერმადინმა ჩააგდო ორივე საჯარიმო. აშკარაა, ტანმაღალი ქართველი „კანტუს" კარგად შეეგუა.**

- საკითხავია, შერმადინი შეეგუა გუნდს, თუ გუნდი - შერმადინს. „კანტუს" სწორედ გიორგის დარი კალათბურთელი სჭირდებოდა, მაღალი, მოძრავი, შედეგიანი... არა მგონია, ევროლიგაზე ვინმე შემთხვევით ხვდებოდეს და ასე შედეგიანად უბრალო გამართლების გამო თამაშობდეს. მას უზომოდ დიდი პოტენციალი აქვს და დარწმუნებული ვარ, სადღეისოდ შესაძლებლობების მაქსიმუმს ჯერ ვერ ავლენს. ამისთვის დრო სჭირდება. რაც მთავარია, ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. ასეთი კალათბურთელი ბევრი არ არის და სასიამოვნოა, რომ გიორგისთან ერთად „კანტუს" პარალელურად ნაკრებშიც მიწევს თამაში.

**- შერმადინს ევროლიგაზე მეტი სათამაშო დრო ჰქონდა, ვიდრე იტალიის ჩემპიონატში. რა იყო ამის მიზეზი?**

- „კანტუს" მართლაც კარგი მწვრთნელი ჰყავს. ანდრეა ტრინჩიერი შესანიშნავი ფსიქოლოგია, იცის ვის როგორი კუთხით მიუდგეს. გუნდი გააზრებულ კალათბურთს უჩვენებს და მწვრთნელი ევროლიგაზეც სათანადოდ იყენებდა შერმადინს, 22 წუთს ათამაშებდა. იტალიის ჩემპიონატში კი გიორგი მოედანზე ჩვიდმეტიოდე წუთს ატარებს. ამის მიზეზი არა მწვრთნელი, არამედ ფოლების პრობლემაა. ეს არც ჩემთვისაა უცხო, იტალიაში ჩამოსვლის საწყის პერიოდში მეც იგივე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი. მსაჯები ახალგაზრდებს უფრო თავისუფლად აჯარიმებენ. თუმცა დარწმუნებული ვარ ყველაფერი მალე გამოსწორდება და შერმადინს იტალიაშიც მოემატება სათამაშო დრო. ერთსაც დავამატებ: მას კიდევ ბევრი აქვს სამუშაო და ეს თავადაც კარგად იცის.

**- რადგან ევროლიგაზე „კანტუს" გამოსვლა მიმოვიხილეთ, ბოლოს ერთ-ერთ საკვანძო დაპირისპირებაზე გკითხავ. „კანტუ" „მაქაბის" მხოლოდ მიღებულ-გაშვებული ბურთების სხვაობით ჩამორჩა...**

- შინ დამაჯერებლად ვიასპარეზეთ და „მაქაბი" 82:74 დავამარცხეთ. სტუმრადაც კარგად დავიწყეთ და პირველი ტაიმის შემდეგ ვიგებდით კიდეც, მაგრამ მესამე პერიოდში მეტოქის აგრესიული დაცვა ვერ გადავლახეთ, ჩვენი მხრიდან კი მწვრთნელის მითითებანი არასათანადოდ შევასრულეთ და, ფაქტობრივად, ათ წუთში გადაწყდა ჩვენი ბედი. მეოთხე რაუნდში თამაშის შემოტრიალება ველარ მოვახერხეთ. რომ არა მესამე პერიოდის დაღმასვლა, ისრაელში წარმატებაზე ფიქრიც შეიძლებოდა. საბოლოოდ კი გამოჩნდა, რომ „კანტუ" ტოპ-16-ის ერთ-ერთი საინტერესო გუნდი იყო და მეოთხედფინალში გასვლაც ხელეწიფებოდა.





საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ერთი წლით უფროსებში

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ სომხეთში მიემგზავრება. მასპინძლებისა და ქართველების გარდა ერევანში თავს ირანისა და თურქეთის გუნდები მოიყრიან. გამგზავრების წინ ნაკრებმა საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ღია ვარჯიში გამართა.

მთავარი მწვრთნელის, **გია კაზანჯიანის** ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა.

- ერევანში საკლუბო ტურნირია, რომელშიც 16-წლამდელები იასპარეზებენ. ჩვენ ერთი წლით უმცროსები მიგვყავს. ამით უფრო მეტ სარგებელს ვნახავთ, 16-წლამდელთა ნაკრების მომავალ თაობას კარგად გავეცნობით და შესაძლებელია, ბევრი ისეთი მოზარდი აღმოვაჩინოთ, რომელიც კადეტთა ნაკრებისთვის გამოგვადგება.

**- როგორ ფიქრობთ, ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარეთ თავი?**

- ყველა ის კალათბურთელი გამოვიძახეთ, რომელიც ჩემპიონატში გამოირჩეოდა. აქვე აღვნიშნავ, რომ გუნდში სამი 1998 წელს დაბადებული, ანუ 13 წლის მოზარდიც გვყავს - გიორგი ცირეკიძე, დათო აფხაზავა და გიორგი თვალაბეიშვილი.

**- ტურნირში რამდენი გუნდი მონაწილეობს?**

- როგორც ორგანიზატორებმა გვაცნობეს, ტურნირში მონაწილეობას 6 გუნდი მიიღებს. ჩვენთან ერთად ერევანში „აკადემიას" 1996 წელს დაბადებულთა გუნდიც მოდის.

**15-წლამდელთა ნაკრები**

| | |
|---|---|
| ლევან გოგოლაძე | ორბი-კარდინალი |
| ვასო მჭედლიშვილი | ორბი-კარდინალი |
| თენგო სხირტლაძე | ორბი-კარდინალი |
| დათო ფაღავა | ორბი-კარდინალი |
| ვატო ძვარაია | ავერსი |
| დათო ლომიძე | ავერსი |
| ვილი ისიანი | შსს |
| ლევან ბეროშვილი | ჰიუნდაი |
| გიგი გოგოხერიშვილი | რუსთავი |
| გიორგი ცირეკიძე | აკადემია |
| დათო აფხაზავა | ბათუმი |
| გიორგი თვალაბეიშვილი | დინამო |

**მთავარი მწვრთნელი: გია კაზანჯიანი**
**გუნდის მენეჯერი: გელა წულაძე**

სუპერლიგა. მე-17 ტური

# დინამოს რვა-რვა

**9 მარტი. რუსთავი**

**რუსთავი-დინამო 87:95**

**30:23, 24:23, 15:21, 18:28**

**რუსთავი:** მაჭავარიანი (7ქ, 7პ), გ. არაბული (6ქ, 5მ), გ. ბერუაშვილი, არწივიძე (4ქ, 4პ), ბააკაშვილი (3ქ), ჩაჩანიძე (24ქ, 3ჩ), ხმელიძე (27ქ), ტუჯანი (16ქ, 17მ).

**დინამო:** ს. ლეჟავა (9ქ, 5მ, 3პ), მარხვაშვილი (8ქ), კეიდია, ალხანაიძე, ნივნივაძე (12ქ, 5პ, 5მ), ზეჩევიჩი (16ქ, 6პ, 3ჩ), ოლუიჩი (20ქ, 11მ, 4პ, 5დ), კარტერი (30ქ, 10მ, 4პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

„რუსთავმა" კიდევ ერთხელ ჩაატარა პირველი ტაიმი აღმავლობით, 54:46 დაწინაურდა, თუმცა მეორე ნახევარში „დინამომ" თამაში სასურველ კალაპოტში წარმართა და საბოლოოდ 8 ქულის სხვაობით მოიგო.

რუსთაველები პერიმეტრიდან ცდილობდნენ ხეირის ნახვას და „დინამოზე" მეტი სამქულიანიც ჩააგდეს (10:7), თუმცა ფარქვეშ თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, მოხსნებში 43:32 იმარჯვეს და სატურნირო ცხრილში მოგება-წაგებათა რაოდენობაც გაითანაბრეს - 8/8.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# დროა სტეუარისთან ბალანსი გავათანაბროთ


მილტონ ჰეიგი

საქართველოს ნაკრები დღეს ბუქარესტში ერთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ უკვე ორი დღეა რუმინეთში იმყოფებიან და გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიშიც გამართეს.

ბუქარესტში საქართველოს ნაკრების სტუმრობა უწინდელთან შედარებით უფრო ხმაურიანი გამოდგა. ინტერესი მატჩის მიმართ დიდია, რადგან „სტეუარის“ და მის ქომაგს მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხი ჯერაც ვერ მოუნელებიათ. ამასთან ერთად მასპინძლები ჩვენს გუნდს უფრთხიან და მაქსიმალურად მობილიზებას ცდილობენ.

*„ურთულესი მატჩი იქნება, რადგან საქართველოს ნაკრები წინსვლას განიცდის, განვითარდა. თუ დავმარცხდებით დიდი ტრაგედია არ იქნება. მთავარი შედეგი არ არის, მთავარია, ჩვენი გუნდი გაიზარდოს, განვითარდეს და ისეთ დონეზე ავიდეს, როგორზეც დღეს საქართველოს ნაკრებია“* - თქვა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „მუხის ფოთლების“ კაპიტანმა **მარიუს ტინკუმ**.

ის რუმინელთა გუნდის ვეტერანი, მრავლის მნახველი, წამყვანი მოთამაშეა და, ცხადია, დაეჯერება. მასპინძლები განსაკუთრებით უფრთხიან „ბორჯღალოსანთა“ ლიდერს **მამუკა გორგოძეს** და იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში რამდენიმე ქართველი თამაშობს, რაც თავისთავად მეტყველებს გუნდის სიძლიერეზე.

ვინაიდან „სტეუარი“ რევანშის აღებას გეგმავს, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ჰარი დუმიტრაშმა** ყველა უძლიერეს მორაგბეს უხმო. ერთადერთი, ვინც ჩვენს მეტოქეს დააკლდება, მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცაა**, რომელიც ფრანგულმა გუნდმა „პერპინიანმა“ არ გაუშვა.

სამაგიეროდ, საქართველოს ნაკრებში სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ითამაშებენ **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი), **ანტონ ფიქრიშვილი** (კასტრი), **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), **გიორგი მაისურაძე** (ლა სეინი) და **გიორგი ჟღენტი** (მონპელიე).

პორტუგალიასთან მოგებული მატჩისგან განსხვავებით „ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობაში სამი ცვლილებაა. შერკინების პირველ ხაზში კვაჭის პოზიცია ბრიველმა **ირაკლი ნატრიაშვილმა** დაიკავა, **რეზო ბელქანიამ** (ლა სეინი) კი შესაბამისად სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა.

გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), რომელიც ასევე ძირითადში ითამაშებს, გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV) მისი დუბლიორი იქნება. ცვლილებაა მეორე ხაზშიც. **ლევან დათუნაშვილის** (ორიაკი) ნაცვლად, რომელიც გუნდმა არ გამოუშვა, **მილტონ ჰეიგმა გიორგი ნემსაძე** იხმო. წლეულს პირველად ითამაშებს ეროვნულ გუნდში შუამარბი თედო ზიბზიბაძე, რომელიც ამჯერად სათადარიგოთა შორის იქნება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს აქამდე ერთმანეთთან სულ 15 მატჩი გაუმართავთ. აქედან „ბორჯღალოსნებმა“ 7 მოიგეს და 8 წააგეს. ამრიგად, ჩვენს მორაგბეებს კარგი შანსი აქვთ ბალანსი გაათანაბრონ. რუმინელთა გუნდი ერთადერთია ერთა თასზე, ვისთანაც ჯერჯერობით უარყოფითი ბალანსი გვაქვს.

შეგახსენებთ, რომ მატჩი ბუქარესტში თბილისის დროით დღეს, 19 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი შემოგვთავაზებს.

### რუმინეთი-საქართველო

**საქართველო: 15. გიორგი შკინინი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. რევაზ ბელქანია, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. გივი ბერიშვილი, 20. გიორგი ბეგაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ლაშა მალაღურაძე.**

■ ■ ■

დღესვე სოჭში რუსეთის ნაკრები უკრაინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ შეხვედრაში ერთბაშად სამი ქართველი იასპარეზებს. რუსთა უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმა** აუტსაიდერთან სათამაშოდ ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა. შედეგად ძირითად შემადგენლობაში მოხვდა მოსკოვის „სპარტაკის“ მესამეხაზელი **ვასილ კვერნაძე.**

უკრაინის ნაკრების ქართველმა თავკაცმა **ზაზა ლეჟავამ** კი ყველა უძლიერეს უკრაინელ მორაგბეს უხმო. მათ შორის არიან ქართველები, ცხრა ნომერი **ზურაბ კიკაჩეიშვილი** და მესამეხაზელი **ჯაბა მალაღურაძე**, რომელიც „ბორჯღალოსანთა“ მგეზავის **ლაშა მალაღურაძის** ძმაა.

### რუსეთი-უკრაინა

რუსეთი: 15. იური კუშნარიოვი, 14. მიხაილ ბაბაევი, 13. სერგეი ტრიშინი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. დენის სიმპლიკევიჩი, 10. ანტონ რიაბოვი, 9. ალექსანდრ შაკიროვი. 1. ალექსეი ვოლკოვი, 2. ნაზირ გასანოვი, 3. ევგენი მატვეევი, 4. დენის ანტონოვი, 5. კირილ კულემინი, 6. არტიომ ფატახოვი, 7. პაველ კვერნაძე, 8. ანტონ სინიცინი.

16. ვლადიმირ ბოტვინიკოვი, 17. კირილ კოპეშკინი, 18. ინოკენტი ზიკოვი, 19. პაველ ბუტენკო, 20. გერმან გოდლიუკი, 21. ანდრეი ოტროკოვი, 22. ევგენი ტიტოვი.

უკრაინა: 15. ვიაჩესლავ პონომარენკო, 14. ოლეგ კოსარევი, 13. სერგეი გარკავი, 12. დენის მასიუკოვი, 11. მაქსიმ კრავჩენკო, 10. სერგეი ცერკოვნი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. ოლეგ ლიტვინენკო, 2. ნიკოლაი კირსანოვი, 3. ევგენი ჩაიკა, 4. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 5. ალექსანდრ ცაპენკო, 6. რუსლან რადჩუკი, 7. ალექსანდრ ლომაკინი, 8. ჯაბა მალაღურაძე.

16. ვიტალი კრამარენკო, 17. ალექსანდრ პოლიანსკი, 18. ედუარდ ვერტლიცკი, 19. დიმიტრი ფედშინი, 20. ნიკოლაი დელეგიევი, 21. სერგეი მონასტირიოვი, 22. ტარას მარჩენკო.

### ერთა თასი 2012

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +33 | 9 |
| 2.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +42 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +18 | 6 |
| 4.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -24 | 4 |
| 5.პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | -34 | 2 |
| 6.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

### ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 28 |
| 2.რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | +130 | 25 |
| 3.ესპანეთი | 7 | 4 | 0 | 3 | -41 | 19 |
| 4.პორტუგალია | 8 | 3 | 0 | 5 | -19 | 16 |
| 5.რუსეთი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 15 |
| 6.უკრაინა | 6 | 0 | 0 | 6 | -199 | 0 |

### 10 მარტი

### IV ტური

რუმინეთი-საქართველო
პორტუგალია-ესპანეთი
რუსეთი-უკრაინა


გიორგი ბეგაძე, უკანა პლანზე ვიქტორ კოლელიშვილი

ექვსი ერი


ვენსან კლერი და ტიერი დუსოტუარი

# ლე ბლო ლანკასტერის ბედს გადაწყვეტს

**შურისძიების სურნელი მუდამ ახლავს თან ექვსი ერის გათამაშებაში უძველესი მოწინააღმდეგეების, საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებების მატჩებს. ცხადია, ასე იქნება ახლაც, თუმცა ამ კონკრეტულ მატჩს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე აქამდე ჰქონდა.**

ინგლისელები ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხის გამო რევანშის აღებას აპირებენ. ამასთან ერთად, ამ მატჩის შედეგზეა დამოკიდებული „პომების“ დროებითი მთავარი მწვრთნელის **სტიუარტ ლანკასტერის** სანაკრებო კარიერა.

არადა, თამაში პარიზში, „სტად დე ფრანსზეა“, სადაც ერთი კვირის წინათ ფრანგებმა ირლანდიის ნაკრებს ვერ მოუგეს და ახლა უფრო მობილიზებულნი და მოტივირებულნი არიან. მათ არ დავიწყნიათ, რომ შარშან ოკლენდში ინგლისელებს საწყის 30 წუთში 16:0-ს უგებდნენ. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ წლეულს „ლე ბლომ“ იტალიის, შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრებებთან მატჩებში პირველ ტაიმში გადამწყვეტ უპირატესობას ვერაფრით მიაღწია.

ფრანგთა თავკაცმა **ფილიპ-სენტ ანდრემ** ორი უმნიშვნელოვანესი ცვლილება განახორციელა. ცხრა ნომერი **მორგან პარა** სათადარიგოთა სკამზე დასვა და მის ნაცვლად „სტად ფრანსეში“ შესანიშნავად მოასპარეზე **ჟულიენ დიუპიუის** ათამაშებს. მას ასიტენტობას ტულუზელი მგეზავი **ლიონელ ბუქსი** გაუწევს. მონპელიელი **ფრანსუა ტრინ-დუკი** კი თადარიგშია.

„პომები“ მათ **ლი დიქსონისა** და **ოუენ ფარელის** დუეტს დაუპირისპირებენ. ბენ იანგზი და ჩარლი ჰოჯსონი კი თამაშს თვალს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნებენ.

**საფრანგეთი: 15. კლემან პუატრენო, 14. ვენსან კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. ვესლი ფოფანა, 11. ჟულიენ მალზიო, 10. ლიონელ ბუქსი, 9. ჟულიენ დიუპიუი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. დიმიტრი სჟარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. იოან მაესტრი, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არონორდოკი.**

**16. ვილიამ სერვა, 17. ვენსან დებატი, 18. ლიონელ ნალე, 19. ლუი პიკამოლი. 20. მორგან პარა, 21. ფრანსუა ტრინ-დუკი, 22. მაქსიმ მერმოსი.**

**ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ბრედ ბარიტი, 11. დევიდ სტრიტლი, 10. ოუენ ფარელი, 9. ლი დიქსონი. 1. ალექს კორბიშიერო, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. მარიუს ბოთა, 5. ჯეფ პერლინგი, 6. ტომ კროფტი, 7. კრის რობშო, 8. ბენ მორგანი.**

**16. რობ ვებერი, 17. მეთ სტივენსი, 18. ტომ პალმერი, 19. ფილ დოუსონი, 20. ბენ იანგზი, 21. ჩარლი ჰოჯსონი, 22. მაიკ ბრაუნი.**

■ ■ ■

იტალიის ნაკრები დღეს კარდიფში უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „სკუადრა აძურას“ ფრანგმა თავკაცმა **ჟაკ ბრუნელმა** შემადგენლობაში შვიდი ცვლილება შეიტანა. მან შუამარბად დააბრუნა გამოცდილი **გონსალო კანალე.** ტრავმის მოშუშების შემდეგ ისევ მწყობრშია **მირკო ბერგამასკო.**

ბრუნელმა მგეზავად ავსტრალიური წარმოშობის **კრისტოფ ბარტონი** გაამწესა, ცხრა ნომრად კი **ფაბიო სემენცატო** ითამაშებს. შერკინებაში სამხრეთაფრიკული წარმოშობის მეორეხაზელმა **კორნელიუს ფან ზილმა მარკო ბორტოლამი** შეცვალა, ფლანკერი სიმონე ფავარო კი **რობერტო ბარბიერის** ამჯობინეს.

**იტალია: 15. ანდრეა მასი, 14. ლუკ მაკლინი, 13. გონსალო კანალე, 12. ალბერტო სგარბი, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრისტოფ ბარტონი, 9. ფაბიო სემენცატო, 1. ანდრეა ლო ჩიჩერი, 2. ლეონარდო ჯირალდინი, 3. ლორენცო ჩიტადინი, 4. ქვენტინ გელდენჰაუზი, 5. კორნელიუს ფან ზილი, 6. ალესანდრო ძანი, 7. სიმონე ფავარო, 8. სერჯო პარისე.**

**16. ტომაზო დაპიკე, 17. ფაბიო სტაბიანო, 18. მარკო ბორტოლამი, 19. რობერტ ბარბიერი, 20. ტობიას ბოტესი, 21. ტომაზო ბენვენუტი, 22. ჯულიო ტონიოლატი.**

### ექვსი ერი

### სატურნირო მდგომარეობა

1. უელსი - 6 ქულა, 2. საფრანგეთი - 5, 3. ინგლისი - 4, 4. ირლანდია - 3, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

### 10 მარტი

უელსი-იტალია, ირლანდია-შოტლანდია.

### 11 მარტი

საფრანგეთი-ინგლისი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის**
ფოტოები

საარაგბო კლუბი ქუთაისის „აია“ და ამავე გუნდის ვეტერანი მორაგბეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, წარსულში შესანიშნავი მორაგბის
**გურამ მოდებაძის**
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი


ჩიკაგო-ორლანდო

# ორლანდოს რეაბილიტაცია

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგ სათამაშო დღეს ორი მატჩი გაიმართა. „ორლანდომ“ გასვლითი გამარჯვება მოიპოვა „ჩიკაგოსთან“ მატჩში, „ფინიქსმა“ კი დაძაბულ ბრძოლაში აჯობა „დალასს“.

აღმოსავლეთის მესამე გუნდი „ორლანდო“ ჩიკაგოში „შარლოტთან“ სენსაციური მარცხის შემდეგ გაემგზავრა. როგორც ჩანს, აუთსაიდერთან წაგებამ გამოაფხიზლა **სტენ ვან განდის** გუნდი. რეაბილიტაციის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ „მეჯიქმა“ შეძლო ლიდერის დამარცხება, რომელსაც ზედიზედ რვა მოგება ჰქონდა.

სტუმრებმა შეხვედრა რიხით დაიწყეს და ინიციატივა მოიპოვეს. „ჩიკაგო“ მზად არ აღმოჩნდა ამგვარი ზეწოლის წინააღმდეგ და საბოლოოდ, საწყისი 12 წუთი 22:37 წააგო. „ორლანდოს“ რიგებში განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ **დუაიტ ჰოვარდი**, რომელმაც 29 ქულა და 19 მოხსნა დააგროვა.

პირველი შესვენების შემდეგ სიტუაცია მოედანზე კარდინალურად შეიცვალა. მასპინძლებმა სწორი დასკვნები გააკეთეს, უფრო აკურატულად ეპყრობოდნენ ბურთს და შედეგად, მეორე მეოთხედი 10-ქულიანი სხვაობით მოიგეს. დიდი შესვენების შემდეგ თამაში დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც სტუმრები, ძირითადად, თავს იცავდნენ და კონტრშეტევებზე მოქმედებდნენ.

განსაკუთრებით გაუჭირდათ სტუმრებს მატჩის დასკვნით ნაწილში, როცა „ჩიკაგომ“ პრაქტიკულად მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. „ორლანდოსთვის“ საბედნიეროდ, გადამწყვეტი ტყორცნების დროს „ხარებს“ სიზუსტე არ ეყოთ, რამაც შეწყვიტა მათი მოგებათა სერია.

■ ■ ■

მეორე მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ გუნდები, რომლებსაც მესამე ადგილები უკავიათ წყნარი ოკეანისა და სამხრეთ-დასავლეთ დივიზიონებში, მაგრამ დასავლეთ კონფერენციაში „დალასი“ დიდი მანძილით უსწრებს „ფინიქსს“. თამაში თანაბარი გამოვიდა და ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ბედი. პირველი მეოთხედი „დალასმა“ ერთი ქულის სხვაობით მოიგო.

მეორე მეოთხედში ჩემპიონებმა გაიხსენეს, რომ ტყუილად არ დგანან დასავლეთში „ფინიქსზე“ მაღლა. საბოლოოდ, **ნოვიცკისა** და **კარტერის** მონდომებით სტუმრები დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მაგრამ არც „ფინიქსს“ სურდა ზედიზედ მეორე მატჩის წაგება.

მესამე მეოთხედში სტუმრებმა უკვე 12 ქულამდე გაზარდეს თავიანთი უპირატესობა და სწორედ ამის შემდეგ ათამაშდა „სანზი“. მასპინძლებმა ტემპს უმატეს და საბოლოოდ 11:0 გაიქცნენ, რამაც მათ ბოლო მეოთხედის წინ ორქულიანი უპირატესობა მოუტანა. სწორედ ეს გაქცევა აღმოჩნდა გადამწყვეტი, რადგან ბოლო მეოთხედი ფრედ დასრულდა და „ფინიქსმა“ გამარჯვება იზეიმა ფავორიტის წინააღმდეგ მატჩში.

დალასელი გულშემატკივრებისთვის ერთადერთი სასიხარულო ფაქტი ის იყო, რომ NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში 32-ე ადგილზე გადავიდა ვინს კარტერი. თანაც, „ვინსანიტიმ“ თვით ლეგენდარულ **ბობ პეტიტს** (20 880) გაუსწრო, რომელიც ისტორიაში პირველი კალათბურთელი იყო, ვინც 20000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

**ჩიკაგო-ორლანდო 94:99**

**22:37, 30:20, 19:22, 23:20**

**ჩ:** ბუზერი (26+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), როუზი (17+9 პასი), გიბსონი (14), ნოა (9+10 არლქრპრვ+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

**ო:** ჰოვარდი (29+19 მოხსნა+3 დაფარება), რიჩარდსონი (18), თურქოგლუ (13+6 მოხსნა+6 პასი), ანდერსონი (11+10 მოხსნა).

**ფინიქსი-დალასი 96:94**

**23:24, 21:29, 34:23, 18:18**

**ფ:** დადი (18+8 მოხსნა+3 დაფარება), გორტატი (16+12 მოხსნა), ჰილი (15+5 მოხსნა), ნეში (11+11 პასი).

**დ:** ნოვიცკი (18+7 მოხსნა), კარტერი (18+5 მოხსნა), ოდომი (15), მერიონი (12+8 მოხსნა), კიდი (12+3 ჩაჭრა).

## მაკმილანს გაუშვებენ

ამერიკული პრესის ცნობით, “პორტლენდის” მთავარი მწვრთნელი **ნეიტ მაკმილანი**, სავარაუდოდ, ზაფხულში დატოვებს კლუბს.

ამ მომენტისთვის “ბლეიზერსი” ბოლო ადგილს იკავებს ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში – მას 39 მატჩში 20 წაგება აქვს.

## ჩენდლერი კიდევ სამს გამოტოვებს

“ნიუ იორკის” ცენტრმა **ტაისონ ჩენდლერმა** გამოტოვა “სან ანტონიოსთან” გასვლითი შეხვედრა მუხლის ტრავმის გამო, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ არის მისი მონაწილეობა მომდევნო სამ მატჩში “მილუოკის”, “ფილადელფიასა” და “ჩიკაგოს” წინააღმდეგ.

*“სჯობს სამი თამაში გამოვტოვო, ვიდრე სამი ან ოთხი კვირა. გონიერად ვიმოქმედებ და დავუჯერებ ექიმებს”*, - ამბობს ჩენდლერი.

## სმიტმა გაცვლა მოითხოვა

“ატლანტას” ფორვარდმა **ჯოშ სმიტმა** კლუბის ხელმძღვანელობას მიანიშნა, რომ უახლოეს ხანში “ჰოქსის” რიგების დატოვება სურს.

ამერიკული პრესა ამის მიზეზად რამდენიმე ფაქტს ასახელებს: “ატლანტას” ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, არ მოისურვებს მასთან კონტრაქტის გაგრძელებას, გარდა ამისა, სმიტი არ იღებს დაუმსახურებელ კრიტიკას მწვრთნელისა და პრესის მხრიდან, აგრეთვე, კლუბი არ ზრუნავს იმაზე, რომ ჯოში “ყველა ვარსკვლავის მატჩზე” მოხვდეს.

## ზაკი სამშაბათს ბრუნდება

“მემფის გრიზლისის” ფორვარდი **ზაკ რენდოლფი** მომავალ სამშაბათს აპირებს მოედანზე დაბრუნებას. ამ დღეს მისი გუნდი საშინაო შეხვედრას ჩაატარებს “ლეიკერსის” წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ “მემფისის” ერთ-ერთმა ლიდერმა მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და ამის გამო პირველი იანვრიდან არ უთამაშია.

● კალათბურთი

# ბრაუნს შეგირდები აუჯანყდნენ

ვებგვერდ ESPN.com-ის ინფორმაციით, “ლოს ანჯელეს ლეიკერსის” მოთამაშეებს სულ უფრო მეტად ეპარებათ ეჭვი გუნდის მთავარი მწვრთნელის **მაიკ ბრაუნის** კომპეტენციაში. გულშემატკივრების აზრით, სპეციალისტს არ შეუძლია თამაშის ორგანიზება შეტევაში: გუნდი საშუალოდ 94 ქულას აგროვებს, რაც “ლეიკერსისთვის” უარესი შედეგია 1954-55 წლების სეზონის შემდეგ.

მოთამაშეებმა მწვრთნელის პროფესიონალიზმი “პორტლენდთან” მოგების შემდეგ განიხილეს.

“ლეიკერსმა” ბოლო ორ მატჩში წააგო აღმოსავლეთის აუთსაიდერებთან – “დეტროიტთან” და “ვაშინგტონთან”.

■ ■ ■

ამასობაში, ისევ ვრცელდება ინფორმაცია “ლეიკერსის” ერთ-ერთი ლიდერის **პაუ გასოლის** გაცვლის თაობაზე. კალიფორნიელებმა, შესაძლოა, “ჰიუსტონში” გაუშვან ესპანელი ლეგიონერი. “ლეიკერსს” იმედი აქვს, რომ გასოლში გამთამაშებელ **კაილი ლოურისა** და ფორვარდ **ლუის სკოლას** მიიღებს.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ბლუზმენები გალიდერდნენ

დიდი სათამაშო დღე გაიმართა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. მეკარეებს შორის ამ დღეს ყველაზე მეტად ფინელ **კარი ლეჰტონენს** გაუჭირდა. „სან ხოსესთან“ მატჩში „დალასის“ მეკარეს 48-ჯერ დაურტყეს და სამი გაშვებული შაიბის მიუხედავად, ის დღის მესამე ვარსკვლავად აღიარეს. ლეჰტონენს მხარი აუბა ახალგაზრდა ჩეხმა **ვინკურმა**, რომელმაც ანგარიში საფინალო სირენამდე წუთითა და 15 წამით ადრე გაათანაბრა, შემდეგ კი ბულიტების სერიაში ერთადერთმა შეძლო გოლის გატანა. თავად ლეჰტონენმა ყველა ბულიტის მოგერიება მოახერხა.

„დალასისთვის“ და „სან ხოსესთვის“ ეს დღე წარმატებული იყო იმ მხრივ, რომ დივიზიონში მათმა ყველა კონკურენტმა წააგო. „ლოს ანჯელესი“ დამარცხდა „კოლამბუსთან“ 1:3 და დროებით დაკარგა საუკეთესო რვა გუნდს შორის მოხვედრის შანსი. „ბლუ ჯეკეტსმა“ არა მხოლოდ მოიგო ზედიზედ მეოთხე შეხვედრა, არამედ „მეფეები“ მათივე ყოფილი მცველის **ჯეკ ჯონსონის** გოლით დაამარცხეს. როგორც ჩანს, სეზონის ბოლოს „კოლამბუსი“ მზად არის გუნდებს პლეი ოფის ზონაში შესვლაში შეუშალოს ხელი.

ყველაზე დასანანი მარცხი „ფინიქსმა“ იწვნია, რომელიც მოშლილ „მინესოტას“ ილებდა შინ და ორი პერიოდის შემდეგ 0:2-ს აგებდა. „კოიოტებმა“ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და საქმის ბულიტების სერიამდე მიყვანა, მაგრამ **დენი ჰიტლიმ** მეხუთე რაუნდში ზუსტი დარტყმით მნიშვნელოვანი ქულა წაართვა არიზონელებს. ამ დივიზიონში უდიდესი ბრძოლაა. ლიდერი „დალასი“ სამი ქულით უსწრებს „ფინიქსს“, „სან ხოსეს“ ოთხი ქულით და „ლოს ანჯელესს“ - ხუთი ქულით.

ამასობაში, „სენტ ლუისი“ აგრძელებს თავის მოგებათა სერიას და მთლიანად რეგულარული ჩემპიონატის ლიდერი გახდა. „ბლუზმენები“ საკუთარ ყინულზე გაუსწორდნენ „ანაჰაიმს“ - 3:1. ახლა მათ ანგარიშზე 93 ქულაა. „იხვები“ თანდათან შორდებიან მერვე ადგილს და **პერის** გოლებიც არ შველით სასწაულის მოსახდენად. გუშინდელი ყველა შედეგის გათვალისწინებით, მერვე ადგილზე გადასვლა შეეძლო „კოლორადოს“, მაგრამ დენვერელებმა პროგნოზისამებრ წააგეს „ნეშვილთან“ - 2:4.

აღმოსავლეთშიც მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა იმ გუნდებს შორის, რომლებსაც პლეი ოფის ზონაში უნდათ მოხვედრა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი იყო „ვაშინგტონსა“ და „ტამპა ბეის“ შორის, რომლის ბედიც ოვერტაიმში გადაწყდა. ძირითადი დრო 2:2 დასრულდა, უნდა აღვნიშნოთ „ტამპას“ 22 წლის მეკარის **დასტინ ტოკარსკის** პირველი მატჩი სეზონში. 60 წუთის განმავლობაში მან 26 დარტყმა მოიგერია, მაგრამ ოვერტაიმში ტოკარსკი ვერ გაუმკლავდა **ოვეჩკინის** დარტყმას, რამაც დედაქალაქელებს უმნიშვნელოვანესი ორი ქულა მოუტანა. ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში „ლაითნინგის“ ფორვარდმა **სტივენ სტემკოსმა**, რომელიც ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე გადავიდა.

ყველა კონკურენტისთვის საბედნიეროდ, „ბაფალომ“ თავის ძირითად მეკარეს **რაიან მილერს** დასვენების საშუალება მისცა და მაშინვე წააგო „ბოსტონთან“ - 1:3, რითაც გაირთულა პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლა. „დათვები“ კი ოდნავ მიუახლოვდნენ კონფერენციის ლიდერს, რადგან „რეინჯერსმა“ სტუმრად წააგო „ოტავასთან“ - 1:4. „სენატორების“ რიგებში ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა მეკარე **ბენ ბიშოპმა**, რომელიც მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა. აღსანიშნავია, რომ „ოტავა“, რომელიც მეშვიდე პოზიციაზე იმყოფება, მეცხრე ადგილს მთელი რვა ქულით დაშორდა. მას კიდევ უფრო ზემოთ შეეძლო ასვლა, მაგრამ კონკურენტებმა ნიუ ჯერსიდან და ფილადელფიადან დამაჯერებლად მოიგეს თავიანთი მატჩები.

„ეშმაკები“ მშვიდად გაუსწორდნენ „აილენდერსს“, მათმა ფორვარდმა **ილია კოვალჩუკმა** კი ჰეთ-თრიკი გაიფორმა და თავისი გოლების ანგარიში 29-მდე აიყვანა. რაც შეეხება „ფილადელფიას“, მან 5:0 გაანადგურა „ფლორიდა“. „ფლაიერზის“ რიგებში ორი ქულა დააგროვა **კლოდ ჟირუმ**, რომელიც ისევ იბრძვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის. გარდა ამისა, ბოლო სამ მატჩში მეორე „შათაუტი“ შეასრულა რუსმა მეკარემ **ილია ბრიზგალოვმა**. „პიტსბურგი“ და „ფილადელფია“ სერიოზულ ზეწოლას ახორციელებენ „რეინჯერებზე“.

დღის ბოლო მატჩისთვის „ვაშინგტონმა“ მადლობა უნდა გადაუხადოს „ვანკუვერს“, რომელმაც დაამარცხა „ვინიპეგი“ (3:2) და შეუნარჩუნა მერვე ადგილი „კეპიტალზს“. „კენაქსში“ კრიზისი ვერ გადალახეს ძმებმა **სედინებმა** - **ჰენრიკი** ზედიზედ შვიდი მატჩია ვერ აგროვებს ქულებს, **დანიელს** კი ასევე შვიდ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აქვს.

**კოლამბუსი-ლოს ანჯელესი 3:1**

**2:1, 1:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 ლეტესტუ-6 (ვიშნიევსკი-19, პროსპალი-32), 1:1 კოპიტარი-20 (დ. ბრაუნი-22), 2:1 ჯ. ჯონსონი-10 (ბრასარი-20, უმბერგერი-17), 3:1 ლეტესტუ-7 (მაიოროვი-1, პროსპალი-33).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 3:2 (ო)**

**1:0, 0:2, 1:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 კ. ოკუანი-2 (ელზნერი-13, ჰალპერნი-11), 1:1 მელოუნი-12 (სტემკოსი-34, პურსელი-35), 1:2 პურსელი-20 (სან ლუი-40, ბ. კლარკი-11), 2:2 მ. იოჰანსონი-13 (უაიდემანი-31), 3:2 ოვეჩკინი-27 (ორლოვი-12, ჩიმერა-16).

**ფილადელფია-ფლორიდა 5:0**

**1:0, 2:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ბ. შენი-9 (კ. ჟირუ-54, მ. კარლი-29), 2:0 რიდი-19 (სიმონდსი-19, ბრიერი-22), 3:0 ჰარტნელი-32, 4:0 იაგრი-18 (ბრიერი-23, კ. ჟირუ-55), 5:0 უელვუდი-3 (გუსტაფსონი-3).

**ნიუ ჯერსი-აილენდერსი 5:1**

**1:0, 1:1, 3:0**

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-27 (პარიზე-31, ენრიკე-29), 2:0 კოვალჩუკი-28 (ჟიდლიცკი-15, ელიაში-42), 2:1 ენდრიუ მაკდონალდი-4 (ბეილი-9, ულსტრიომი-4), 3:1 ელიაში-23 (რ. კარტერი-3, ლარსონი-15), 4:1 კოვალჩუკი-29 (პარიზე-32, ენრიკე-30), 5:1 კლარკსონი-27 (ჟიდლიცკი-16, ჯოზეფსონი-5).

**ბოსტონი-ბაფალო 3:1**

**0:1, 1:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 პომინვილი-25 (ვანეკი-27), 1:1 გ. კემპბელი-7 (შ. ტორნტონი-8), 2:1 ბოიჩუკი-4 (კარონი-5), 3:1 კრეისი-18 (ლუჩიჩი-28, სეგუინი-31).

**ოტავა-რეინჯერსი 4:1**

**2:1, 0:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 კელეჰანი-26 (ბ. რიჩარდსი-28, სტრალმანი-13), 1:1 ზ. სმიტი-14 (კონდრა-15), 2:1 ფოლინო-14 (ო'ბრაიენი-2), 3:1 ტარისი-8 (ალფრედსონი-27, კინკჰამერი-1), 4:1 სპეცა-29 (მ. მიხალეკი-19, კუბა-21).

**სტ ლუისი-ანაჰაიმი 3:1**

**0:0, 1:1, 2:0**

**გოლები:** 0:1 პერი-34 (ბელესკი-10, გეტცლაფი-37), 1:1 ბეკსი-20 (პერონი-19, პიეტრანჯელო-31), 2:1 ბერგლუნდი-14 (ენდი მაკდონალდი-6, ი. კოული-5), 3:1 ბეკსი-21 (მატენკირკი-27, პერონი-20).

**ნეშვილი-კოლორადო 4:2**

**2:1, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 მაკგინი-16 (დ. ჯონსი-15, პ. შჩასტნი-27), 1:1 ფიშერი-20 (შ. უებერი-27, რ. სუტერი-34), 2:1 იიპი-2 (იოსი-11, 7 ბურკი-7), 3:1 ს. კოსტიცინი-17 (ჰალიშჩუკი-11), 3:2 პ. შჩასტნი-17 (მიულერი-6, მაკგინი-14), 4:2 ერატი-16 (გოსტადი-12).

**დალასი-სან ხოსე 4:3 (ბ)**

**0:0, 1:1, 2:2, 0:0**

**გოლები:** 1:0 რაიდერი-29 (დოუელი-5, დელეი-20), 1:1 ტ. მიტჩელი-7 (ჯ. ტორნტონი-46, ვლასიჩი-16), 1:2 მარლო-27 (ჯ. ტორნტონი-47), 2:2 ბენი-20 (ბარიში-11, რობიდასი-16), 2:3 პაველსკი-24 (დ. ბოილი-32, ჯ. ტორნტონი-48), 3:3 ვინკური-4 (რობიდასი-17, ბენი-34).

**ბულიტები გაიტანეს:** ვინკური (დალასი).

**ფინიქსი-მინესოტა 2:3 (ბ)**

**0:2, 0:0, 2:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-17 (პოუ-7), 0:2 კამპფერი-1 (კულენი-20, სეტოგუჩი-13), 1:2 ტორესი-11 (სტოუნი-1), 2:2 კორპიკოსკი-15 (ვერმეტი-20, ა. ოკუანი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** რეი უიტნი (ფინიქსი), კრისტენსენი (მინესოტა), დოუნი (ფინიქსი), სეტოგუჩი (მინესოტა), ჰიტლი (მინესოტა).

**ედმონტონი-მონრეალი 3:5**

**1:!, 1:1, 1:3**

**გოლები:** 1:0 ჰორკოფი-13 (პოტერი-16, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-25), 1:1 სუბანი-6 (დეშარნე-38, პასიორეტი-24), 1:2 პასიორეტი-29 (გომესი-9, სუბანი-23), 2:2 უმარკი-1, 2:3 კაბერლე-3 (რ. ბურკი-6, პლეკანეცი-31), 2:4 ელერი-15 (რ. უაიტი-2), 3:4 ტ. ჰოლი-24 (მულცი-5, რაიან უიტნი-12), 3:5 პასიორეტი-30 (სუბანი-24).

**ვანკუვერი-ვინიპეგი 3:2**

**0:0, 1:1, 2:1**

**გოლები:** 1:0 კესლერი-20, 1:1 უელვუდი-15 (ე. კეინი-21), 1:2 უელერი-16 (ლედი-18), 2:2 ედლერი-10 (სალო-14, ჰიგინსი-22), 3:2 პალსონი-3 (ბიეკსა-31, ჰანსენი-18).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ილია კოვალჩუკი

## ფორმულა 1




# ესპანეთს ერთი გრანპრი დაუტოვეს

## რობერტ კუბიცას წყლის დალევაც არ შეუძლია

2013 წლიდან ესპანეთი მხოლოდ ერთ გრანპრის უმასპინძლებს – ოფიციალურად დადასტურებულია, რომ ბარსელონა და ვალენსია მორიგეობით ჩაატარებენ ეტაპებს.

ბარსელონაში ესპანეთის გრანპრის ჩატარებაზე კონტრაქტი 2016 წლამდეა გაფორმებული, ვალენსიასთან კი ხელშეკრულება 2021 წლის ბოლომდე გააგრძელეს, მაგრამ ესპანეთში რთულმა ფინანსურმა სიტუაციამ რბოლის ორგანიზატორები და ფორმულა 1-ის პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** აიძულა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ეძებნათ. ოპტიმალური გადაწყვეტილება გახდა 2016 წლამდე რბოლების მონაცვლეობით ჩატარება.

სააგენტო AP-თვის მიცემულ ინტერვიუში ბერნი ექლსტოუნმა განაცხადა, რომ ეტაპების მონაცვლეობა ბელგიასა და საფრანგეთშიც მოხდება, ასე რომ, ეს ქვეყნები უბრუნდებიან ფორმულა 1-ის კალენდარს.

■ ■ ■

რამდენიმე წლის წინ, ფორმულა 1-ის ბევრი პილოტი მონაკოდან შვეიცარიაში გადაბარგდა, ახლა კი საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს. გასულ კვირას **ლუის ჰემილტონმა** ციურიხიდან მონტე კარლოში გადაიტანა თავისი ნივთები.

**ლუის ჰემილტონი:** „დაახლოებით ერთი კვირის წინ გადავსახლდი. ციურიხში ცოტათი მოსაწყენი იყო, მონაკოში კი ცხოვრება დუღს, იქ ბევრი პილოტი ცხოვრობს და ზღვასთან ამინდიც გაცილებით უკეთესია. შემიძლია ვარჯიშების დროს კოლეგებს შევხვდე, ჩემი მწვრთნელიც თითქმის მეზობლად ცხოვრობს. მონაკოში ჩემთვის კომფორტულია ცხოვრება.

ზამთრის ტესტების შეჯამება? ჩვენ საწვავის დიდი რაოდენობით ვმუშაობდით, ამიტომაც დიდად არ ვწუხვარ შედეგების გამო - ძალთა თანაფარდობას პირველი რბოლის დროს შევიტყობთ. ვფიქრობ, სიტუაცია განსხვავებული იქნება იმისგან, რაც ბოლო ორ წელიწადში იყო, როცა „რედ ბულის" მანქანებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ.

როგორც ჩანს, „ლოტუსს" სწრაფი მანქანა ჰყავს, „მერსედესიც" სწრაფი ჩანს... ბრძოლა საკმაოდ მჭიდრო იქნება, თან გუნდები სეზონის მსვლელობისას გააგრძელებენ ბოლიდების დახვეწას".

■ ■ ■

„ტორო როსოს" ყოფილმა პილოტმა **ხაიმე ალგერსუარიმ** აღნიშნა, რომ ტრავმირებული პოლონელი ავტომრბოლის **რობერტ კუბიცას** მდგომარეობა შორს არის იდეალურისგან. შეგახსენებთ, რომ „ლოტუს-რენოს" ყოფილი პილოტი უკვე წელიწადზე მეტია აღდგენით კურსს გადის რალიში მიღებული ავარიის შემდეგ.

*„ჩემი აზრით, კუბიცა იყო და რჩება ფანტასტიკურ პილოტად. დარწმუნებული ვარ, რომ არა ის ავარია, რობერტი მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა, - ამბობს ესპანელი პილოტი. - მაგრამ დღეს მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არც ისე სასიამოვნო ამბები მესმის. ტრავმირებული ხელით მას წყლის ჭიქის აწევაც არ შეუძლია".*

## ამბები

**ველოსპორტი**

### სუპერმარიო ისევ ბრუნდება

ლეგენდარულმა იტალიელმა ველომრბოლმა, 44 წლის **მარიო ჩიპოლინიმ** უახლოეს ხანში პროფესიული კარიერის განახლების სურვილი გამოთქვა.

ჩიპოლინიმ თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ახალგაზრდა თანამემამულისთვის - სპრინტერ **ანდრეა გუარდინისთვის** დახმარების გაწევა დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ჩიპოლინი უკვე ცდილობდა დიდ სპორტში დაბრუნებას, მაგრამ „კალიფორნიის ტურში" მონაწილეობის შემდეგ, იტალიელს პრობლემები შეექმნა თავისი მაშინდელი გუნდის - Rock Racing-ის ხელმძღვანელობასთან.

**ჩოგბურთი**

### კუერტენი დიდების დარბაზში შევა

წარსულში სახელგანთქმული ბრაზილიელი ჩოგბურთელი **გუსტავო კუერტენი** ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში მოხვდება. კუერტენი მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო და სამჯერ მოიგო „დიდი სლემის" ერთ-ერთი ტურნირი - როლან გაროსი (1997, 2000 და 2001).

საზეიმო ცერემონია 2012 წლის 14 ივლისს, ამერიკის ქალაქ ნიუპორტში გაიმართება. კუერტენის გარდა, დიდების დარბაზში შეიყვანენ 1975 წელს აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონ **მანუელ ორანტესს**, პრომოუტერ **მაიკ დევისსა** და 2009 წელს გარდაცვლილ შეზღუდული შესაძლებლობების ჩოგბურთელს **რენდი სნოუს**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| კიდერმინსტერი-ფლიტვუდი | 0:2 |
| **იტალია** | |
| კიევო-ინტერი | 0:2 |
| ნაპოლი-კალიარი | 6:3 |
| **სერია C1/B** | |
| ტრიესტინა-პორტოგრუარო | 1:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სელტა-ნუმანსია | 5:0 |
| **გერმანია** | |
| შტუტგარტი-კაიზერი | 0:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფიურტი-ალემანია | 1:0 |
| პადერბორნი-ბოხუმი | 0:0 |
| უნიონი-დუისბურგი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვილჰელმშავენი-გერმანია | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| პფიულენდორფი-ფიურტი A | 3:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კაიზერი A-ფერლი | 0:0 |
| ბოხუმი A-ესენი | 2:4 |
| ვიდენბრუკი-მაინცი A | 2:3 |
| **საფრანგეთი** | |
| აიაჩო-მარსელი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-არლი | 0:3 |
| ანჟერსი-ლავალი | 0:0 |
| ბულონი-სედანი | 1:1 |
| კლერმონი-ლე მანი | 1:1 |
| ისტრი-ნანტი | 2:1 |
| ჰავრი-მეცი | 1:1 |
| მონაკო-გინგამი | 1:0 |
| ტრუა-შატორუ | 0:1 |
| რეიმსი-ტური | 2:3 |
| **ნასიონალი** | |
| კრეტეი-გფკო აიაჩო | 2:1 |
| მარტიგი-პარიზი | 0:1 |
| ვანი-კევილი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-ვენლო | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ალმერი-მაასტრიხტი | 1:2 |
| ემენი-ეინდჰოვენი | 0:1 |
| ვოლენდამი-დორდრეჰტი | 1:1 |
| ცვოლე-დენ ბოში | 1:0 |
| ჰელმონდი-ოსი | 2:1 |

| | |
|---|---|
| ტელსტარი-იგლზი | 0:2 |
| ვილემი-ვეენდამი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-ფეირენსე | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბლაუ ვაისი-სტ. პოლტენი | 0:1 |
| ლუშტენაუ-გრიოდიგი | 0:3 |
| ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) | 0:2 |
| ვენა-ლინცერი | 1:2 |
| ალტახი-სტ. ანდრა | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კალონი-პანთრაკიკოსი | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| ანკარაგიუჯუ-ფენერბაჰჩე | 0:2 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-შელბურნი | 0:2 |
| ბრეი-დერი | 0:4 |
| კორკი-დროგედა | 2:3 |
| დანდალკი-სტ. პატსი | 0:2 |
| შემროკი-მონეგანი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| გალვეი-უექსფორდი | 1:1 |
| უოტერფორდი-ლიმერიკი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ბალა-პრესტატინი | 3:0 |
| კარმარტენი-პორტ ტელბოტი | 1:0 |
| ლანელი-ნითი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიქტორია-სპარტა | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| იჟლავა-ზენიტი | 3:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| რუჟემბეროკი-ტრნავა | 0:0 |
| ნიტრა-ჟილინა | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| ცსკა-დინამო | 1:1 |
| **უკრაინა** | |
| ობოლონი-ოლექსანდრია | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| ლსკა-პრაკოვია | 2:2 |
| ვისლა-ლეხი | 0:0 |
| **ხორვატია** | |
| შიბენიკი-რიეკა | 2:2 |
| **უნგრეთი** | |
| დიორი-შიოფოკი | 4:1 |
| **რუმინეთი** | |
| ვასლუი-კონკორდია | 4:0 |
| გაზ მეთანი-კლუჟი | 1:1 |

| | |
|---|---|
| **ბულგარეთი** | |
| ბეროე-ლოკომოტივი (პ) | 1:0 |
| [illegible] | |
| ცსკა-ზიმბრუ | 1:2 |
| აკადემია-ისკრა | 1:3 |
| ნისტრუ-სფინტული | 2:0 |
| **არგენტინა** | |
| კოლონი-ნიუელსი | 0:3 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-გისენი | 78:63 |
| ერტლანდი-გოტინგენი | 87:76 |
| **საფრანგეთი** | |
| პო ორტეზი-შალონი | 64:74 |
| დიჟონი-პუატიე | 79:59 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ბარისი-მეტალურგი (მ) | 3:4 (ო) |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 2:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 6:3 |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 6:1 |
| ჰამბურგი-კრეფელდი | 6:1 |
| დიუსელდორფი-კიოლნი | 0:3 |
| იზერლონი-მიუნხენი | 7:3 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 3:4 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-როდოვრე | 1:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ტრენჩინი | 5:1 |
| სლოვანი-ჟილინა | 3:2 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტპს | 3:2 (ო) |
| ჰიფკ-საიპა | 3:2 (ო) |
| ჰპკ-პელიკანსი | 3:4 (ო) |
| ესეტი-იოკერიტი | 4:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 3:4 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიხე | 2:3 (ბ) |
| სლავია-ბოლესლავი | 4:2 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 4:6 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| **ბერლოკი**-პერი | 6:4, 6:2 |
| **მალისე**-რეინოლდსი | 6:2, 6:4 |
| ნიემინენი-**ჰაასი** | 6:7, 4:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| **გორგესი**-ბალტაჩა | 6:3, 6:2 |
| **მაკჰეილი**-ვესნინა | 6:3, 7:5 |
| იანკოვიჩი-**ჰემპტონი** | 4:6, 3:6 |

## TV პროგრამა

### 10 მარტი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. კიევო-ინტერი.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტურის წინ.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
**14:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
**15:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**16:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. აიაჩო-მარსელი.
**18:30** გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**21:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. ევერტონი-ტოტენჰემი (LIVE).
**23:45** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. პალერმო-რომა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-პორტლენდი.
**14:30** NBA Action.
**15:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**16:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**17:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. უნიქსი-პანათინაიკოსი.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. სანდერლენდი-ლივერპული (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. მალაგა-ლევანტე (LIVE).
**23:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. ირლანდია-შოტლანდია.
**01:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბეტისი-რეალი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
**14:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 2011 წელი. ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
**18:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. უელსი-იტალია (LIVE).
**20:30** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**21:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. აუგსბურგი-დორტმუნდი (LIVE).
**23:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. შსს-ქუთაისი (LIVE).
**19:00** რაგბი. ერთა თასი. რუმინეთი-საქართველო (LIVE).

### 11 მარტი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბეტისი-რეალი.
**12:00** იტალიის შოუ.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** სუპერკოლაჟი.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბრედა-ეინდჰოვენი (LIVE).
**17:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ჯენოა-იუვენტუსი (LIVE).
**20:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. რასინგი-ბარსელონა (LIVE).
**23:00** სუპერკოლაჟი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-იუტა.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. ბრედა-ეინდჰოვენი (LIVE).
**17:30** სუპერკოლაჟი.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. მილანი-ლეჩე (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**20:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXV ტური. შალკე-ჰამბურგი (LIVE).
**22:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. საფრანგეთი-ინგლისი.
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ბოსტონი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ინდიანა უელსი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური. აიაქსი-ვალვაიკი (LIVE).
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. დიჟონი-პსჟ (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III წრე. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



მარია და ნოვაკი გადაღებებზე

# მხიარულება გადაღებებზე

**მარია შარაპოვამ** და ATP-ის კლასიფიკაციის ლიდერმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მონაწილეობა მიიღეს HEAD Tennis-ის ახალი რეკლამის გადაღებებში. ამის შესახებ მარიამ თავის „ტვიტერზე" დაწერა.

*„აქ არის რამდენიმე ფოტო, რომელიც ახალი სარეკლამო რგოლის შექმნისას არის გადაღებული. მთავარ როლში მე და ნოვაკ ჯოკოვიჩი ვართ.*

*საერთო ჯამში, ეს ვიდეო შესანიშნავი რეკლამა უნდა გახდეს, მაგრამ მსახიობების მხრიდან კონცენტრაციის ნაკლებობას, შესაძლოა იდეის სრული კრახი გამოეწვია", - იტყობინება მარია.*

სამთო-სათხილამურო სპორტი



ლინდსი ვონი

# ვონის მეოთხე გლობუსი

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებს შორის მსოფლიოს თასის ტრიუმფატორი გახდა ამერიკელი **ლინდსი ვონი**. ის დიდი უპირატესობით უსწრებდა თავის კონკურენტებს და მისი რიგით მეოთხე ტიტული დროის საკითხი იყო.

საბოლოოდ, ამერიკელმა „ბროლის დიდი გლობუსი" შვედეთის კურორტ არეში მოიპოვა, თანაც იმ დისციპლინის მოგებით, რომელიც არ ითვლება მის საყვარელ სახეობად. გუშინ, ბევრისთვის მოულოდნელად, ვონმა არავის დაუთმო პირველობა გიგანტურ სლალომში. კარიერაში მან 52-ე ეტაპი მოიგო და მხოლოდ მეორედ იმარჯვა ამ დისციპლინაში.

ლინდსიმ მოიგო პირველი ცდა და შემდეგ იოლად შეინარჩუნა უპირატესობა. საბოლოოდ, მან 48 მეასედი წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ იტალიელ **ფედერიკა ბრინიონეს**. მესამეზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი **ვიქტორია რებენსბურგი**.

ვონი გენერალურ კლასიფიკაციაში 448 ქულით უგებს უახლოეს მდევარს, სლოვენიელ **ტინა მაზეს** და მიუღწეველია დარჩენილ ეტაპებზე. ლინდსიმ მსოფლიოს თასი ზედიზედ სამჯერ 2008-10 წლებში მოიგო. შარშან მას ეს ტიტული გერმანელმა **მარია რიშმა** ჩამოართვა (ამერიკელმა სამი ქულით წააგო სეზონი) და ახლა, ლინდსიმ დაიბრუნა ლიდერობა თანამედროვე სამთო-სათხილამურო სპორტში.

მსოფლიოს თასის მეოთხედ მოგებით, ვონმა გაუსწრო ხორვატ **იანიცა კოსტელიჩს**, შვეიცარიელ **ფრენი შნაიდერსა** და ავსტრიელ **პეტრა კრონენბერგს**, რომლებსაც კარიერაში სამ-სამი მოგება აქვთ. ლინდსის მხოლოდ ავსტრიელი **ანემარი მოზერ-პრიოლი** უსწრებს, რომელსაც ექვსი ტიტული დაუგროვდა 70-იან წლებში.

სხვათა შორის, ვონს ისტორიული შედეგის დაფიქსირება შეუძლია. მას ახლა 1808 ქულა აქვს, სეზონის დასრულებამდე კი კიდევ ხუთი სტარტია დარჩენილი. ასე რომ, ამერიკელს შანსი აქვს 2000-ქულიან ზღვარს გადასცდეს, რაც ქალებს შორის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. ამ მხრივ, მოქმედი რეკორდსმენი კოსტელიჩია, რომელმაც 2005-06 წლების სეზონი 1970 ქულით დაასრულა.

ვონი ეტაპებზე მოგებათა რიცხვით მესამეა. მასზე წინ არიან მოზერ-პრიოლი (62) და შნაიდერი (55).

კვირის ბოლოს




მთავარია მონაწილეობა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ინტერვიუ მარია შარაპოვასთან

# მოდა კარგია, მაგრამ პრიორიტეტი ჩოგბურთია

**მსოფლიოს მეორე ჩოგანი, რუსი მარია შარაპოვა არა მხოლოდ ბრწყინვალე ჩოგბურთელია, არამედ სხვა მიმართულებითაც ნიჭიერი ადამიანი გახლავთ. ცნობილია, რომ მარია მოდის სამყაროთი არის გატაცებული. ცოტა ხნის წინ მან საათების სახელგანთქმული ბრენდის - Tag Heuer-ის პერსონალური ხაზის პრეზენტაცია მოაწყო, შემდეგ კი დიზაინით თავის გატაცებაზე, სპორტსა და სილამაზეზე ისაუბრა.**

**- ყოველთვის ამბობდით, რომ მოდა ჩოგბურთის შემდეგ თქვენი ერთ-ერთი მთავარი გატაცებაა. როდის დაინტერესდით მოდის სამყაროთი?**

- კარგად მახსოვს ჩემი პირველი ფოტოსესია საათების ბრენდ Tag Heuer-ისთვის. ეს იყო 2004 წლის ბოლოს. სრულიად მოულოდნელად ჩემს გარშემო აღმოჩნდნენ სტილისტები, ვიზაჟისტები, რომლებიც მთელი დღე მუშაობდნენ ჩემთან. ეს ახდენილი ოცნებასავით იყო. იმ მომენტიდან მოდის დიდი თაყვანისმცემელი გავხდი.

**- ბევრ ცნობილ ბრენდთან თანამშრომლობთ. როგორ აკეთებთ არჩევანს – ვისთან იმუშაოთ, ვისთან – არა?**

- როცა ამ საკითხების გადაწყვეტას ვიწყებ, ჩემს აგენტს ეცინება იმაზე, რომ ყოველთვის უარს ვეუბნები ბრენდებს, რომლებიც ჩემში ასპროცენტიან სიმპათიას არ იმსახურებენ. მე ბოლომდე უნდა განვიმსჭვალო ბრენდის სულისკვეთებით, მის მიმართ ლტოლვა უნდა ვიგრძნო. მე ხომ არ შემიძლია უბრალოდ ნომინალური ფიგურა ვიყო რეკლამისთვის.

**- შეეჩვიეთ, რომ სახელგანთქმული პიროვნება ხართ სპორტული სამყაროს მიღმა?**

- მიმაჩნია, რომ არაფრით განვსხვავდები ჩემი ასაკის ჩვეულებრივი გოგონებისგან, უბრალოდ, მე უფრო გამიმართლა. თუმცა მსოფლიო დიდებამ ძალიან ბევრი რამ მომცა, კერძოდ, მსოფლიოში საუკეთესო გულშემატკივრები. მე მათი დიდი მადლობელი ვარ. ისინი ძალიან კარგები არიან – წარუმატებლობის დროს მამხნევებენ, ამაყობენ ჩემი წარმატებებით. საერთო ჯამში კი ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო ჭორებს, რომელიც ნებისმიერი ცნობილი ადამიანის თანამდევია.

**- თქვენ არაერთხელ გაღიარეს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალბატონად. ამას როგორ უყურებთ?**

- იცით, განსაკუთრებით არ ვნუხვარ იმის გამო, როგორ გამოვიყურები. როცა 17 წლის ასაკში უიმბლდონი მოვიგე, ხალხმა, პირველ რიგში, ჩემს ჩოგბურთს მიაქცია ყურადღება. ერთადერთი რამ მინდა - ყველას დიად ჩოგბურთელად დავამახსოვრდე. რა თქმა უნდა, ვცდილობ კორტზე მოდურად გამოვიყურებოდე. როცა მომწონს საკუთარი თავი, ეს მეტ დამაჯერებლობას მმატებს და უკეთაც კი ვთამაშობ. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, როცა კორტზე გავდივარ, პირველ რიგში, ჩოგბურთელი ვარ. ხოლო თუ ადამიანებს მოსწონთ ჩემი გარეგნობა, ეს უბრალოდ შესანიშნავია.

**- რომელ მუსიკას ანიჭებთ უპირატესობას?**

- ახლა ჩემი mp3-ფლეერი ჯგუფების - Florence and the Machine-სა და Coldplay-ის სიმღერებით არის სავსე.

**- რამდენად რეგულარულად ადევნებთ თვალს მოდის სამყაროში მიმდინარე მოვლენებს?**

- ვცდილობ მუდმივად ვიყო ინფორმირებული მოდის ტენდენციებზე: ვკითხულობ ჟურნალებს, შეძლებისდაგვარად ვესწრები მოდის ჩვენებებს. თუ დიზაინზე მუშაობა მჭირდება, ყველაფერს დაწვრილებით ვსწავლობ. როცა ჩოგბურთში გადატვირთული გრაფიკი მაქვს, ცნობილ სტილისტს ბექს უელჩს ვუხმობ დასახმარებლად. მაგრამ ეს მხოლოდ ტურნირებსა და ვარჯიშებს შორის პერიოდებში ხდება. ჩოგბურთი ჩემს პრიორიტეტად რჩება.

**- როგორ დაახასიათებდით თქვენს პირად სტილს?**

- მოდაში ჩემი დევიზია: „ნაკლები ნიშნავს - მეტს". ვცდილობ ავილო ის, რაც რეალურად მომწონს და არ გამოვეკიდო ყველა მოდურ ტენდენციას.

**- როგორ ინარჩუნებთ ფორმას?**

- თუ სიმართლე გაინტერესებთ, მე იმ სპორტსმენების რიცხვს არ განვეკუთვნები, რომლებსაც უყვართ სატრენაჟორო დარბაზებში ყოფნა. მე უფრო იოგასა და პლაჟზე სირბილს ვანიჭებ უპირატესობას. რეგულარულად ვატარებ საერთო ფიზიკურ და საჩოგბურთო ვარჯიშებს. რაც შეეხება კვებას, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი დიეტა მეტისმეტად მკაცრია. ის უბრალოდ ჯანმრთელი და დაბალანსებულია. მაგრამ, ვაღიარებ, რომ ხანდახან მწვრთნელის თეფშიდან საკვებს ვიპარავ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის დიდი რაოდენობით ბურგერებს მიირთმევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რჩევა - ყოველთვის ვხმარობ მზისგან დამცავ კრემს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მარია შარაპოვა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია